# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 19 ივნისი 2001 №112 (1385) | ფასი 50 თეთრი


# ქართული პარადოქსები ევრორემონტამდე



მერაბ ჟორდანია ალექსანდრე ჩივაძეს ნაკრების მწვრთნელობას ავალებს

ორი მთავარი მწვრთნელის მერე უცხოელის გამოძებნამდე საქართველოს ნაკრებს აბარებენ კაცს, რომელსაც მწვრთნელობა და წარსულის განმეორება არ სურს. ალექსანდრე ჩივაძე ხომ ნაკრებს 1993-დან 1996 წლამდე წვრთნიდა და პრესის და ქომაგთა მოთხოვნის მერე ეროვნული გუნდი დატოვა.

ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მეორე გვერდზე

# პანათინაიკოსი ფაჩულიას მჩურჩულება

**ზაზა ფაჩულია:** „პანათინაიკოსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ჩემს პირად მენეჯერს დაურეკა და უთხრა, ფაჩულიას გადაყვანა გვინდაო...

**მარკ ფლეიშერი** (ზაზა ფაჩულიას პირადი მენეჯერი): „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელებმა დამირეკეს, ფაჩულიას გადაყვანის სურვილი გამოთქვეს და ზაზას შესახებ რაღაც-რაღაცეებიც მკითხეს.

**მანოს პაპადოპულოსი** („პანათინაიკოსის“ გენერალური მენეჯერი): ფაჩულია ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია, მაგრამ ტრანსფერებზე ლაპარაკის უფლება ჯერ არ გვაქვს...

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ზაზა ფაჩულია

# ევროჩემპიონატი, ეტყობა, დაიგვიანებს

## მწვრთნელი ან არგენტინაში დაინიშნება ან დეკემბერში, ანაც ჩივაძეს აიძულებენ

**უკვე** ერთი კვირაა, საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა. ამის თაობაზე წინა ორშაბათს განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და ისიც დაამატა, ეროვნული გუნდის მწვრთნელობა მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს შევთავაზეთ, მაგრამ მან უარი გვითხრაო.

როგორც შევიტყვეთ, ჩივაძე დღესაც უარზეა, გაწვრთნას ნაკრები. ეს გუშინ გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა, თუმცა მასვე გადაწყვეტილი აქვს აიძულოს ჩივაძე და ეს საქმე სწორედ მას ჩააბაროს.

გუშინვე სააგენტო „ფრანს პრესმა“ ქართულ პრესაზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა, თითქოსდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად უკვე დაინიშნა ალექსანდრე ჩივაძე.

— ახალი არაფერია, ნაკრები ისევ უმწვრთნელოდაა — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ — უახლოეს დღეებში მე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ფიფას მორიგ კონგრესზე დასასწრებად არგენტინაში მივემგზავრებით, სადაც ჩვენს რამდენიმე კოლეგასაც შევხვდებით და ეგებ სწორედ არგენტინიდან დაბრუნებისა და იქ მიღებული კონსულტაციების შემდეგ გამოვაცხადოთ ახალი მწვრთნელის ვინაობა. თუ არადა, მაშინ დეკემბრამდე მოვიცდით, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრას დაველოდებით.

**— ივნისიდან დეკემბრამდე დიდი დროა, იქამდე კი ნაკრებს სამი შესარჩევი მატჩი აქვს ჩასატარებელი. უახლოესი — 1 სექტემბერს.**

— თუ არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ მწვრთნელი ვერ დავნიშნეთ, მაშინ, ალბათ, ამ სამ შესარჩევ მატჩს ეროვნული გუნდი ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაატარებს.

**— თავად თანახმაა?**

— არა, კატეგორიული წინაამდეგია.

**— აბა, რა გამოდის? აიძულებთ მწვრთნელობას?**

— იძულებით არა, მაგრამ ის ხომ ფედერაციის თანამშრომელია, ჩვენი გუნდის წევრია და საერთო საქმისთვის აჯობებს, ნაკრები დროებით მან ჩაიბაროს.

**— საერთო საქმისთვის ის უფრო არ აჯობებს, ეს სამი მატჩიც იმ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩატარდეს, ვინც შემდეგ შესარჩევ ციკლში უხელმძღვანელებს ნაკრებს? გუნდს შეეჩვევა, ფეხბურთელებს დააკვირდება, საქმე გაუიოლდება.**

— აჯობებს და ჩვენი სურვილიც არის, რაც შეიძლება, მალე დავნიშნოთ მწვრთნელი. ფედერაციას დღესვე აქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ გუნდი საშუალო ევროპული დონის სპეციალისტს ჩააბაროს. ნაკრებისთვის პრემიის დარიგება აღარ დაგვჭირდა და ის თანხა მწვრთნელისთვის საკმარისი იქნება.

**— მაშ უცხოელ მწვრთნელზე სერიოზულად ფიქრობთ?**

— ყველაფერი აქეთკენ მიდის. აბა, საქართველოში საუკეთესო მწვრთნელებმა ვერ გაამართლეს.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრას რატომ დაელოდებით?**

— გააჩნია, ჩვენი მეტოქეები ვინ იქნებიან. თუ ფინანსურად მომგებიან ჯგუფში მოვხვდით, რა თქმა უნდა, მეტი ფული გვექნება და იმის საშუალება, ნაკრები სახელოვან, ავტორიტეტულ მწვრთნელს ჩავაბაროთ.

**— ერთი სიტყვით, მწვრთნელს როდის დანიშნავთ?**

— დიდი შანსია, ეს არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ მოხდეს. ამის სურვილი გვაქვს. თუ არადა, ნაკრებს დროებით ფედერაცია უხელმძღვანელებს. ჩივაძის გარდა კი ფედერაციაში ნაკრებში მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება არავის აქვს.

**კობა ინასარიძე**

# რიგამ სკამი ძოძუაშვილს გაუთავისუფლა

**საქართველოს** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი შესაძლოა ლატვიაში დაბრუნდეს და იქაურ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე მყოფი „რიგა“ ჩაიბაროს. ალბათ, გახსოვთ, ძოძუაშვილი საქართველოს ნაკრებამდე ლატვიისას წვრთნიდა.

ლატვიური კლუბის პრეზიდენტი, რომელსაც ერთი კვირის წინ გაუთავისუფლებია გუნდის მწვრთნელი, მას შემდეგ ძოძუაშვილს ყოველდღე უკავშირდებოდა და ახლა მისგან საბოლოო პასუხს ელის.

რევაზ ძოძუაშვილს შეეხმიანა ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გიუნტის ინდრიკსონიც და რიგაში სასაუბროდ მიიწვია.

ყოველივე ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ გვითხრა და ისიც დაამატა, „რიგაში“ ძოძუაშვილს დიდი ავტორიტეტი აქვს და იმედოვნებენ, რომ ქართველი მწვრთნელი მათ დაუბრუნდებაო.

ამჟამად კი ძოძუაშვილი, ისევე როგორც ნაკრებში იყო, ყიფიანთან ერთად ქუთაისის „ტორპედოს“ წვრთნის და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ ამზადებს.

**კობა ინასარიძე**

### ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

პირველი ტური

**D ჯგუფი**

**ანგოლა — ჩეხეთი 0:0**

**E ჯგუფი**

**ეკვადორი — ეთიოპია 2:1**

**F ჯგუფი**

**განა — პარაგვაი 2:1**



რა ხდება? რა იქნება? ვინ იქნება? საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებსაც ვერაფერი გაუგიათ

[illegible] ფოტო

### ინტერტოტოს თასი 2001

პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

**ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 2:0 ტალინი (ესტონეთი)**
1:0 მეგრელიშვილი (60), 2:0 ტალი (88)

**ტატაბანია (უნგრეთი) 2:3 შირაქი (სომხეთი)**
1:0 პეკოვიცი (7), 1:1 ბადიკიანი (81), 1:2, 1:3 არუთინიანი (74, 84), 2:3 ბაიკუშა (90)
ტატაბანია: ბალოგი, გეშა, ჩერი, ერემეევი, არკი, მოლნარი, პოტიომკინი (ზირაძაძე 76), კისი, გონსალვეში, შაფრანეკი (ბაიკუშა 60), პეკოვიცი (ლეჩენიეი 70)

**დანდი (შოტლანდია) 0:0 სარტიდი (იუგოსლავია)**
დანდი: ლენგფილდი, სმიტი, კონი, უილკი, მარკო, არტერო, რობერტსონი (მილნი 77), რომანო, რავეგარიდო (ბონეტი 71), სარა (კაბალიერო 62)

**ზაგრები (ხორვატია) 1:2 პობედა (მაკედონია)**
1:0 ლოვრეკი (10), 1:1 კრსტევი (54), 1:2 ჯუკიჩი (58)

**გროცლინი (პოლონეთი) 1:0 სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი)**
1:0 ნოვაკოვსკი (87)

**ეკრანასი (ლიტვა) 1:1 პეტრჟალკა (სლოვაკეთი)**
1:0 ბალტუშნიკასი (19), 1:1 კონდერი (57)

**ზაგლებე (პოლონეთი) 4:0 ჰიბერნიანსი (მალტა)**
1:0 გჟიბოვსკი (34), 2:0 მანუშევსკი (40), 3:0 გჟიბოვსკი (58), 4:0 მანუშევსკი (90)

**ჯაზი (ფინეთი) 1:0 გლორია (რუმინეთი)**
1:0 ილიევი (40)

**ჩელიკი (ბოსნია) 1:0 დენიზლისპორი (თურქეთი)**
1:0 ბაჯიჩი (11)

**ტილიგული (მოლდოვა) 1:0 კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)**
1:0 კოვალჩუკი (9)

**გრინდავიკი (ისლანდია) 1:0 ვილიაში (აზერბაიჯანი)**
1:0 ბიარნასონი (80)

**უნივერსიტატია (რუმინეთი) 3:3 ბილიში (ალბანეთი)**
1:0 გრიგორე (8), 2:0 სტანჩუ (10), 2:1 ჯაფა (44), 2:2 იმერაი (69), 2:3 ვიტო (71), 3:3 გრიგორე (81)

**ორჰუსი (დანია) 1:0 ცელიე (სლოვენია)**
1:0 კრისტენსენი (86)

**სენტ ჯულია (ანდორა) 1:3 ლოზანა (შვეიცარია)**
0:1 შავერია (5), 0:2 სიმონი (9), 1:2 ხიმენეს სორია (40), 1:3 ლუცენკო (87)

**ანართოსისი (კვიპროსი) 0:2 სლავენი (ხორვატია)**
0:1 იურჩიჩი (38), 0:2 მუჟეკი (62)

**ტოფტირი (ფარერები) 2:4 ლოკერენი (ბელგია)**
0:1 მბუტუ ბანდუ (10), 1:1 მარკოლინო (31), 2:1 იოჰანესენი (38), 2:2, 2:3 ელ ბოდმოსი (45, 60), 2:4 კომოტო (83)

**დინამო (მინსკი, ბელარუსი) 6:0 ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)**
1:0 კოჩური (35), 2:0 ლეჟანოვი (45), 3:0 კოჩური (58), 4:0 კოვალჩუკი (79), 5:0 კოჩური (86), 6:0 ჩუმაჩენკო (90)

**კორკ სიტი (ირლანდია) 0:1 მეტალურგსი (ლატვია)**
0:1 კასატონოვი (60)

**კარმართენი (უელსი) 0:0 აიკ (შვედეთი)**

*საპასუხო მატჩები 23-24 ივნისს გაიმართება*

# რას გადაურჩა სოკრატე

## ბრძენ ბერძენს აქ და ახლა რომ ეცხოვრა, ქართველი მწვრთნელების შემყურეს ინფარქტი არ ასცდებოდა

ქართველმა მწვრთნელებმა იციან ყველაფერი: როგორ აკეთო გაზეთი, როგორ ილაპარაკო, როგორ წერო, როგორ ითვალო, როგორ წაიკითხო, როგორ მოიქცე, როგორ იცხოვრო... მათ თუ ვენდობით, როგორ მოიგოც იციან, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ დაამტკიცეს. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ რაც უნდა იცოდნენ, იმის გარდა ყველაფერი იციან.

ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა არაფერი იციან: როგორ აკეთო გაზეთი, როგორ წერო, როგორ ილაპარაკო, როგორ ითვალო, როგორ მოიქცე, როგორ იცხოვრო... მოკლედ, ქართველი მწვრთნელების გაუმართლებელი კრიტიკის გარდა არაფერი იციან.

მე ვიცი, რომ არაფერი ვიციო, იმისთანა კაცს უთქვამს, რომ გავეტოლოთ, ქართველი მწვრთნელები უნდა ვიყოთ. ისე, სოკრატესავით ბევრი მართლაც არაფერი ვიცით.

ამის დასტურად დაახლოებით წლინახევრის წინანდელი „სარბიელებიდან“ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ. ეს ის დროა, როცა ფეხბურთის ფედერაციამ (ალმასკომის თავაზიანი თანხმობით) საქართველოს ნაკრები ერთდროულად ორ მწვრთნელს ჩააბარა. მაშ ასე, 1999 წლის 10 დეკემბერს ყიფიანი და ძოძუაშვილი ჩვენს ეროვნულ გუნდს სათავეში ჩაუდგნენ...

> *„რატომ არის ცუდი ორი მწვრთნელი? იმიტომ, რომ ფეხბურთელები ვერ გაიგებენ, ვის დაუჯერონ საკამათო სიტუაციაში... იმიტომ, რომ ვერავინ ვერასოდეს მიხვდება, ნამდვილად ვისი დამსახურებაა ამა თუ იმ შეხვედრის ცუდი ან კარგი ანგარიში...“*
>
> *„ფედერაციის გადაწყვეტილების სისწორეს მაშინ ვიწამებთ, როცა ძოძუაშვილი და ყიფიანი, ამბიციისა და განწყობილების მიუხედავად, ერთად ჩაამთავრებენ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ციკლს“.*
>
> *„ერთ ბილიკზე ორი კაცის სიარული ძნელზე ძნელი საქმეა“.*
>
> ***„სარბიელი“. 11 დეკემბერი, 1999***

> *„ძნელია, კაცს ნამოქმედარი დაუწუნო და გააკრიტიკო, როცა საქმეს ჯერაც არ შესდგომია. იქნებ მართლა გაამართლოს ორი მწვრთნელის მოღვაწეობამ, მაგრამ აქვს კი ქართულ ფეხბურთს დრო ექსპერიმენტების ჩასატარებლად? გვგონია, რომ არა. რაღა მაინცდამაინც ჩვენში გაამართლებს ის, რასაც შედეგი არსად და არავისთვის მოუტანია?“*
>
> ***„სარბიელი“. 14 დეკემბერი, 1999***

> *„პროცესი ჯერ არ დაწყებულა და აქედანვე კრიტიკა ვერ არის მთლად სწორი საქმე, მაგრამ ახლავე ჩანს, სხვანაირად დამთავრდება ყველაფერი“.*
>
> *„ის ორიც ხათაბალაში გაეხვა... აქ მარტო ფეხბურთზე და რეპუტაციაზე არაა ლაპარაკი. დღეს რომ ერთად სხედან და ხელებს უტყაპუნებენ ერთმანეთს, ხვალ რა იქნება, გიფიქრიათ?“*
>
> ***„სარბიელი“. 15 დეკემბერი, 1999***

> *„რა ამბავია ამდენი მწვრთნელი? ერთი თრიაქით გაბრუებული თბილისელისა არ იყოს, მიტინგია? ამასთან ერთად ისიც ძალიან გვაინტერესებს, ფუნქციებს როგორ დაინაწილებენ ნაკრებს შესეული პიროვნებები“.*
>
> ***„სარბიელი“. 17 დეკემბერი, 1999***

> *„დარწმუნებული ხართ, რომ ორი მწვრთნელი ვერ გაამართლებს? ადექით და დაწერეთ, ყიფიანს და ძოძუაშვილს შედეგი არ ექნებათ, მათი გუნდი წასაგებად განწირულიაო. რატომ არ წერთ? თქვენ თუ პროფესიონალები ხართ, დაწერეთ, რომ ეს ტანდემი არ გაამართლებს... დრო გავა და მერე ვილაპარაკოთ, გაამართლებს თუ არა.*
>
> *თქვენ რა იცით, მე და რეზომ რაზე ვილაპარაკეთ, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით? ეს გადაწყვეტილება კი, ჩვენი აზრით, ქართულ ფეხბურთს გამოადგება. აქ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ და თქვენ რამდენიც არ უნდა წეროთ, ყველაფერს შედეგი აჩვენებს“.*
>
> ***დავით ყიფიანი. 20 დეკემბერი, 1999***

და სულ ცინცხალი.

> *„თვლაც მე გასწავლოთ?“*
>
> ***დავით ყიფიანი. 13 ივნისი, 2001***

ამ „ც“-მ ხომ მთლად მოგვილო ბოლო...
მოკლედ, ჩვენ ვიცით, რომ არაფერი ვიცით.
მათ იციან?

**გიგა ძოგახიძე**

# ჭურაძე და კატენაჩო



ავსტრიელებთან მოჭიდავე ლევან მელქაძე გოგობერიშვილის ჩაწოდებულ და ორაზეს (№21) კარში გასულ ბურთს შესცქერის

ინტერტოტოს თასი 2001. პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

## ვიტ ჯორჯია 1:0 რიდი

თბილისი. ეროვნული. 5 000 (ტევადობა 70 900). 16 ივნისი. 18 საათი

1:0 გოგობერიშვილი (60)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, კობიაშვილი, ქანქოტაძე, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დილმელაშვილი, ყიფიანი (არეშიძე 46), ლ. მელქაძე (ინწკირველი 79), ზ. მეტრეველი (ადამია 46)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, წუწუნავა, ლ. კვარაცხელია, რ. გოცირიძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

რიდი: ორაზე, ფაიტინგერი (ფორსტერი 60), ნენტვიხი, იანგი, ორტლეჰნერი (ლაიმერი 60), როტბაუერი, ანგერშმიდი (ვინკლბაუერი 76), გლასნერი, აკაგიუნდუზი, დრექსელი, ლაუერსი
სათადარიგო: რაზინიოვკი
მწვრთნელი: ალფრედ ტატარი

გაფრთხილება: როტბაუერი (17), ფორსტერი (68), ნენტვიხი (74); გაძევება: საჯაია (10)

მსაჯები: ა. იუნოში; ბ. მეზო, ტ. დიარმატი (ყველა უნგრეთი); ა. შალამბერიძე (საქართველო)

ჯარიმა: 10-18; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 9-9; კარში დარტყმა: 7-9; თამაშგარე: 0-4

**მამუკა კვანტალიანი**

„ეროვნულზე" თურმე გამარჯვებაც ყოფილა შესაძლებელი. თანაც მაშინ, როცა მეტოქე ტაქტიკურად გაცილებით ძლიერია. რაც გნებავთ, ის უწოდეთ, გამართლება, თავდადება, გამარჯვების დიდი სურვილი, მაგრამ ფაქტია — კაცნაკლულმა „ვიტ ჯორჯიამ" ავსტრიულ „რიდს" სძლია.

ეს მართლაც ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ბეითარული კოშმარი. ვიტელებმა მოიწადინეს და შემდეგ ეტაპზე მოხვედრის შანსი შაბათს აქეთ ავსტრიელებზე მეტი გაიჩინეს.

მაგრამ არ იყო გამორიცხული, „ბეითარი" განმეორებულიყო. ამას ხელი უპირველესად მასპინძელთა კარის დარაჯმა სერგო ჭურაძემ შეუშალა. სტუმრები პირველ ტაიმში ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ვიტელთა მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს.

შეცდომებით დაიწყო თამაში მასპინძელთა დაცვამ. ეს იმიტომ, რომ თავიდანვე ნახევარდაცვა სისწრაფეში ჩამორჩებოდა სტუმართა შუა ხაზს. შეცდომასვე შეეწირა ელიკ საჯაია. ჭურაძისკენ პირისპირ გაწეული ავსტრიელი აკრძალული ხერხით შეაჩერა და წითელი ბარათიც სამართლიანად დაიმსახურა.

არაერთი ფაქტორის გახსენება შეიძლება, ვიტელთა არასახარბიელო დასაწყისის გასამართლებლად. არასაკმარისი მომზადება, არაერთი წვრილ-წვრილი ტრავმა, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდული, მომავლის გუნდია და ამიტომ ვითხოვთ გაცილებით მეტს მისგან.

შაბათს კი, ჩავთვალოთ, გაგვიმართლა. „რიდს" პირველ ტაიმში არაერთი საგოლე მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა... ჩემი აზრით, უმთავრესი ეს იყო, ავსტრიელებმა თამაშის უკეთესი ორგანიზაცია და ცოდნა გამოამჟღავნეს, თუმც მასპინძელთა თავგანწირვაც დასაფასებელია.

გუნდი, პირველ ყოვლისა, მწვრთნელებით ფასობს. ჯანი კარნევალიმ საჯაიას გაძევების შემდეგ მიზნად არწაგება დაისახა. იტალიელმა შეცვლებიც ზუსტად გამოიცნო და თამაშის სანახაობრივი მხარე სწორედ შედეგს შესწირა. ალბათ, შაბათს ნანახი მაინც ჰგავდა კატენაჩოს.

კარნევალიმ ძალიან გარისკა. საჯაიას გაძევების შემდეგ მნიშვნელოვანი გადაადგილებებისგან თავი შეიკავა, მოედანზე თითქმის ხელუხლებლად დატოვა ყველაფერი. სინიორ ჯანიმ, რა თქმა უნდა, ჩვენზე უკეთ იცის თავისი მოთამაშეების ავანჩავანი. იცოდა, ფეხბურთელებიდან ვინ რამდენს გაუძლებდა და ბედისწერას ენდო.

მწვრთნელმა პირველივე ტაიმში ბოლომდე დახარჯა დებიუტანტი მეტრეველი. ასევე მაქსიმუმი გამოწურა ტრავმირებული ყიფიანისგან. იქნებ სინიორ ჯანი გრძნობდა, ჭურაძეს თამაში რომ მისდიოდა და ავსტრიელები გოლის გამტანნი არ იყვნენ.

ისე, სტუმართა კარის დალაშქვრა პირველ ტაიმში ვეტერინარებსაც შეეძლოთ, მაგრამ მელქაძემ და მეტრეველმა ვერ ივარგეს.

მეორე ტაიმი გაცილებით კარგად და უფრო ორგანიზებულად ჩაატარეს ვიტელებმა. გოლის გატანაც ორ-სამჯერ მართებდათ, მაგრამ არგაშვებაზე მეტი აქცენტი იყო გაკეთებული.

მეკარეზე ნაწილობრივ უკვე ვთქვით. სერგომ მშვიდად და საიმედოდ ჩაატარა მთელი მატჩი, თავდაჯერებით თანაგუნდელებიც შეაგულიანა და გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო. ერთადერთხელ შეცდა ჭურაძე, ავსტრიელის დარტყმული ხელიდან გაუვარდა, თუმცა მშველელად ასევე დებიუტანტი არეშიძე გამოჩნდა და აკაგიუნდუზს დასარტყმელად მოქნეული ფეხიდან ბურთი ვარდნაში აართვა.

ალბათ, მთელი სეზონის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას" დაცვას ამდენი შეცდომა ერთად არ დაუშვია. განსაკუთრებით პირველ ტაიმში ცდებოდნენ პოზიციურად ვიტელი უკანახაზელები. სტუმართა თურქი ფორვარდი აკაგიუნდუზი ხომ ველარ დააკავეს და ერთმანეთის დაზღვევაც უჭირდა მასპინძელთა სამკაციან დაცვას.

შუა ხაზი უფრო მებრძოლი და მოძრავი გვინახავს. შაბათს „ვიტ ჯორჯიას" ნახევარდაცვამ უკან მეტი იმუშავა. გოლი კი ნახევარმცველმა ჩაიწერა თავის ანგარიშზე. გოგობერიშვილის საჯარიმოში ჩაწოდებული თუ კარში დარტყმული ბურთი მცველსაც მოხვდა, მეკარესაც გასცდა და კარშიც შევარდა. ალეკოს გატანა კიდევ მართებდა, მაგრამ მელქაძეს ბრძოლა და თავგანწირვა წყალში ჩაუყარა და საბოლოო დარტყმა გააცუდა.

მეტრეველზეც მოგახსენეთ. დებიუტანტის კვალობაზე, ვფიქრობთ, კარგად ითამაშა. მელქაძემ ჩვეულებისამებრ ბოლომდე იბრძოლა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა წინ ეულად დარჩა.

დაბოლოს, გიორგი ადამია. შესაშური სისწრაფის პატრონია. ბურთის მოთვინიერება ძალუძს და დრიბლინგიც არ დაეწუნება, მაგრამ გამძლეობა ღალატობს. შაბათს 46-ე წუთზე შესული მატჩის დამთავრებამდე დაილალა. არადა, რამდენიმე მომენტში თამაშის თავის თავზე აღება და გატანა მართებდა.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, „ვიტ ჯორჯიას" შეეძლო, საპასუხო შეხვედრამდე, თბილისშივე გადაეწყვიტა ყველაფერი. მატჩის ბოლომდე რამდენიმე წუთით ადრე გოგობერიშვილმა საუცხოო პასით ჯაბა მუჯირი ორაზესთან პირისპირ გაიყვანა. ვიტელმა რატომღაც ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა სტუმართა კარის დარაჯს, მაგრამ ტანმაღალი ორაზე დარტყმულს შესწვდა. არადა, მუჯირს ხელს არავინ უშლიდა, არც ახლომახლო იყო ვინმე.

რა შეიძლება ითქვას ავსტრიელებზე? განსწავლული გუნდი ჩანდა „რიდი". თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა თავისი საქმე და ცდილობდა, მწვრთნელის მითითებები შეესრულებინა, მაგრამ განსაკუთრებულიც არაფერი. ერთი უბრალო ევროპული გუნდია „რიდი", რომელიც დიდი საშემსრულებლო ოსტატობით, მაღალი კლასის მოთამაშეებით ვერ დაიკვეხნის. შეცდომებიც გვარიანი მოსდის, განსაკუთრებით დაცვაში.

„ვიტ ჯორჯიას" აქვს შანსი, შემდეგ წრეში გაალწიოს. ამისთვის გირზკირხენში არწაგება, ან უარეს შემთხვევაში ერთბურთიანი სხვაობით მარცხია საჭირო, ოღონდ ჩვენც უნდა გავიტანოთ. ეს სულაც არ გახლავთ წარმოუდგენელი.

დღეს ჯანი კარნევალი უკვე იცნობს „რიდს". უშუალოდ საქმეში ნახა მეტოქე და თითქმის უცნობი თუ დაამარცხა, მაშინ ნაცნობთან გამარჯვების შანსი უნდა გაორკეცდეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ავსტრიაში „ვიტ ჯორჯია" თერთმეტი ფეხბურთელით დაამთავრებს თამაშს და საფრანგეთშიც წავა.



ქართველთა მგზოლე ალექსანდრე გოგობერიშვილი (ბურთით) და ჰერვიგ დრექსელი

### მატჩის შემდეგ

***ალფრედ ტატარი, „რიდის" მთავარი მწვრთნელი:*** „ვფიქრობ, საინტერესო თამაში იყო. „ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდული და კარგი გუნდია, ჩინებულად ითამაშა დაცვაში, კონტრშეტევებიც სახიფათო ჰქონდა. როცა მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს, გატანა შეგვეძლო, თუმცა არანაკლები შანსი მათაც ჰქონდათ. ცხადია, თამაშით და შედეგით უკმაყოფილო ვარ. საპასუხო მატჩის იმედა დაგვრჩა. ვთვლი, რომ მსაჯი სწორად მოიქცა, როცა მეათე წუთზე საჯაია გააძევა, ჩვენ გატანის ჩინებული შესაძლებლობა გვქონდა. დიდი მადლობა საუცხოო მასპინძლობისთვის. პირობას გაძლევთ, „ვიტ ჯორჯიას" ასევე დავხვდებით".

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი:*** „საჯაია რომ გაგვიძევეს, პრობლემები შეგვექმნა. ერთი, რომ მინდორზე ნაკლებნი დავრჩით, მეორეც, მისი ძალა და დონე ყველამ ვიცით. დიდი მადლობა ბიჭებს, მშვენივრად ითამაშეს. თავიდანვე ვიცოდი, რომ ფიზიკურად თუ ტაქტიკურად მაღალ დონეზე მომზადებულნი ვერ ვიქნებოდით, რადგან ამისთვის ცოტა დრო გვქონდა, მაგრამ მაინც კარგად ვითამაშეთ. „რიდი" ფიზიკურადაც და ტაქტიკურ-ტექნიკურადაც ჩინებულად მომზადებული გუნდია, თუმცა დღეს ჩვენ ვაჯობეთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს.

რაც შეეხება საჯაიას გაძევებას, მსაჯი ვალდებულიც გახლდათ, ასე მოქცეულიყო. უეფას დებულებით ბოლო იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათია. მისი მოქმედება სავსებით ნორმალურია".

**გიორგი გუგაძიძე**



ვიტელთა მეკარე სერგო ჭურაძემ მოგებაში ლომის წილი დაიდო

# დინამოს საზაფხულო დინამიკა

## ბარსია ნოდიას იპოდრომზეც დაახვედრეს

**17 ივნისს** დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება თბილისის „დინამომ“. გუნდმა გუშინ იპოდრომზე ივარჯიშა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა — დიღმის ბაზის მთავარ სავარჯიშო მინდორზე ახალდაყრილი კოინდარი ბიბინებს, ამიტომაც ნაწვიმარზე მის გათელვას მოერიდნენ. „დინამო“ დღესაც ვაკე-საბურთალოს საზღვარზე მოიდენს ოფლს, ხვალიდან კი შინ, დიღმის ბაზაზე გააგრძელებს ვარჯიშს.

„დინამოში“ ახლა 44 ფეხბურთელი ვარჯიშობს. გაზურებული სელექცია მიდის ათგზის ჩემპიონთა რიგებში. გუნდი ჯერ არავის დაუტოვებია. არადა, მწვრთნელის, გივი ნოდიას მეთვალყურეობის ქვეშ არიან გასულ სეზონში ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელები — ჯონი შალამბერიძე, ლევან შავგულიძე და დავით კვირკველია, ქუთაისის „ტორპედოდან“ ჯაბა თავბერიძე და მიხეილ ბობოხიძე, გორელი გიორგი რევაზიშვილი, თსუ-ელი ზვიად გვაზავა, სამტრედიის „იბერიიდან“ ალექსანდრე ამისულაშვილი, ლატვია და მოლდოვა მოვლილი დავით გოგოლაძე. არიან სხვა ახალწვეულებიც, თუმც ჯერ არც ერთის ტრანსფერი არ შემდგარა „დინამოში“. გივი ნოდია მათ დააკვირდება და 25 ივნისისთვის 44 ფეხბურთელის სია 26 კაცამდე გაიცხრილება. 26 ივნისს „დინამო“ ბაკურიანში გააგრძელებს შეკრებას, სადაც ათი დღით შეყოვნდება.

ეგზოტიკური ამბავიც — „დინამოში“ ერთი ბრაზილიელიც ვარჯიშობს, ვინმე ჰიდეო გარსია. როგორც „დინამოში“ გვითხრეს, ეს ფეხბურთელი გარკვეულმა პირებმა წარუდგინეს საქართველოს ათგზის ჩემპიონს, მაგრამ მათი რეკომენდაცია ერთია და „დინამოს“ ხელმძღვანელობის აზრი მეორე. გარსია ამ ცოტა ხნის წინ თბილისის „ლოკომოტივშიც“ ვარჯიშობდა. ნოდია მას ახლა „დინამოს“ ორმხრივ თამაშებშიც გამოცდის.

ბაკურიანის შემდეგ გუნდი თბილისში დაბრუნდება, ხოლო 11 ივლისიდან გერმანიაში, „ლევერკუზენის“ ბაზაზე, პატარ ქალაქ ბიტბურგში შეუდგება მზადებას. უკვე დადგინდა „დინამოს“ საკონტროლო-ამხანაგური მატჩების განრიგი: 14 ივლისს გივი ნოდიას ბიჭები „ფრაიბურგს“ შეხვდებიან, 20 ივლისს „ლევერკუზენის“ მეორე გუნდს, ერთი დღის შემდეგ „კიოლნს“, 23 ივლისს კი ლუქსემბურგის ჩემპიონატის მეორეადგილოსან „გრევენმახერს“. მოლაპარაკება მიმდინარეობს მეორებუნდესლიგელ აახენის „ალემანიასთან“.

„დინამოს“ ავან-ჩავანზე ერთსაც გეტყვით — გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ნიკა ჩხეიძე 8 ივლისს ბერლინში გაემგზავრება. საქმე ისაა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირთან არსებული ფრანკფურტის მწვრთნელთა სკოლა სამდღიან სემინარს ატარებს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის 640 მწვრთნელი დაესწრება.

**დავით თაგართქილაძე**

# გია გეგუჩაძემ ქუდი დაიხურა

**გუშინ** ახალი საფეხბურთო სეზონისთვის სამზადისს შეუდგა რუსთავის „გორდა“. პირველი ვარჯიში რუსთაველებმა უმწვრთნელოდ ჩაატარეს — გია გეგუჩაძე გუნდიდან წავიდა. „გორდას“, სავარაუდოდ, იასონ ალადაშვილი უთავკაცებს.

მოკლედ, გეგუჩაძე უმუშევარი დარჩა, მაგრამ ეს ნაბიჯი საკუთარი სურვილით გადადგა, რადგან სამწვრთნელო პრინციპებს არ უღალატა — ახალგაზრდა მწვრთნელს გუნდში არსებული ვითარება მუშაობისთვის არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა და ამიტომაც დაიხურა ქუდი.

გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება, მათთვის ელემენტარული პირობების შექმნა, სათადარიგო მოედნის მოწესრიგება — აი, ის, რასაც გეგუჩაძე ითხოვდა და რომლის შესრულების გარანტიაც ვერ მიიღო კლუბის ხელმძღვანელობისგან. არადა, „გორდას“ მესვეურებს ცდა არ დაუკლიათ მთავარი მწვრთნელის შესანარჩუნებლად. გუნდის პრეზიდენტმა თემურ ბუილიშვილმა ქალაქის ხელმძღვანელებსაც სთხოვა თანადგომა, მაგრამ მათგან დახმარების დაპირებაც კი ვერ მიიღო.

ორიოდ დღის წინ „გორდამ“ კრება ჩაატარა, სადაც ფეხბურთელებმა გეგუჩაძის გუნდში დარჩენა ითხოვეს, მაგრამ ამანაც ვერ გადაათქმევინა თბილისელ მწვრთნელს მიღებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება თავად გეგუჩაძეს, მისი თქმით, იგი სხვა გუნდების წინადადებებს დაელოდება, თუკი აქედან არაფერი გამოვა, ბავშვთა ფეხბურთში გააგრძელებს მოღვაწეობას.

**ბაატა ქვანტალიანი**

# მიდიან და მოდიან

## ასლანის თანმიმდევრული პოლიტიკა

**მეცამეტე** ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო „ბათუმმა“ — გუშინ არდადეგების შემდეგ პირველად ივარჯიშეს ზღვისპირელებმა და გუნდმა კრების ჩატარებაც მოასწრო. გადაწყდა, რომ „ბათუმს“ დატოვებენ ნახევარმცველი გელა ქორიძე და მცველები — ივანე მახარაძე და ზვიად პაპიძე. სამივე გამოცდილი ფეხბურთელია, ბევრი უნახავთ და გადახდენიათ ჩვენს ჩემპიონატში, მაგრამ მათი და ასლან ბალაძის გუნდის გზები გაიყარა. როგორც შევიტყვეთ, ამ მოთამაშეებს თავად გამოუთქვამთ „ბათუმიდან“ წასვლის სურვილი.

რაც შეეხება 22 წლის მცველ კახა მეავანაძეს, მისი საკითხი კვლავაც გაურკვეველია — ის ისევ მოსკოვის „სპარტაკშია“ გასინჯვაზე.

„ბათუმი“ კი დაცვის ხაზში უკვე ცდილობს თადარიგის დაჭერას — 29 წლის ზურაბ არჩვაძის დაბრუნება სურს. ფეხბურთელიც თანახმაა, მაგრამ ჯერ ქუთაისის „ტორპედოსთანაა“ საქმე გასარკვევი, რომლის ძირითად შემადგენლობაშიც არჩვაძეს იშვიათად ვხედავდით წინა სეზონში.

ზღვისპირლები თვის ბოლომდე შინ გააგრძელებენ მზადებას. უცხოური შეკრება ჯერ დაგეგმილი არ არის.

— ივნისის მიწურულს გუნდი უკვე მთლიანად დაკომპლექტდება. აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებთ, მაგრამ არა მხოლოდ ადგილობრივებზე. ნიჭიერი ფეხბურთელები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა მოვიძიოთ — გვითხა „ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ.

მართალია, ბათუმელთა ახალი საკლუბო პოლიტიკა ნათელია, გუნდის გაახალგაზრდავება ერთი ხელის მოსმით არ მოხდება. სამი ვეტერანი — ზურაბ მინდაძე, პაატა მაჭუტაძე და თემურ ტუღუში — მომდევნო სეზონშიც „ბათუმის“ ღირსებას დაიცავენ.

**დავით თაგართქილაძე**

ფეხბურთის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მწვრთნელთა განათლებაა — თვლის უეფა და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. ყოველწლიურად ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ეგიდით მწვრთნელთა მომზადების სემინარები ეწყობა ბებერი კონტინენტის სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი სემინარი შარშან საქართველოშიც ჩატარდა, როდესაც თბილისს უეფას ინსტრუქტორი ფრანკო ფერარი სტუმრობდა. ამის გარდა უეფა წელიწადში ერთხელ აწყობს ფართომასშტაბურ შემაჯამებელ ღონისძიებას — მწვრთნელთა მომზადების პროგრეს კურსებს, სადაც ლექცია-სემინარებს მსოფლიოში ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტები ატარებენ. მასზე ყოველ ევროპულ ქვეყანას თითო-ოროლა წარმომადგენელი ჰყავს. წლეულს ასეთი პატივი საქართველოდან ლევან ყიფიანს და გაიოზ დარსაძეს ერგო. დარსაძე, რომელიც უეფას ეგიდით ჩატარებულ 10 პროგრეს კურსებიდან რვაზე ნამყოფი იყო, უეფამ პერსონალურად მიიწვია რიგით მეთერთმეტე ღონისძიებაზეც. პროგრეს კურსები შარშანწინდელის მსგავსად წლეულსაც ფლორენციის გარეუბან კოვერჩანოში ჩატარდა 11-დან 15 ივნისის ჩათვლით. იტალიიდან დაბრუნებულ გაიოზ დარსაძეს გუშინ შევხვდით და შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ:



სერგეი ალეინიკოვი, ჰანსი მიულერი, გაიოზ დარსაძე და ენდი როქსბურგი

# ფეხბურთის ხელოვნება და ტაქტიკის ფილოსოფია

— ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები ვარ. ნებისმიერი მწვრთნელისთვის ფასდაუდებელია პრაქტიკულ-თეორიული ცოდნა, რომელიც წლეულს კოვერჩანოში შევიძინე. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემს იტალიაში გამგზავრებას შეუწყო ხელი. მადლობა უეფას ტექნიკურ დირექტორ ენდი როქსბურგს. მადლობელი ვარ ლევან ყიფიანისაც. ჩვენ საუცხოო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ამ ხნის მანძილზე. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და ჩვენი დუეტი კოვერჩანოში ერთ-ერთი სანიმუშო იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ შეგვირცხვენია.

**— როგორც წესი, უეფა ამ ღონისძიებას ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს. კოვერჩანო პირველია, პროგრეს კურსების მასპინძლობის პატივი მეორედ რომ ერგო...**

— ეს გამონაკლისი უეფას შემთხვევით არ დაუშვია, რადგან ამ საფეხბურთო ედემში მართლაც ყველანაირი პირობაა მუშაობისთვის. იდეალური მოედნები, ბიბლიოთეკა, სუპერთანამედროვე კომპიუტერული ცენტრი... ბოლოს და ბოლოს კოვერჩანო იტალიური ფეხბურთის ტექნიკური ბაზაა.

**— კოვერჩანოში გამართულ შარშანწინდელ და წლევანდელ კურსებს შორის რა სხვაობა შენიშნეთ?**

— უეფას შემუშავებული აქვს მწვრთნელთა მომზადების ერთიანი პროგრამა. თითოეული პროგრეს კურსი დიდი ჯაჭვის თითო შემადგენელი რგოლია. მაგალითად, ორი წლის წინანდელ კურსებზე აქცენტი ფეხბურთელის ფიზიკურად მომზადების თეზისებზე იყო აგებული, წლევანდელი მომზადების ერთიანი სახელწოდება კი ფეხბურთის ხელოვნება გახლდათ.

**— ორიგინალურია...**

— მე ვიტყოდი, რეალური. ფეხბურთი ხელოვნებაა. მხატვრობა ავიღოთ მაგალითად, ხელოვნებაა მხატვრობაც და ფეხბურთიც, რადგან ორივეს სწავლობს ადამიანი. ინდივიდუალიზმი და შეუვალობა — კიდევ ერთი პარალელი მხატვრობას და ფეხბურთს შორის. ბოლოს და ბოლოს ორივე მათგანს მაყურებელ-შემფასებელი სჭირდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მხატვარი ხატავს არა მხოლოდ ფუნჯით, არამედ პირველ რიგში, თავით. თავით მოქმედებს მწვრთნელიც, თუნდაც ფეხბურთელი — სწორი ფეხბურთისთვის ფეხზე მნიშვნელოვანი თავია. განა ხელოვნება არ არის ეს — დარსაძემ კოვერჩანოდან ჩამოტანილი ვიდეოფირი ჩართო. ეკრანზე კლასიკური შედევრების აკომპანიმენტით გემოვნებით დამონტაჟებული მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავთა მიერ შესრულებული საოცრებების ამსახველი კადრები ენაცვლება ერთმანეთს — კოვერჩანოდან ბევრი სასწავლო ვიდეოფირი მაქვს ჩამოტანილი. ზღვა მასალაა, სათანადოდ გადამუშავება სჭირდება.

**— პროგრეს კურსებზე წარმომადგენლობა ალბათ სოლიდური იქნებოდა...**

— როგორც ყოველთვის. სასწავლო პროცესს უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი უძღვებოდა. ლექცია-სემინარებში მონაწილეობდნენ აგრეთვე საფეხბურთო წრეში ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორიც არიან: ალბერტო ძაკერონი, რობერტო ლა გუნო („რომას“ ყოფილი მწვრთნელი), ფრანკო ფერარი, როჯერ სპრაი. პრაქტიკულ ციკლში მონაწილეობდნენ პიეტრო ვერხოვოდი, დანიელე მასარო, ვალტერ ძენგა, რობერტო მანჩინი. კოვერჩანოშივე პერსონალურად იყო მოწვეული ამჟამად იტალიაში მცხოვრები და უმუშევარი სერგეი ალეინიკოვი.

**— საფეხბურთო ხელოვნება რა საკითხებს აერთიანებდა?**

— აქცენტები იყო ისეთ გლობალურ საკითხებზე, როგორიცაა გოლის გატანის ხელოვნება, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, სისწრაფე და თამაშის წაკითხვა, ტაქტიკის ხელოვნება.

**— უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით თითოეულ მათგანზე?**

— სრულად რომ მოვყვე, ამას საგაზეთო ფურცლები არ ეყოფა და თანაც ამოუწურავი თემაა.. უზღვავი ინფორმაციაა გადასამუშავებელი. აი, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის გასულ გათამაშებაში 449 გოლი გავიდა. აქედან 60 გოლი კუთხურებს მოჰყვა, 73 ფლანგურ პასს, 64 გოლი კომბინაციებით გავიდა, 36 — პენალტით. ერთი შეხედვით მშრალი სტატისტიკაა, მაგრამ გლობალური დასკვნების საშუალებას იძლევა და მთლიანობაში ამა თუ იმ ტაქტიკური მონახაზის სწორად წარმოდგენას უკავშირდება. ფეხბურთში ხომ ტაქტიკის შერჩევა, შერჩეული მონახაზის შესრულება ურთულესი და მე ვიტყოდი, გადამწყვეტი მნიშვნელობის პროცესია. ტაქტიკური სრულყოფისთვის საჭიროა თამაშის ხედვის, უბურთოდ და ბურთიანად მოძრაობის სისწრაფე. ტაქტიკური სრულყოფისთვის ფეხბურთელის სხეული და გონება უნდა მოქმედებდეს შეთანხმებულად და სწრაფად. ყოველივე ამის მოედანზე შესრულება ურთულეს გონებრივ სამუშაოს უკავშირდება როგორც მწვრთნელის, ასევე ფეხბურთელის მხრიდან. სწორედ ამ ფაქტს გაესვა ხაზი კოვერჩანოში. ტაქტიკური სრულყოფა უამრავ მოსამზადებელ სამუშაოს ითვალისწინებს...

რვა წლის წინანდელი შემთხვევა მახსენდება. 16-წლამდელთა ნაკრებში ვმუშაობდი და ფეხბურთელებს ერთ-ერთი მატჩის წინ ორი საათი ვუხსნიდი სათამაშო სქემას. ვერაფერი გაიგეს. კინაღამ მოთმინება დავკარგე. საერთოდ ფეხბურთიდან წასვლა მინდოდა. ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა გადამაფიქრებინა. ახლაც კარგად მახსოვს მისი სიტყვები: „ამის გაგება, გაიოზ, მოზარდს კი არა, ჩამოყალიბებულ ფეხბურთელსაც უჭირს. დრო და საქმეა საჭირო.“ არადა, ერთი შეხედვით, რა ადვილია ყოველივე: ტაქტიკური სრულყოფის მთელი ფილოსოფია მინდორზე თავისუფალი სივრცის გამონახვასა და იქ უპირატესობის მოპოვებაზეა დამყარებული, მაგრამ როგორი გასაკეთებელია ეს მოედანზე...

**— დღეს ფიფა-უეფა ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვეზეა ორიენტირებული. ამ მხრივ რა ითქვა კოვერჩანოში?**

— პირადად მე გაოცებული დავრჩი. უეფას მართლაც შეუძლია, ამ ნოვაციით იამაყოს. ეს ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ნებისმიერი დიდი დონის მატჩი, რომელიც შემდეგ, ბუნებრივია, სასწავლო მიზნითაც გამოიყენება, ერთბაშად 8 კამერით იყოს გადაღებული. ამ მოთხოვნის სრულყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო გადამუშავების შემდეგ რამდენიმე საათში შენს ხელთ არის ფასდაუდებელი მასალა, რომელიც მოედნის ყველა კიდეში მომხდარზე, თითოეული სათამაშო რგოლის მონაცემებზე სრულ ინფორმაციას გაწვდის. თეორიული მეცადინეობებისას, როდესაც „ბაიერნ“ — „ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის გაანალიზება მოხდა, ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა დაუპირისპირა ჰიცფელდმა კუპერის ტაქტიკას და რატომ იყო გერმანელის მონახაზი უფრო მომგებიანი.

**— სურვილი თუ გაქვთ, რომ კოვერჩანოში მიღებული გამოცდილება თქვენს ქართველ კოლეგებს გაუზიაროთ?**

— მე და ლევან ყიფიანს გვქონდა ამასთან დაკავშირებით საუბარი. მე ვუთხარი, რომ ყოველთვის მზად ვარ, ჩემი ცოდნა სხვას გადავცე. დღეს მერაბ ჟორდანიასგან მივიღე შემოთავაზება, მწვრთნელთა განვითარების პროგრამას ვუხელმძღვანელო. საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს. ვფიქრობ, შევთანხმდებით, ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება.

**ბაატა ქვანტალიანი**

## ესპანეთი

XXXVIII ტური

### სოსიედადი 0:1 ოსასუნა

0:1 ივან როსადო (41)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ჟულიო სეზარი, დე პედრო, ლუის ალბერტო, ტაიფუნი (ფუენტესი 68), ხოხლოვი (დემეტრაძე 48), დე პაულა (არანბურუ 59), იდიაკესი, იანკაუსკასი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, კრუჩაგა, ხოსუე (ივან პერესი 75), ხერარდო, ანხელ ლუისი (ლორენსი 46), ალფონსო (ტრეჩაკი 65), ალექსი, ლეკუმბერი, განსედო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: კრუჩაგა
გაძევება: ტრეჩაკი (88)
31 000 მაყურებელი

### ბარსელონა 3:2 ვალენსია

1:0 რივალდო (3), 1:1 ბარახა (25), 2:1 რივალდო (45), 2:2 ბარახა (46), 3:2 რივალდო (89)
ბარსელონა: დუტრუელი, ფ. დე ბური, სერხი, პუიოლი, გვარდიოლა (პეტი 65), კოკუ, ოვერმარსი, გაბრი, სიმაო (ხავი 46), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, ანგლომა, ალბელდა, ფაბიო აურელიო, ანგულო, ბარახა, აიმარი (ჯუკიჩი 85), კარეუ (ილიე 85), კილი გონსალესი (ვისენტე 65)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ფაბიო აურელიო, სერხი, ალბელდა, გაბრი, კანისარესი, პელეგრინი, რივალდო, პალოპი („ვალენსიას" სათადარიგო მეკარე)
85 000 მაყურებელი

### რეალი 2:1 ვალიადოლიდი

1:0 რაული (23), 1:1 კავიედესი (78), 2:1 რაული (85)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო (ელგერა 46), სანჩისი, კარანკა, მაკმანამანი, სავიო (ფლავიო კონსეისაო 73), მაკელელე, გუტი (მუნიტისი 57), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ვალიადოლიდი: რიკარდო, პეინადო, მარკოსი, გარსია კალვო, ტორეს გომესი, პენია, ჩემა (ჩირიჩი 61), ტურიელი (ეუსებიო 69), კამინერო (ფერნანდო სალესი 72), ფერნანდო, კავიედესი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: გარსია კალვო
60 000 მაყურებელი

### დეპორტივო 4:0 მალაგა

1:0, 2:0 ჯალმინია (8, 48), 3:0 მაკაი (58), 4:0 ვიქტორი (79)
დეპორტივო: მოლინა (სონგო 80), მანუელ პაბლო, ნაიბეტი, კამპევილა, მაურო სილვა, ჯალმინია (დუშერი 77), ფრანი, ვიქტორი, დონატო, ვალერონი, მაკაი (პანდიანი 70)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მალაგა: კონტრერასი, ბრავო, როტეტა, ფერნანდო სანსი, ხოსემი, მოვილია (სანდრო 56), მუსამპა (აგოსტინიო 56), რუფეტე, დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა, დელი ვალდესი (კანაბალი 75)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: როტეტა, ბრავო, სანდრო
32 000 მაყურებელი

### მალიორკა 4:2 ოვიედო

1:0 ენგონგა (37პ), 2:0 ეტოო (58), 2:1 ოლი (59), 3:1 იბაგასა (64), 3:2 ივან ანია (78), 4:2 ნოვო (90)
მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი, სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი, იბაგასა, ფინიდი (ლეო ბიაჯინი 67), მარკოსი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 55), ეტოო, ლუკე (ნოვო 62)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო, დანჟუ, ჟ. ტომიჩი (რუბენი 61), ხაიმე (რაული 72), ივან ანია, გასპარი, ოლი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთილება: ენგონგა, დანჟუ, ბორისი
გაძევება: რაბარივონი (36)
20 000 მაყურებელი

### სარაგოსა 1:1 სელტა

0:1 კატანია (51), 1:1 ჟამელი (58)
სარაგოსა: ლაინესი, აგუადო, რებოსიო, პაბლო, სუნდგრენი, მარტინ ველისკა (გარიტანო 75), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (იორდი 83), ხუანელე (კუარტერო 75), ესნაიდერი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
სელტა: [illegible]
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: [illegible]
გაძევება: ესნაიდერი (16)
34 500 მაყურებელი

# მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი: ზიდანი? არა, რივალდო!




REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ვალენსია. რივალდოს სწორედ ის დარტყმა...

### ნუმანსია 2:1 ალავესი

1:0 ხაუმე (17), 1:1 ხავი მორენო (76), 2:1 ივან პერესი (76)
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე, მანელი, პაჩეტა, ნაგორე, როსუ (ოქტავიო 60), კულებრასი, ხოსე მანუელი (ივან პერესი 49), კაკო მორანი, ინიაკი (სორია 78), ოხედა
მწვრთნელი: სელესტინო ვალეხო
ალავესი: კიკე (ერერა 32), იბონ ბეგონია, კარმონა, ტელიესი, განანი (მაგნო 46), ბრანდაონი, სარიერი, ი. ტომიჩი (მარიო 59), ასკოიტია, ვუჩკო, ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ასკოიტია, სარიერი, ტომიჩი
9 200 მაყურებელი

### რასინგი 3:0 ბილბაო

1:0 რეგუერო (48), 2:0 მაცონი (58), 3:0 რეგუერო (65)
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, ნერუ, ესპინია, ვივარ დორადო, მაცონი, მორანი (ხუანმა 46), კოლსა, მანხარინი (პინედა 68), მაგალიანესი (რეგუერო 47)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ბილბაო: არანსუბია, ფელიპე, კარლოს გარსია, რიოსი, ლარაინსარი, დელ ჰორნო, იესტე (ხ. ეჩებერია 55), ალკისა, ტიკო (ფელიპე 56), ორბაისი, ესკერო (იმასი 69)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო რიოხო
გაფრთხილება: არსენო, მანხარინი, დელ ჰორნო, ნერუ, პინედა
გაძევება: ლარაინსარი (63)
8 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 4:0 ესპანიოლი

1:0 ესკუდე (10), 2:0 ხავი გრასია (39), 3:0 ნავასი (50ს.კ.), 4:0 პალერმო (90)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, მედინა, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, ხავი გრასია (ბარტოს შელოტო 69), ესკუდე, ამორი (ხაიმე 82), კრაიოვეანუ (მოიზესი 72), ხორხე ლოპესი, პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ესპანიოლი: [illegible]
მწვრთნელი: [illegible]
გაფრთხილება: [illegible]
16 000 მაყურებელი

### ლას პალმასი 1:0 რაიო ვალეკანო

1:0 ორლანდო (22)
ლას პალმასი: ამადორი, რამონი (ხოსიკო 74), სარასუა (ოლიასი 85), პაკუი, შურერი, პაკიტო, სემვისი, ხორხე, ორლანდო (ელოი 46), გიარე, ანხელი
მწვრთნელი: სერჟიო კრესიჩი
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, მინგო, დე კინტანა, ალკასარი (უნტეჩილა 87), ბალესტეროსი, მაურო (ბოლო 46), ივან იგლესიასი, მიჩელი, პაბლო სანსი (გლაუჩიო 54), სეტვალსი, ბოლიჩი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
12 710 მაყურებელი

„სალოლ, რივალდო, ნახეთ, რა ჩერეზსებია გააკეთა!" — იტყვის „ბარსელონას" ალტაცებული თბილისელი ქომაგი.

„ჩვენი გავიტანეთ და ფრანკ დე ბურს თამაშის უფლება მიეცა. ხომ ნახეთ, სწორედ ფრანკის პასით გაიტანა რივალდომ" — იტყვის „ბარსელონას" იურისტი.

„საჯარიმოსთან ვიდექი და ფრანკისგან პასი მივიღე, ბურთი მკერდით გავისწორე და... მგონი, ძალიან ლამაზი გოლი გამომივიდა, ვფიქრობ, ქომაგები კმაყოფილნი დარჩნენ" — თქვა რივალდომ.

ვალენსიელებს არაფერი უთქვამთ, ან რა უნდა ეთქვათ. ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორი სეზონის ფინალისტი გაისად უეფას თასისთვის თუ იბრძოლებს.

კატალონიური კლუბის ოფიციალურ საინტერნეტო გვერდში კი ითქვა:

„შეუძლებელია, ჩვენმა ფანებმა ეს საღამო ოდესმე დაივიწყონ. მათ გონებაში მატჩის ფრაგმენტები შემორჩება, მაგრამ ის, რაც რივალდომ გააკეთა — არასდროს და არა მარტო ის, რაც გააკეთა, არამედ ისიც, თუ როგორ გააკეთა. წინა ტურში ჩვენ მეორე წუთზე გავიტანეთ გოლი და არც ამჯერად ვალოდინეთ გულშემატკივარი. მეოთხე წუთი იყო, როცა საჯარიმოთი ანგარიში გავხსენით. მართალია, ხოსეპ გვარდიოლას არ დაურტყამს, მაგრამ ხომ ვიცით, როგორც ურტყამს რივალდო და მან ამ მატჩში პირველად წამოახტუნა ქომაგები. ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალი „ბარსელონას" მატარებელი დაიძრა,

ჩვენს ფეხბურთელთა კარგ გარჯას ფასს ისიც მატებს, რომ „ვალენსიამ" მაღალი კლასის ფეხბურთი ითამაშა. მათგან პირველი სახიფათო მომენტი კილი გონსალესმა შექმნა და მალევე პაბლო აიმარმა რივალდოსნაირი საჯარიმოს შესრულება სცადა, ჩვენდა საბედნიეროდ, ოდნავ ააცილა.

თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ „ბარსა" არაფერს აკეთებდა. მარკ ოვერმარსმა ბრწყინვალე პოზიციაზე გაიყვანა სიმაო, რომელმაც ძელს გაარტყა.

რამდენიმე წუთიც და რუბენ ბარახამ თავურით გაათანაბრა. ამ გოლმა თამაშის მიმდინარეობა შეცვალა.

„ბარსელონამ", როგორც მოსალოდნელი იყო, გააფთრებით შეუტია. ოვერმარსმა და სიმაომ თამაში ფლანგებზე გადაიტანეს. ამან ჩვენი იერიშები გაამწვავა და ჩანდა, რომ სტუმართა კარგად ორგანიზებული დაცვა სულ მალე გატყდებოდა. ასეც მოხდა! როცა ტაიმის დასრულებას წუთიღა უკლდა, რივალდომ დიდებული დრიბლინგით ჩამოიტოვა ორი მცველი და მეორე გაიტანა. შესვენებისას „კამპ ნოუზე" ვერ ნახავდით ბარსელონელ ქომაგს, რომელიც საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული არ იქნებოდა და მით უმეტეს, ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ დრამატულ დასასრულს.

ის იყო, „კამპ ნოუზე" ზეიმის დაწყებას აპირებდნენ, რომ სხვაგვარად მოფიქრალმა „ვალენსიამ" მეორედ გაათანაბრა. რუბენ ბარახამ ფაბიო აურელიოსგან პასი მიიღო და რიშარ დუტრუელს ახლო კუთხეში გაუტანა. ისევ ბარახა!

და ჩვენები შტურმზე გადავიდნენ. ოვერმარსს პირველი დარტყმა კანისარესმა აულო. მეორედ ჰოლანდიელმა ლამის ნახევარი გუნდი მოატყუა და დარტყმა გაუცუდდა. სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდა პატრიკ კლუივერტს, რომელსაც მთელი მატჩის მანძილზე ერთადერთი მომენტი ჰქონდა და კარლოს რექსაჩმა ის ბუდევინ ზენდენით შეცვალა. ამ ცვლილებამ გაამართლა, ზენდენმა თამაშის გამწვავება შეძლო, რასაც ნაკლებად ვიტყვით ხავიზე და ემანუელ პეტიზე, რომლებმაც იქამდე სიმაო და გვარდიოლა შეცვალეს.

ბოლო წუთებზე სტადიონი ლამის დაინგრა. ხალხი გოლს ელოდებოდა. ის კი არ ჩანდა. „ვალენსიამ", ფაქტობრივად, შეწყვიტა შეტევა და მთლიანად დაცვაში ჩადგა. 85-ე წუთზე ექტორ რაულ კუპერმა აიმარი მიროსლავ ჯუკიჩით შეცვალა. ოვერმარსი ზედიზედ აწოდებდა სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

და დადგა ფანტასტიკური ბოლო წუთიც. ფრანკ დე ბურმა საჯარიმოს კუთხესთან რივალდოს ჩააწოდა. რივალდო კარისკენ ზურგით იდგა, ბურთი მკერდით მიიღო და საოცარი გოლი გაიტანა.

ეს მართლაც საოცრება იყო. სიხარულით გაგიჟებული ხალხი და რივალდო — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი! ეს გაგიჟება კი ნიშნავს, რომ შემოდგომაზე „კამპ ნოუზე" ჩემპიონთა ლიგა დაბრუნდება!"

აი, ასეთია, „ბარსელონა" — „ვალენსიას" მატჩის ბარსელონელთა შეფასება.

სხვა მატჩებიდან გამოვარჩიოთ „ოსასუნას" გამარჯვება სან სებასტიანში და „ოვიედოს" მარცხი მალიორკაში. ბასკებს ბასკებზე გამარჯვებამ პრიმერადივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა, ხოლო მალიორკელთა წადილმა, როგორმე „დეპორტივოსთვის" მეორე ადგილი წაერთმიათ, ოდენ რადომირ ანტიჩის გუნდი შეიწირა. აღსანიშნავია, რომ იმ სამი გუნდიდან, რომლებიც ამ სეზონში დივიზიონის ახალწვეულებად ითვლებოდნენ, სამივე დივიზიონში დარჩა.

ბოლოს კი ბომბარდირებისა ვთქვათ. ხავი მორენომ გაიტანა, მაგრამ ბომბარდირი ვერ გახდა. რივალდომ სულაც სამი გაიტანა და ვერც ის გახდა ბომბარდირი. მათ რაულმა გაუსწრო, რომელმაც „ვალიადოლიდთან" შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 38 | 24 | 8 | 6 | 81:40 | 41 | 80 | 19 | 15 | 3 | 1 | 53:15 | 38 | 48 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:25 | 3 | 32 |
| 2 | დეპორტივო | 38 | 22 | 7 | 9 | 73:44 | 29 | 73 | 19 | 15 | 3 | 1 | 44:13 | 31 | 48 | 19 | 7 | 4 | 8 | 29:31 | -2 | 25 |
| 3 | მალიორკა | 38 | 20 | 11 | 7 | 61:43 | 18 | 71 | 19 | 14 | 4 | 1 | 38:19 | 19 | 46 | 19 | 6 | 7 | 6 | 23:24 | -1 | 25 |
| 4 | ბარსელონა | 38 | 17 | 12 | 9 | 80:57 | 23 | 63 | 19 | 14 | 4 | 1 | 51:24 | 27 | 46 | 19 | 3 | 8 | 8 | 29:33 | -4 | 23 |
| 5 | ვალენსია | 38 | 18 | 9 | 11 | 55:34 | 21 | 63 | 19 | 13 | 1 | 5 | 30:10 | 20 | 40 | 19 | 5 | 8 | 6 | 25:24 | 1 | 23 |
| 6 | სელტა | 38 | 16 | 11 | 11 | 51:49 | 2 | 59 | 19 | 11 | 5 | 3 | 31:17 | 14 | 38 | 19 | 5 | 6 | 8 | 20:32 | -12 | 21 |
| 7 | ვილიარეალი | 38 | 16 | 9 | 13 | 58:52 | 6 | 57 | 19 | 9 | 6 | 4 | 33:25 | 8 | 33 | 19 | 7 | 3 | 9 | 25:27 | -2 | 24 |
| 8 | მალაგა | 38 | 16 | 8 | 14 | 60:61 | -1 | 56 | 19 | 12 | 4 | 3 | 34:24 | 10 | 40 | 19 | 4 | 4 | 11 | 26:37 | -11 | 16 |
| 9 | ესპანიოლი | 38 | 14 | 8 | 16 | 46:44 | 2 | 50 | 19 | 10 | 4 | 5 | 25:16 | 9 | 34 | 19 | 4 | 4 | 11 | 21:28 | -7 | 16 |
| 10 | ალავესი | 38 | 14 | 7 | 17 | 58:59 | -1 | 49 | 19 | 10 | 2 | 7 | 34:24 | 10 | 32 | 19 | 4 | 5 | 10 | 24:35 | -11 | 17 |
| 11 | ლას პალმასი | 38 | 13 | 7 | 18 | 42:62 | -20 | 46 | 19 | 10 | 3 | 6 | 20:21 | -1 | 33 | 19 | 3 | 4 | 12 | 22:41 | -19 | 13 |
| 12 | რაიო ვალეკანო | 38 | 13 | [illegible] | 15 | 56:68 | -12 | [illegible] | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 30:25 | 5 | [illegible] | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 26:43 | -17 | [illegible] |
| 13 | სოსიედადი | 38 | 11 | 10 | 17 | 52:68 | -16 | 43 | 19 | 7 | 6 | 6 | 28:29 | -1 | 27 | 19 | 4 | 4 | 11 | 24:39 | -15 | 16 |
| 14 | ბილბაო | 38 | 11 | 10 | 17 | 44:60 | -16 | 43 | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 15 | სარაგოსა | 38 | 9 | 15 | 14 | 54:57 | -3 | 42 | 19 | 8 | 9 | 2 | 40:23 | 17 | 33 | 19 | 1 | 6 | 12 | 14:34 | -20 | 9 |
| 16 | ვალიადოლიდი | 38 | 9 | 15 | 14 | 42:50 | -8 | 42 | 19 | 8 | [illegible] | [illegible] | 24:15 | 9 | [illegible] | 19 | 1 | [illegible] | [illegible] | 18:35 | -17 | [illegible] |
| 17 | ოსასუნა | 38 | 10 | 12 | 16 | 43:54 | -11 | 42 | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 17:29 | -12 | [illegible] |
| 18 | ოვიედო | 38 | 11 | 8 | 19 | 51:67 | -16 | 41 | 19 | 9 | 6 | 4 | 42:27 | 15 | 33 | 19 | 2 | 2 | 15 | 9:40 | -31 | 8 |
| 19 | რასინგი | 38 | 10 | 9 | 19 | 48:62 | -14 | 39 | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 33:21 | 12 | [illegible] | 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 15:41 | -26 | [illegible] |
| 20 | ნუმანსია | 38 | 10 | 9 | 19 | 40:64 | -24 | 39 | 19 | 8 | 5 | 6 | 24:25 | -1 | 29 | 19 | 2 | 4 | 13 | 16:39 | -23 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 24 |
| რივალდო (ბარსელონა) | 23 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 22 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |

## მეორე დივიზიონი

XLII ტური

### უელვა 1:2 ფეროლი

0:1, 0:2 ვილა (3, 32), 1:2 გალანი (46)

### ლეიდა 2:2 ესტრემადურა

0:1 აგანსო (34), 1:1, 2:1 რენალდო (68პ, 69), 2:2 ფელიქსი (79)

### სალამანკა 1:2 მურსია

0:1 ფიგეროა (10), 0:2 ტონელოტო (48), 1:2 ტოლედო (55)

### სევილია 2:1 ეიბარი

1:0 ოლივერა (2), 1:1 არტეჩე (40), 2:1 ფრედი (75)

### სპორტინგი 2:2 კორდობა

0:1 მანლო (47), 1:1 სოტო (56), 2:1 ჩერიშევი (75), 2:2 ქუინი (84)

### ლეგანესი 0:1 ტენერიფე

0:1 უგო მორალესი (72)

### ალბასეტე 2:3 უნივერსიდადი

1:0 გერერო (8), 2:0 მიკელი (13), 2:1 ალექსისი (22პ), 2:2 ჯონათანი (27), 2:3 იერაი (70)

### ხეტაფე 0:1 ატლეტიკო

0:1 ლუკე (28)

### ლევანტე 2:1 ბადახოსი

1:0, 2:0 აურელიო (31, 53), 2:1 პაბლო გონსალესი (84)

### ხაენი 0:2 ბეტისი

0:1, 0:2 კასასი (2, 70)

### ელჩე 2:2 კომპოსტელა

0:1 გუდელი (13), 0:2 აგუადო (31), 1:2 ნანო (35), 2:2 ბენია (67)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 42 | 23 | 11 | 8 | 66:39 | 80 |
| ბეტისი | 42 | 21 | 12 | 9 | 49:32 | 75 |
| ტენერიფე | 42 | 21 | 11 | 10 | 58:32 | 74 |
| ატლეტიკო | 42 | 21 | 11 | 10 | 59:39 | 74 |
| ალბასეტე | 42 | 18 | 12 | 12 | 46:40 | 66 |
| უელვა | 42 | 15 | 20 | 7 | 45:29 | 65 |
| სპორტინგი | 42 | 17 | 12 | 13 | 55:49 | 63 |
| ლევანტე | 42 | 13 | 21 | 8 | 58:50 | 60 |
| სალამანკა | 42 | 17 | 8 | 17 | 51:48 | 59 |
| ხაენი | 42 | 15 | 14 | 13 | 37:40 | 59 |
| ესტრემადურა | 42 | 16 | 10 | 16 | 42:46 | 58 |
| კორდობა | 42 | 14 | 14 | 14 | 40:43 | 56 |
| მურსია | 42 | 13 | 13 | 16 | 53:54 | 52 |
| ბადახოსი | 42 | 10 | 21 | 11 | 34:38 | 51 |
| ეიბარი | 42 | 11 | 17 | 14 | 30:32 | 50 |
| ფეროლი | 42 | 12 | 14 | 16 | 46:50 | 50 |
| ლეგანესი | 42 | 9 | 20 | 13 | 45:41 | 47 |
| ელჩე | 42 | 10 | 16 | 16 | 45:56 | 46 |
| კომპოსტელა | 42 | 11 | 12 | 19 | 41:65 | 45 |
| უნივერსიდადი | 42 | 8 | 15 | 19 | 34:63 | 39 |
| ხეტაფე | 42 | 8 | 11 | 23 | 42:65 | 35 |
| ლეიდა | 42 | 5 | 13 | 24 | 40:65 | 28 |

## იტალია

### XXXIV ტური

**რეჯინა 2:1 მილანი**

0:1 კალაძე (70), 1:1 მორაბიტო (77), 2:1 და კოშტა (82)
რეჯინა: ტაიბი, სტოვინი, ვარგასი, მეცანო, ბერნინი, ბრევი (კოცა 52), მამედე, ძანკეტა (და კოშტა 66), მორაბიტო, მარაცინა, დიონიჯი (ბოგდანი 77)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
მილანი: აბიატი, შამოტი, როკე ჟუნიორი (სალა 59), მალდინი, კოკო, ჰელვეგი, კალაძე, ჯუნტი, ლეონარდო (ბა 66), შევჩენკო, კომანდინი (ბირჰოფი 81)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
გაფრთხილება: მალდინი
25 912 მაყურებელი

**რომა 3:1 პარმა**

1:0 ტოტი (19), 2:0 მონტელა (39), 3:0 ბატისტუტა (78), 3:1 დი ვაიო (82)
რომა: ანტონიოლი, ძებინა (მანგონე 65), სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა (დელვეკიო 80), მონტელა (ნაკატა 80)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პარმა: ბუფონი, ბ. კანავარო, ტურამი, ფ. კანავარო, სარტორი (ამოროზო 53), სენსინი, ალმეიდა (ბენარივო 75), ფალზინი, ფუზერი (ბოგოსიანი 57), მილოშევიჩი, დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ალმეიდა
74 773 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 ატალანტა**

1:0 ტრეზეგე (5), 2:0 ტაკინარდი (65), 2:1 ნაპი (77)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, ფერარა, იულიანო, პარამატი (ატირსონი 71), ძამბროტა, ტაკინარდი, პესოტო, ზიდანი (ფ. ინძაგი 27), დელ პიერო, ტრეზეგე (კოვაჩევიჩი 74)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ატალანტა: პელიცოლი, კ. ძენონი, სიჟილია, კარერა, ბელინი, დუნდიერსკი, დ. ძენონი (პაგანო 76), ბერეტა, ძაური, მორფეო (ბიანკი 78), ნაპი (ქაპინალი 78)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
45 000 მაყურებელი

**ლეჩე 2:1 ლაციო**

0:1 კრესპო (44პ), 1:1, 2:1 ვაზარი (46, 73)
ლეჩე: კიმენტი, ჯორჯეტი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, ინგესონი (ვუცინიჩი 50), ტონეტო, კოლონელო (ჟუარესი 60), ვაზარი (პიეტო 85), ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, პობორსკი, დ. ბაჯო, სიმეონე (სტანკოვიჩი 64), ნედვედი (პეზარეზი 73), კრესპო, კლაუდიო ლოპესი (რავანელი 69)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: კლაუდიო ლოპესი
30 201 მაყურებელი

**ინტერი 2:1 ბოლონია**

1:0 ზეედორფი (35), 2:0 ვიერი (44), 2:1 ჩიპრიანი (78)
ინტერი: ბალოტა, კორდობა, ბლანი, ფერარი, ჩირილო, დი ბიაჯო (ბეატი 46), კოუ, გრეშკო, ზეედორფი, ვიერი, რეკობა (ტრეცი 87)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ბოლონია: პალიუკა, ბრიოსკი, კასტელინი, გამბერინი (კლაიტონი 59), ნერვო, ოლივე, მარუსკა, პაიჩენტინი, ვოლპე, ჩიპრიანი (კუინტავალე 87), ბინოტო (დელა როკა 46)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
1 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:2 ნაპოლი**

0:1 ნ. ამორუზო (48), 1:1 ნუნუ გომეში (83), 1:2 ედმუნდო (85)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი (ლასისი 57), ბრესანი, ამარალი, კ. ამორუზო (ტადეი 57), დი ლივიო (როსიტო 85), რუი კოშტა, კიეზა, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ნაპოლი: მანჩინი, კიროგა (მორიერო 85), ბალდინი, ბოკეტი, პინედა (იანკულოვსკი 46), ხუსაინი, მაგონი, პეკია, ბაჩინი, ედმუნდო, ნ. ამორუზო (ამაური 83)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: დი ლივიო, რეპკა, ხუსაინი
27 000 მაყურებელი

**ბრეშა 3:1 ბარი**

0:1 პოჯი (9), 1:1, 2:1 ტარე (11, 36), 3:1 უბნერი (64)
ბრეშა: სრნიჩეკი, ბონერა, კალორი, ფ. გალი, დიანა (მ. ქამოზიტო 79), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი (ბიზოლი 84), ბაჯინი, რ. ბაჯო, ტარე, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე

# იუვენტინოს დიდი სიხარული


REUTERS ფოტოები

რომა — პარმა. შიშველი ჩემპიონები: ფრანჩესკო ტოტი და ვენსან კანდელა

ბარი: გრეგორი, ინოჩენტი, ნექროიზი, სიბილანო, მაცარელი (დავანძანტე 66), დ. ანდერსონი (ბერნარდინი 73), ბელავისტა, ლა ფორტეცა, დელ გროსო, პოჯი, ლ. ანაკლერიო
მწვრთნელი: ლელო მანიმანიკო
13 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:3 ვიჩენცა**

0:1, 0:2 კალონი (2, 12პ), 0:3 ძაული (20), 1:3, 2:3 სოზა (30, 38)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ძამბონი, დიასი (პინცი 22; გუტიერესი 87), ჯანიკედა, ვალემი, ფიორე, მანფრედინი (იაკინტა 83), მუცი, სოზა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე, ძანჯი (მარკო მურელიო 64), ტომაში, სომეზე, ფირმანი, ბერნარდინი, კომოტო, ძაული (დაბო 76), კალონი (ეუდა 87), ტონი
მწვრთნელი: ედუარდო რეჯა
გაფრთხილება: პინცი, კომოტო
23 000 მაყურებელი

**ვერონა 2:1 პერუჯა**

1:0 სერიჩი (23), 1:1 ტედესკო (61), 2:1 სალვეტი (70)
ვერონა: ფერონი, გონელა, ლაურსენი, აპოლონი, სერიჩი (ტეოდორანი 49), კამორანეზი, მაცოლა, ლ. კოლუჩი, სალვეტი, მუტუ (მელისი 80), ადაილტონი (კოსატო 59)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი


REUTERS ფოტოები

ფაბიო კაპელო

პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია (ბლაზი 75), ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი (ლომბარდი 65), ანი (რობიატი 75), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: კოლუჩი, მატერაცი, ზე მარია, ანი, კოსატო
გაძევება: ლივერანი (35), აპოლონი (35)
25 000 მაყურებელი

**რომში** დიდ სახალხო დღესასწაული გაიმართა, ნანატრი და, ალბათ, ერთი ტურით დაგვიანებული, თუმცა... თუ ვინმე იტყვის, რომ სკუდეტომ „რომასთან“ ერთი ტურით კი არა, 18 წლით დაიგვიანა, ცამდე მართალი იქნება.

ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე 30 მეტრიანი პლაკატი აღემართათ. პლაქატზე ეხატა კლუბის ემბლემა და ეწერა SPQR — ასეთი გახლდათ რომის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო ბეჭედი.

„რაი უნოს“საინფორმაციო გამოშვებაში აჩვენეს გადაჭედილი ქუჩები და წითელმაისურიანთა ზღვა. ერთ-ერთ წითელმაისურიანს წითელმაისურიანი ძაღლიც ჰყავდა საზეიმოდ გაოყვანილი. მას მაისურაზე 10 ნომერი და ტოტო ეწერა. ჟურნალისტი პატრონთან მივიდა და ძაღლის სახელი ჰკითხა. თურმე, ნუ იტყვით და ტოტოს მაისურიან მეგობარს იუვენტინო რქმევია.

„ის, რაც თქვენთვის მოგონებაა, ჩვენთვის სინამდვილეა“ — ასეთი გახლდათ მეორე პლაკატის შინაარსი, რომელიც „ლაციოს“ გულშემატკივრებს ეძღვნებოდათ.

მაგრამ, ეს კლუბის ოფიციალური ზეიმი არ ყოფილა. ოფიციალური, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, ღონისძიება, მომავალ კვირას „ჩირკო მასიმოში“ გაიმართება, სადაც „რომას“ თავგადაკლული ქომაგი, მსახიობი და მოდელი, საბრინა ფერილი დაპირებისამებრ სტრიპტიზს ჩაატარებს.

ყველაფერი კი, იმიტომ მოხდა და მოხდება, რომ კვირას, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომამ“ 3:1 სძლია „პარმას“ და, როგორც მოგახსენეთ, იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. „რომას“ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, „პარმასთან“ მატჩის შედეგი სულერთი იყო და მხოლოდ საზოგადოების წინაშე პირნათლად დარჩენისთვის ინდომებდა. ბუნებრივია, ნამდვილ მონდომებასა და ხათრით მონდომებას შორის დიდი სხვაობაა, მით უფრო თუ ნამდვილად მონდომებული გუნდი ობიექტურადაც უფრო ძლიერია, ვიდრე ხათრით მონდომებული. შედეგიც შესაბამისი გამოვიდა — „რომა“ 3:0-ს იგებდა (პირველი ტაიმის შედეგი, 2:0) და ყოველმხრივ სჯობდა მეტოქეს. საბოლოო გახლდათ, რომ გამარჯვებულთაგან სამივე გოლი ლიდერებმა, ფრანჩესკო ტოტომ, ვინჩენცო მონტელამ და გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანეს.

თამაშის მიწურულს კი დაძაბულობა შენელდა. გუნდებმა, რომელთათვისაც ყველაფერი ნათელი იყო, ბურთის გორება და საფინალო სასტვენის ლოდინი დაიწყეს. საფინალო სასტვენს ელოდნენ თავის მოგიჟიანებას დახარბებული ქომაგებიც და, სწორედ ამ დროს, მსაჯის ერთ-ერთი, მორიგი, მაგრამ არა დამამთავრებელი სასტვენის ხმა გაისმა, ეს ტრიბუნებმა დასასრულად აღიქვეს და კარგა ბლომად ადამიანი მოედანზე გადაეშვა. გვარიანი დრო დასჭირდა გადამხტართათვის იმის მტკიცებას, რომ მატჩი ჯერ არ დამთავრებულა და თუ ჩაიშალა სკუდეტოს ნაცვლად „რომას“ შესაძლოა, ხელში სანქცია შერჩეს. ბოლოს, როგორც იქნა, გულშემატკივრები ტრიბუნებზე დაბრუნდნენ, ხოლო მინდორზე ფრიად სასაცილო სურათი გამოიკვეთა: იდგნენ შიშველი, თეთრსაცვლიანი ფეხბურთელები და შეხვედრის ჩასამთავრებლად ახალ ფორმებს ელოდნენ. ის, რაც მანამდე ემოსათ, სუვენირებად გახლდათ დატაცებული.

„დღეს მხოლოდ ფეხბურთელებმა როდი გავიმარჯვეთ. დღეს ქომაგებმაც გაიმარჯვეს, რომელთაც მთელი სეზონი ჩვენთან ერთად გაატანეს“ — თქვა შემდეგ ვინჩენცო მონტელამ.

„თამაშამდე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ისინი ფინალისტები იყვნენ და იტალიის ჩემპიონობის შანსი ჰქონდათ. სხვას ვერაფერს ვეტყოდი. ჩვენ მთელი სეზონის მანძილზე კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ და ბოლოსაც დავამტკიცეთ, რომ „პარმასნაირი“ გუნდების დამაჯერებლად დამარცხება შეგვიძლია. ეს ჩემპიონობა „რომასთვის“ უმნიშვნელოვანესი იყო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ ჩემთვისაც, რადგან ბოლოს „მილანში“ ვიმუშავე ერთი წლით და ის წელიწადი უიღბლო იყო“ — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

გაბრიელ ბატისტუტა: „ამ შეხვედრაში წვლილის შესატანად, გოლის გატანა მინდოდა და ახლა, გული სიხარულისგან ლამის გამისკდეს“.

ფრანჩესკო ტოტი: „სეზონის დასაწყისში ვთქვი, რომ ჩვენი ჩემპიონობისა მწამდა და ამ რწმენით გავატარე მთელი ჩემპიონატი“.

ახლა, ცოტა ხნით, გულშემატკივართა მიერ მოედნების ოკუპაციას დავუბრუნდეთ. „სტადიო ოლიმპიკოზე“ უკვე ვთქვით, „სტადიო დელე ალპიზე“ კი ჯერ არაფერი გვითქვამს. აქ, „იუვენტუსი“ „ატალანტას“ მასპინძლობდა და თავისი გამარჯვების გარდა რომში „რომას“ წაგებას იმედოვნებდა. იმედი გაცრუვდა, მატჩის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე კი მინდორს ქომაგები შეესიენ. ფეხბურთელებმა გაქცევა სცადეს. ზოგმა მოახერხა, ფილიპო ინძაგი კი „ჩავარდა“.

„იუვეს“ გენერალურმა მენეჯერმა, რობერტო ბეტეგამ სტადიონის დინამიკების საშუალებით სთხოვა ხალხს დაშოშმინება. საბოლოოდ, ამ საქმეს 14 წუთი დასჭირდა, ხოლო სამმა, „ლეჩემ“, „რეჯინამ“ და „ვერონამ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. მათი ურთიერთშეხვედრების ანალიზმა „ლეჩე“ გადაარჩინა, „რეჯინასა“ და „ვერონას“ შორის წამსვლელ-დარჩენის ვინაობა კი პლეი-ოფით გაირკვევა.

ხოლო სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა „ლაციოს“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო, რომელმაც 34 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა. ბოლო გოლი კრესპომ ბოლო ტურში, ლეჩეში, პენალტით გაიტანა.

**ბაბუნა ბედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 34 | 22 | 9 | 3 | 68:33 | 35 | 75 | 17 | 12 | 5 | 0 | 33:14 | 19 | 41 | 17 | 10 | 4 | 3 | 35:19 | 16 | 34 |
| 2 იუვენტუსი | 34 | 21 | 10 | 3 | 61:27 | 34 | 73 | 17 | 11 | 5 | 1 | 32:13 | 19 | 38 | 17 | 10 | 5 | 2 | 29:14 | 15 | 35 |
| 3 ლაციო | 34 | 21 | 6 | 7 | 65:36 | 29 | 69 | 17 | 13 | 2 | 2 | 36:13 | 23 | 41 | 17 | 8 | 4 | 5 | 29:23 | 6 | 28 |
| 4 პარმა | 34 | 16 | 8 | 10 | 51:31 | 20 | 56 | 17 | 9 | 4 | 4 | 32:12 | 20 | 31 | 17 | 7 | 4 | 6 | 19:19 | 0 | 25 |
| 5 ინტერი | 34 | 14 | 9 | 11 | 47:47 | 0 | 51 | 17 | 9 | 6 | 2 | 27:19 | 8 | 33 | 17 | 5 | 3 | 9 | 20:28 | -8 | 18 |
| 6 მილანი | 34 | 12 | 13 | 9 | 56:46 | 10 | 49 | 17 | 9 | 6 | 2 | 35:20 | 15 | 33 | 17 | 3 | 7 | 7 | 21:26 | -5 | 16 |
| 7 ატალანტა | 34 | 10 | 14 | 10 | 38:34 | 4 | 44 | 17 | 4 | 9 | 4 | 16:14 | 2 | 21 | 17 | 6 | 5 | 6 | 22:20 | 2 | 23 |
| 8 ბრეშა | 34 | 10 | 14 | 10 | 44:42 | 2 | 44 | 17 | 7 | 7 | 3 | 22:16 | 6 | 28 | 17 | 3 | 7 | 7 | 22:26 | -4 | 16 |
| 9 ფიორენტინა | 34 | 10 | 13 | 11 | 53:52 | 1 | 43 | 17 | 8 | 4 | 5 | 32:25 | 7 | 28 | 17 | 2 | 9 | 6 | 21:27 | -6 | 15 |
| 10 ბოლონია | 34 | 11 | 10 | 13 | 49:53 | -4 | 43 | 17 | 9 | 4 | 4 | 26:22 | 4 | 31 | 17 | 2 | 6 | 9 | 23:31 | -8 | 12 |
| 11 პერუჯა | 34 | 10 | 12 | 12 | 49:53 | -4 | 42 | 17 | 6 | 7 | 4 | 26:21 | 5 | 25 | 17 | 4 | 5 | 8 | 23:32 | -9 | 17 |
| 12 უდინეზე | 34 | 11 | 5 | 18 | 49:59 | -10 | 38 | 17 | 7 | 2 | 8 | 32:30 | 2 | 23 | 17 | 4 | 3 | 10 | 17:29 | -12 | 15 |
| 13 ლეჩე | 34 | 8 | 13 | 13 | 40:54 | -14 | 37 | 17 | 6 | 5 | 6 | 25:30 | -5 | 23 | 17 | 2 | 8 | 7 | 15:24 | -9 | 14 |
| *14 რეჯინა* | *34* | *10* | *7* | *17* | *32:49* | *-17* | *37* | *17* | *8* | *4* | *5* | *17:17* | *0* | *28* | *17* | *2* | *3* | *12* | *15:32* | *-17* | *9* |
| *15 ვერონა* | *34* | *10* | *7* | *17* | *40:59* | *-19* | *37* | *17* | *9* | *4* | *4* | *26:25* | *1* | *31* | *17* | *1* | *3* | *13* | *14:34* | *-20* | *6* |
| 16 ვიჩენცა | 34 | 9 | 9 | 16 | 37:51 | -14 | 36 | 17 | 6 | 5 | 6 | 19:21 | -2 | 23 | 17 | 3 | 4 | 10 | 18:30 | -12 | 13 |
| 17 ნაპოლი | 34 | 8 | 12 | 14 | 35:51 | -16 | 36 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:22 | 0 | 22 | 17 | 3 | 5 | 9 | 13:29 | -16 | 14 |
| 18 ბარი | 34 | 5 | 5 | 24 | 31:68 | -37 | 20 | 17 | 5 | 2 | 10 | 22:31 | -9 | 17 | 17 | 0 | 3 | 14 | 9:37 | -28 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ერნან კრესპო (ლაციო)** | **26** |
| ანდრეი შევჩენკო (მილანი) | 24 |
| ენრიკო კიეზა (ფიორენტინა) | 22 |
| გაბრიელ ბატისტუტა (რომა) | 20 |
| კრისტიან ვიერი (ინტერი) | 18 |
| დარიო უბნერი (ბრეშა) | 17 |
| ჯუზეპე სინიორი (ბოლონია) | 16 |
| მარკო დი ვაიო (პარმა) | 15 |
| რობერტო სოზა (უდინეზე) | 14 |
| დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი) | 14 |
| ვინჩენცო მონტელა (რომა) | 14 |
| ფრანჩესკო ტოტი (რომა) | 13 |

**სერია C1A**

პლეი ოფი
ფინალი. II მატჩი
**კომო 1:0 ლივორნო (0:0)**
„კომო“ გადავიდა სერია B-ში

**სერია C1B**

პლეი ოფი
ფინალი. II მატჩი
**მესინა 1:0 კატანია (1:1)**
„მესინა“ გადავიდა სერია B-ში

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამეთოთხმეტე ტურის მატჩი

## რეჯინა 2:1 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# მილანმა სეზონი კალაძის გოლით დაასრულა

**„მილანის“** სეზონი კახა კალაძის გოლით, დამარცხებით და ახალი მწვრთნელის ოფიციალური მოყვანით დასრულდა.

მილანელებმა რეჯო კალაბრიაში „რეჯინასთან“ 1:2 წააგეს და საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავეს, ხოლო გამარჯვებულმა „რეჯინამ“ ავტომატურად გავარდნას დააღწია თავი — პლეი ოფში „ვერონასთან“ გაარკვევს ურთიერთობას.

რეჯო კალაბრიაში ნანახით ჩეზარე მალდინი (რომელმაც ამიერიდან ფათიჰ თერიმს დაუთმო სკამი და ასპარეზი) მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩა. მწვრთნელს განსაკუთრებით ჯუნტის, საკუთარი ვაჟის, პაოლოს და ქართველი ლეგიონერის თამაში მოსწონებია. აქვე შეგახსენებთ, რომ კახა კალაძესა და რომაელ ვენსან კანდელას წესით, ეს ტური უნდა გამოეტოვებინათ — დისკვალიფიცირებულნი იყვნენ — მაგრამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სანქცია ორივესთვის მოუხსნია.

და მაინც, „მილანს“ ძველებურად აკლდა ბევრი ფეხბურთელი: რედონდო, ალბერტინი, ამბროზინი, გატუზო, ბობანი, სერჟინიო, ხოსე მარი, კოსტაკურტა და მეკარე როსი.

თავიდან „რეჯინამ“ უფრო ძლიერად დაიწყო. ძანკეტამ ორჯერ ჯარიმა დაარტყა, მეცანოს დარტყმული აბიატიმ მოიგერია.

ამის შემდეგ ჯუნტის და ლეონარდოს მეცადინეობით მილანელები გამოფხიზლდნენ — თან, ლეონარდო „შავ-წითელთა“ შემადგენლობაში უკანასკნელად თამაშობდა. იგი ხომ სამშობლოში, ბრაზილიაში, კერძოდ კი „სან პაულუში“ ბრუნდება.

ჯერ ლეონარდომ მოსინჯა საჯარიმოს გარედან დარტყმით მასიმო ტაიბის სიფხიზლე. სამი წუთის შემდეგ კომანდინიმ თავურით ოდნავ გადააცილა ბურთი ხარიხას, ხოლო ტაიმის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე შევჩენკოს ჩაუვარდა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ტაიბიმ კვლავ გააკეთა ის, რისთვისაც საერთოდ მეკარეები არსებობენ — გუნდი გაშვებას გადაარჩინა.

აღსანიშნავია, რომ ძალიან ცხელოდა, მაგრამ, ტემპერატურის მიუხედავად გუნდები სწრაფად თამაშს განაგრძობდნენ. მეორე ნახევრის მეათე წუთზე ისევ შევჩენკომ დაარტყა თავური და ისევ ტაიბიმ მოიგერია. შემდეგ „რეჯინამ“ უპასუხა: მარაცინას აბიატიმ არ გაატანინა.

მეორე ტაიმის მეოცე წუთზე „მილანმა“ ანგარიში გახსნა. კალაძემ საჯარიმოს გარედან შეგდებული ბურთი დაიმორჩილა, გააკონტროლა და მარცხენა ფეხით შეაგდო.

ამ გოლმა „რეჯინა“ სერია B-ში ჩააზედა, მაგრამ კალაბრიელებს ეყოთ ძალ-ღონე და მხნეობა მატჩის ბედის მოსატრიალებლად. და კოშტა, რომელიც მოედანზე თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე შევიდა, ერთ წუთში აქტიურად ჩაერთო საქმეში და საჯარიმოს გარედან ძელს გაარტყა. მასპინძლებმა შეტევა განაგრძეს და დიონიჯისა და მარაცინას შეექმნათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა.

მატჩის დასრულებამდე 13 წუთი რომ რჩებოდა, „რეჯინამ“ კუთხური ჩააწოდა და მორაბიტომ მარცხენა ფეხით გაქვითა. კიდევ ოთხი წუთის შემდეგ და კოშტამ დასწრებაზე აჯობა კარიდან გამოვარდნილ კრისტიან აბიატის და გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ბაჩუნა ძიძია**



კახა კალაძე და ანდრეა ბერნინი (№23)


# იყიდება!

ნახმარი

კომპიუტერული ტექნიკა

ტელ. 38-11-14, 39-48-29

**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)




მარკო ტარდელი



მარჩელო ლიპი

# ზოგმა თურქი ირჩია, ზოგმა არგენტინელი

## „ბებერი ქალბატონი“ კვლავ იტალიელთან რჩება

**სერია** A-ს წლევანდელი გათამაშების დამთავრებისთანავე უკმაყოფილო კლუბების ხელმძღვანელობამ მწვრთნელები გაუშვეს. სამი ბობოლა, მილანური „მილანი“ და „ინტერი“, აგრეთვე ტურინის „იუვენტუსი“ მომავალ სეზონს ახლებურად, ახალი თავკაცებით დაიწყებს და ძველისძველი მიზნისთვის, მხოლოდ და მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებს.

„მილანი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“ იმგვარი ამბიციების გუნდებია, რომელთათვისაც სკუდეტოს ვერმოპოვება დიდი წარუმატებლობაა. წლევანდელი სეზონი ამ თვალსაზრისით სამივე გუნდმა ჩააგდო და შედეგმაც არ დააყოვნა. როგორც ხდება ხოლმე, ჯოხი მწვრთნელებზე გადატყდა — ჩეზარე მალდინი, კარლო ანჩელოტი და მარკო ტარდელი უმუშევრებად დარჩნენ.

ჩეზარე მალდინიმ „მილანი“ სულ ახლახან, 14 მარტს, ჩაიბარა. მან ალბერტო ძაკერონი შეცვალა. მამა მალდინიმ გუნდს თავისი ხელი დაატყო, მაგრამ კლუბმა მასთან მუშაობის გაგრძელება არ ისურვა და „მილანის“ მწვრთნელობა მომავალი სეზონისთვის თურქ ფათიჰ თერიმს ანდო.

მალდინისთვის ამგვარი გადაწყვეტილება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მან გუნდში მოსვლისთანავე იცოდა, რომ ხელმძღვანელობას ის ცოტა ხნით, სეზონის დამთავრებამდე სჭირდებოდა. თუმცა მწვრთნელს მცირე იმედი და დიდი სურვილი „მილანში“ დარჩენისა მაინც ჰქონია: „ვფიქრობდი, რომ გუნდში დავრჩებოდი, საქმე კი სხვაგვარად წარიმართა, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი პრობლემა არაა. თერიმს ნამდვილად კარგ გუნდს ვუტოვებ, რომელსაც ტრავმამოშუშებული ფეხბურთელებიც უბრუნდებიან. თურქს მართლაც ძლიერი „მილანი“ ეყოლება.“

მილანელთა მომავალი მოძღვრის ფათიჰ თერიმისთვის „შავ-წითლები“ მეორე იტალიური კლუბი იქნება. თურქმა გურუმ წლევანდელი სეზონი „ფიორენტინაში“ დაიწყო. ფლორენციელები მისმა წინა სეზონში უეფას თასზე ტრიუმფალურმა სვლამ მოხიბლა. დიდი იმედიც ჰქონდათ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და თერიმიც პირველი წრის ბოლოს გუნდიდან წავიდა. ნახევარი სეზონი თურქმა უქმად გალია. თუმც, როგორც ხედავთ, სეზონის ბოლოს საუცხოო ვარიანტს, „მილანის“ მწვრთნელობას გამოჰკრა ხელი.

თერიმის დაჩრდილულ ჩეზარე მალდინის, არ ვიცით, თავაზიანობის გამოა, თუ რაიმე სხვა მიზეზით, თურქზე აუგი არ დასცდენია. მეტიც, ყოფილი მწვრნელი აფასებს თავისი შემცვლელის პროფესიონალიზმსა და „მილანისა“ და თერიმის თანამშრომლობაში სენსაციურსა და საჩოთიროს ვერაფერს ხედავს: „მე კარგად ვიცნობ თერიმს. მას მტკიცე ხასიათი, საკუთარი პრინციპები და სტილი აქვს. გარდა ამისა, „ფიორენტინაში“ მან იტალიური ფეხბურთისთვის საჭირო ბევრი რამ ისწავლა, ამიტომაც თერიმი „მილანს“ წესით, საკმაოდ კარგად უნდა წარუძღვეს.“

ჩეზარე მალდინი „მილანიდან“ წავიდა და თან თანაქალაქური „ინტერის“ მწვრთნელი მარკო ტარდელიც წაიყოლა. „ნერო აძურის“ თავკაცის გათავისუფლების მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი მეზობელთან სამარცხვინო მარცხიც გახლავთ. ალბათ, გახსოვთ, „სან სიროზე“ მილანურ დერბიში მალდინის გუნდმა 6:0 დაამარცხა ტარდელის შეგირდები.

მარკო ტარდელიმ, რომელმაც მემკვიდრეობა მარჩელო ლიპისგან სეზონის დასაწყისში ჩაიბარა, „ინტერი“ მეხუთე ადგილზე გაიყვანა. კლუბის ხელმძღვანელობამ შედეგი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩათვალა და ახლა მთავარი მწვრთნელის ძიებასაც შეუდგა. ტარდელის კლუბში სხვა თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მან დარჩენა არ ისურვა: „კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მირჩია, გუნდში სხვა ადგილზე მემუშავა. მადლობელი ვარ თავაზიანობისთვის, მაგრამ ალბათ, ჩემს სამწვრთნელო კარიერას რომელიმე იტალიურ კლუბში გავაგრძელებ. შემომთავაზეს კიდეც. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მომდევნო სეზონის დასაწყისში თავს ცოტაოდენი დასვენების უფლება მივცე“.

მასიმო მორატიმ სერია A-ში ვერაფრის გამკეთებელ და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენილ ტარდელის სანაცვლოდ გუნდში სამი წარუმატებელი ევროთასის ფინალის შემოქმედს, „ვალენსიას“ მოძღვარ ექტორ რაულ კუპერს უხმო. ესპანელს მილანელებთან კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა, სხვამხრივ იგი უკვე „ინტერის“ მწვრთნელად ითვლება. მორატის კლუბი არც იმას დაერიდა, რომ კუპერს „ბარსელონასთან“ წინასწარი შეთანხმება აკავშირებდა და კატალონიელებს სიტყვის გატეხვის სანაცვლოდ მილიონ ექვსასიათასი დოლარი ჩაუჩხრიალა. ალბათ „ვალენსიას“ მწვრთნელი პირობას მეორეჯერ აღარ გადავა და საგაისოდ „შავ-ლურჯებს“ დიდი ამბიციების დაკმაყოფილებაში შეეშველება.

მილანის „ინტერმა“ მწვრთნელი მეხუთე ადგილისთვის გაუშვა, ხოლო „იუვენტუსის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი მეორე ადგილისთვის მოიძულეს.

კლუბის ხელმძღვანელობა ანჩელოტის ერთადერთ ბრალდებას, სკუდეტოსათვის „რომასთან“ გამართულ დუელში მარცხს უყენებს. თუმცა „ბებერი ქალბატონის“ საპატიო პრეზიდენტი უმბერტო ანჯელი სხვა რამესაც აცხადებს: „მწვრთნელის მუშაობით ბევრი იყო უკმაყოფილო, ამიტომ მოუხდა წასვლა. ვერც გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების უმეტესობის კეთილგანწყობა დაიმსახურა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძნელია მუშაობა“.

კარლო ანჩელოტი „იუვენტუსს“ ორი წელი მოძღვრავდა და გუნდმა ორივე სეზონში დათმო სკუდეტო. შარშან „ლაციომ“, წლეულს კი „რომამ“ ტურინელები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს. „შავ-თეთრებიც“ დაფიქრდნენ და თავიანთი ყოფილი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი გაიხსენეს.

მარჩელო ლიპი „იუვენტუსს“ 1994-99 წლებში თავკაცობდა. გუნდთან ერთად სამი სკუდეტო და ერთი ჩემპიონთა თასიც მოუგია. ტურინული ტრიუმფის შემდეგ კი მილანის „ინტერში“ აპირებდა ბრწყინვალე კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ვარსკვლავებით გადაჭედილ მილანურ კლუბს ვერაფერი მოუხერხა.

ლიპის „დელე ალპიზე“ დიდი სიხარულითა და იმედით ელიან. „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კლუბის დირექტორი რობერტო ბეტეგა აღნიშნავს, რომ გუნდს დღეს სწორედ ლიპი და მისი გამოცდილება სჭირდება: „ჩვენ ყველაფერი კარგად განვსაჯენთ. ვიფიქრეთ სერია A-ზე, ჩემპიონთა ლიგაზეც. მარჩელო ლიპიზე კარგი კანდიდატურა არ არსებობს. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მარჩელოს და გვჯერა, რომ მან ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა „იუვენტუსთან“ ერთად წარმატების მიღწევა“.

მარჩელო ლიპის „იუვენტუსის“ მწვრთნელად ოფიციალურად ხვალ დანიშნავენ.

**გიორგი გაგარდაყვილი**



ლოკომოტივი — ჩერნომორეცი. მარატ იზმაილოვი (ბურთით) რკინიგზელთაგან ამჯერად გამოირჩეოდა

# გამოფხიზლებული ვეფხვის ამბავი...

## სიომინმა საბავშვო ბაღს მოუგო

### რუსეთი

XIII ტური

**ფაკელი 1:1 ცსკა**

0:1 ფილიპენკოვი (5), 1:1 შუკანოვი (25)

**დინამო 2:0 სატურნი**

1:0 რებეჟა (26პ.კ.), 2:0 ტოჩილინი (89)

**კრილია 2:1 ტორპედო ზილ**

1:0, 2:0 კარიაკა (14, 48პ), 2:1 პიუკი (63)

**ტორპედო 2:1 როსტსელმაში**

1:0 ვიაზმიკინი (35), 1:1 შმარკო (65), 2:1 ლეონჩენკო (90პ)

**ალანია 3:1 როტორი**

1:0 ბოციევი (26), 2:0 ძუცევი (29), 3:0 პაულუ ემილიუ (37), 3:1 ტრიფონოვი (47)

**ანჟი 1:2 სპარტაკი**

0:1 შირკო (17), 0:2 ტიტოვი (61), 1:2 ადიევი (88)

**ლოკომოტივი 4:0 ჩერნომორეცი**

1:0 ობიორა (31), 2:0 ჩუგაინოვი (60), 3:0 იზმაილოვი (67), 4:0 ბუზნიკინი (71)

**ზენიტი 1:1 სოკოლი**

1:0 პოპოვიჩი (25), 1:1 ფედკოვი (84პ)

**ზედიზედ** მეექვსე ტურია გააქვს ტორპედოელ დმიტრი ვიაზმიკინს. აკი 10 გოლიც მოუგროვდა და ბომბარდირთა სიასაც ლიდერობს. მისმა „ტორპედომ" კი შინ „როსტსელმაშს" მოუგო და მეორე ადგილზე აინაცვლა. თუმცა მატჩი მეტად დაძაბული და ერთგვარად სკანდალურიც გამოდგა. თავიდან ვიაზმიკინმა გაიტანა. მეორე ტაიმის მე-60 წუთზე კი სტუმრებს მალიგინი გაუძევეს. თუმცა კაცნაკლულებმა მაინც იბრძოლეს და გაათანაბრეს. ფრე ალბათ სამართლიანი შედეგი იქნებოდა, მაგრამ მეოთხე დამატებულ წუთზე მსაჯმა გალიმოვმა მეტად საეჭვო პენალტი დანიშნა მასპინძელთა სასარგებლოდ. შედეგად „ტორპედომ" სამი ქულა აიღო, როსტოველები კი შინ ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

ამ ტურში კიდევ ორი ისეთი მატჩი ჩატარდა, შედეგი რომ მსაჯების კისერზეა. ასე მოხდა სანკტ პეტერბურგში, სადაც „ზენიტი" „სოკოლს" მასპინძლობდა და სამარაში. აქ მსაჯის შეცდომამ „კრილია" კვლავ ერთპიროვნულად გაალიდერა. საქმე ასე იყო. ანგარიში სამარელმა კარიაკამ გახსნა, მეორე ტაიმში კი ტიხონოვის წაქცევისთვის სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნეს. ვიდეოგამეორებებზე ნათლად გამოჩნდა, რომ ზილელი მცველი ტიხონოვს არც შეხებია. თუმცა არბიტრმა თავისებურად გადაწყვიტა და იმავე კარიაკამ მეორე გაიტანა. ბოლოს ერთი საპასუხო ავტოქარხნელებმაც შეაგდეს, მაგრამ საბოლოოდ სამი ქულა მასპინძლებს დარჩათ.

შედეგით აღშფოთებული „ზილის" მწვრთნელი ევგენი კუჩერევსკი პრესკონფერენციაზე კი მივიდა, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა: წავაგეთ, გამოდის „კრილია" უფრო ძლიერი იყოო, მერე კი წამოდგა და ჩაილაპარაკა, ყველამ კარგად იცის, სიმართლე რაც არისო.

სამარელთა დამრიგებელმა ალექსანდრ ტარხანოვმა კი მეტოქეს ოსტატობა შეუქო და თავისიანებს კბილი გაჰკრა: დღეს ძალიან გაგვიჭირდა. მაგრამ პრობლემები საკუთარ თავს თვითონ შევუქმენით. მეტოქის კარს მივაწყდით და თამაში აგვერიაო.

დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რომ მსაჯი „კრილიას" მიუდგა. თავად სამარელებსაც არა ერთხელ გაუკრიტიკებიათ არბიტრები. მაგალითად წინა ტურში, როცა როსტოვში ტიხონოვს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს.

„ნამდვილად სეზონის საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. ასე რომ, „სპარტაკის" სიკვდილზე ლაპარაკი ნაადრევია. ჩვენ უფრო მძინარე ვეფხვს ვგავდით. ძნელბედობა, ვფიქრობ, უკან მოვიტოვეთ. მოთამაშეებს კაცურად დაველაპარაკეთ, ავუხსენით, რომ ვისაც შეცდომის ეშინია, ის უფრო მეტად ცდება. ფეხბურთელებმაც ყველაფერი სწორად გაიგეს" — თქვა მახაჩყალაში გამარჯვების შემდეგ სპარტაკელთა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ. როგორც იქნა, ჩემპიონმა ჩემპიონური თამაში გვიჩვენაო — აღნიშნავენ რუსი მიმომხილველები. „სპარტაკმა" მართლაც ლაღად ითამაშა, თუმცა უამრავი მომენტი ვერ გამოიყენა და 2:1 დასჯერდა. მახაჩყალის მილიციას კი თავისსავე ფანებთან გვარიანი შეხლა-შემოხლა მოუხდა. ერთი სამართალდამცავი, რომელსაც ტრიბუნიდან ნასროლი მაშხალა თავში მოხვდა, საავადმყოფოშიც წაიყვანეს.

კარგად ითამაშა „ლოკომოტივმაც". რკინიგზელები, ჩანს საუკეთესო ფორმაში შედიან. „ჩერნომორეცსაც" სულ თავისუფლად მოუგეს 4:0. ჩვენმა ზაზა ჯანაშიამ 68-ე წუთზე ლოსკოვი შეცვალა. როცა მასპინძლები უკვე სამი ბურთით იგებდნენ.

„ჩემს კოლეგას ჩინებულ გამარჯვებას ვულოცავ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ვიქტორ ზერნოვმა — მახსოვს სიომინი გუნდში 1989 წელს მივიდა, მაშინ „ლოკომოტივი" მაჩანჩალებს შორის იყო, ახლა კი რუსული ფეხბურთის ლიდერია. ჩემს გუნდში კი ნამდვილი საბავშვო ბაღია. ბევრი მუშაობა გვმართებს".

მოკლედ, ბოლო წლების ლიდერები ეშხში შედიან. მით უფრო საინტერესოა მომავალი ტური, რომლის მთავარ მატჩში „სპარტაკი" „ლოკომოტივს" მასპინძლობს.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 13 | 8 | 2 | 3 | 16:6 | 26 |
| ტორპედო | 13 | 7 | 4 | 2 | 25:12 | 25 |
| სპარტაკი | 13 | 7 | 4 | 2 | 14:10 | 25 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 21:10 | 24 |
| სოკოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:16 | 24 |
| ცსკა | 13 | 5 | 4 | 4 | 13:12 | 19 |
| ზენიტი | 13 | 5 | 4 | 4 | 15:18 | 19 |
| დინამო | 13 | 4 | 5 | 4 | 16:13 | 17 |
| ანჟი | 13 | 4 | 5 | 4 | 10:9 | 17 |
| ალანია | 13 | 5 | 1 | 7 | 12:18 | 16 |
| როსტსელმაში | 13 | 4 | 2 | 7 | 10:14 | 16 |
| სატურნი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:11 | 13 |
| ფაკელი | 13 | 3 | 3 | 7 | 11:15 | 12 |
| როტორი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| ტორპედო ზილ | 13 | 3 | 3 | 7 | 10:16 | 12 |
| ჩერნომორეცი | 13 | 2 | 4 | 7 | 6:22 | 10 |

### ნორვეგია

მე-11 ტური: როზენბორგი — ლილესტრიომი 2:2; ბოდიო გლიმტი — სტრიომსგოდსეტი 2:2; ბრინი — სოგნდალი 2:3; მოსი — ლინი 3:1; ტრომსიო — ოდ გრენლანდი 0:3; ვიკინგი — ბრანი 0:2; მოლდე — სტაბეკი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 11 | 8 | 2 | 1 | 32:12 | 26 |
| ვიკინგი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:11 | 26 |
| ბრანი | 11 | 6 | 2 | 3 | 29:17 | 20 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:11 | 20 |
| ლილესტრიომი | 11 | 6 | 2 | 3 | 22:17 | 20 |
| სტაბეკი | 11 | 6 | 1 | 4 | 17:20 | 19 |
| მოლდე | 11 | 5 | 2 | 4 | 23:19 | 17 |
| მოსი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 16 |
| სოგნდალი | 11 | 4 | 0 | 7 | 12:25 | 12 |
| სტრიომსგოდ. | 11 | 2 | 4 | 5 | 16:26 | 10 |
| ტრომსიო | 11 | 3 | 0 | 8 | 8:18 | 9 |
| ბრინი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:23 | 8 |
| ლინი | 11 | 1 | 4 | 6 | 13:19 | 7 |
| ბოდიო გლიმტი | 11 | 1 | 4 | 6 | 10:20 | 7 |

### უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-20 ტური: დიორ ეტო — უიპეშტი 2:1; დებრეცენი — შოპრონი 3:1; ვიდეოტონი — დუნაფერი 1:2; ფერენცვაროში — ზალაეგერსეგი 3:2; ვაშაში — ჰონვედი 3:1; ტატაბანია — მტკ 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 21 | 12 | 2 | 7 | 36:34 | 43 |
| ფერენცვაროში | 20 | 10 | 8 | 2 | 32:14 | 42 |
| ვაშაში | 20 | 9 | 6 | 5 | 36:28 | 37 |
| დიორ ეტო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:26 | 37 |
| უიპეშტი | 20 | 9 | 4 | 7 | 37:35 | 36 |
| მტკ | 20 | 8 | 5 | 7 | 29:18 | 35 |
| ჰონვედი | 20 | 9 | 5 | 6 | 32:27 | 33 |
| ვიდეოტონი | 20 | 8 | 2 | 10 | 31:30 | 28 |
| შოპრონი | 20 | 6 | 6 | 8 | 21:24 | 27 |
| ზალაეგერსეგი | 20 | 6 | 7 | 7 | 28:29 | 26 |
| დებრეცენი | 20 | 6 | 2 | 12 | 31:42 | 23 |
| ტატაბანია | 21 | 1 | 2 | 16 | 19:54 | 11 |

### შვედეთი

მე-10 ტური: აიკ — ჰალმსტადი 2:3; ჰამარბი — ნორჩიოპინგი 1:1; იორგრიტე — სუნდსვალი 2:0; ჰეკენი — იურგორდენი 1:2; ელფსბორგი — გიოტებორგი 3:2; იორებრო — ტრელებორგი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 10 | 5 | 4 | 1 | 19:8 | 19 |
| იორგრიტე | 10 | 5 | 3 | 2 | 16:9 | 18 |
| ჰამარბი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:8 | 17 |
| მალმიო | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| ელფსბორგი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:18 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:7 | 15 |
| ჰალმსტადი | 10 | 4 | 2 | 4 | 20:12 | 14 |
| იორებრო | 10 | 3 | 4 | 3 | 16:15 | 13 |
| აიკ | 10 | 3 | 3 | 4 | 10:11 | 12 |
| იურგორდენი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:13 | 11 |
| ნორჩიოპინგი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:18 | 10 |
| სუნდსვალი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:12 | 9 |
| ჰეკენი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:16 | 9 |
| ტრელებორგი | 10 | 2 | 1 | 7 | 10:23 | 7 |

### ბოსნია

თასის ფინალი

**ჟელეზნიჩარი 3:2 სარაევო**

0:1 რებუჰი (19), 1:1 აჯემი (43), 1:2 სარანოვიჩი (50), 2:2 ალიჰოჯიჩი (59), 3:2 მუჰარემოვიჩი (78)

### რუმინეთი

თასის ფინალი

**დინამო 4:2 როკარი**

1:0 მიჰალჩია (7), 1:1 ჟურსუ (9), 1:2 მიჰაი ნიკულაე (32), 2:2, 3:2 მარიუს ნიკულაე (55, 64პ), 4:2 მიჰალჩია (77)

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

20 000 მაყურებელი

### ბრაზილია

თასის ფინალი. II მატჩი

**კორინთიანსი 1:3 გრემიო (2:2)**

**„გრემიო"** ბრაზილიის თასს დაეუფლა, საპასუხო მატჩში მან „კორინთიანსი" დაამარცხა. არადა, ფავორიტად ეს უკანასკნელი ითვლებოდა. პირველი თამაში პორტუ ალეგრეში ფრედ, 2:2 დასრულდა და ყველას ეგონა, რომ საკუთარ კედლებში „კორინთიანსი", რომელსაც ნაკრების ყოფილი თავკაცი ვანდერლეი ლუქსემბურგო წვრთნის, ადვილად გაუმკლავდებოდა „გრემიოს", მაგრამ პორტუალეგრელებმა, აქტიურად დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებზე მარინიუმ „გრემიო" დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში ზინიომ ორამდე გაზარდა ანგარიში. მალე „კორინთიანსის" მცველ შეიტს მეორე ყვითელი ბარათი და მოედნის დასატოვებელი გზა აჩვენეს, კაცნაკლულმა მასპინძლებმა ევერტონის გოლით შეძლეს ანგარიშის შემცირება და გაათანაბრებდნენ კიდეც, თერთმეტმეტრიანი რომ გაეტანათ. ბოლოს გრემიოელმა პარაიბიმ გაიტანა და ამ გამარჯვებით „გრემიომ" ლიბერტადორესის თასის საგზური მოიპოვა.

**ლუკა გეგეჭკორი**

### ფინეთი

მე-13 ტური: ჰაკა — ატლანტისი 2:0; იოკერიტი — კუოპიო 0:0; ლაჰტი — ვაასა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 13 | 7 | 3 | 3 | 19:8 | 24 |
| ჰიკ | 13 | 6 | 5 | 2 | 20:9 | 23 |
| მიუპა | 11 | 5 | 5 | 1 | 17:8 | 20 |
| ატლანტისი | 11 | 5 | 4 | 2 | 15:9 | 19 |
| ინტერი | 11 | 5 | 3 | 3 | 17:13 | 18 |
| ტამპერე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:11 | 18 |
| ვაასა | 13 | 5 | 1 | 7 | 14:18 | 16 |
| კუოპიო | 12 | 3 | 5 | 4 | 6:11 | 14 |
| ლაჰტი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| იოკერიტი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:22 | 10 |
| როპსი | 10 | 1 | 4 | 5 | 5:13 | 7 |
| ჯაზი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:17 | 6 |

### იუგოსლავია

33-ე ტური: რადნიჩკი (ნიში) — ზემუნი 3:0; ობილიჩი — ოფკ 4:1; ბუდუჩნოსტი — სუტიესკა 4:3; ჰაიდუკი — პარტიზანი 4:4; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — რადი 2:1; ჟელეზნიკი — ცრვენა ზვეზდა 1:2; მილიციონარი — ჩუკარიჩკი 1:1; ნაპრედაკი — ზეტა 2:0; სარტიდი — ვოივოდინა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 33 | 27 | 4 | 2 | 89:19 | 85 |
| პარტიზანი | 33 | 27 | 2 | 4 | 92:35 | 83 |
| ობილიჩი | 33 | 19 | 5 | 9 | 52:36 | 62 |
| სარტიდი | 33 | 17 | 3 | 13 | 48:44 | 54 |
| ოფკ | 33 | 14 | 5 | 14 | 49:44 | 47 |
| სუტიესკა | 33 | 14 | 4 | 15 | 50:61 | 46 |
| ვოივოდინა | 33 | 12 | 8 | 13 | 47:36 | 44 |
| ჟელეზნიკი | 33 | 12 | 8 | 13 | 47:53 | 44 |
| ჰაიდუკი | 33 | 12 | 6 | 15 | 44:48 | 42 |
| ზემუნი | 33 | 11 | 8 | 14 | 36:45 | 41 |
| რ. კრაგუევაცი | 33 | 12 | 5 | 16 | 35:50 | 41 |
| ჩუკარიჩკი | 33 | 12 | 4 | 17 | 39:49 | 40 |
| ზეტა | 33 | 10 | 9 | 14 | 35:48 | 39 |
| რადი | 33 | 11 | 5 | 17 | 45:56 | 38 |
| ბუდუჩნოსტი | 33 | 11 | 5 | 17 | 29:44 | 38 |
| *ნაპრედაკი* | *33* | *8* | *10* | *15* | *36:59* | *34* |
| *რ. ნიში* | *33* | *9* | *5* | *19* | *29:57* | *32* |
| *მილიციონარი* | *33* | *8* | *6* | *19* | *28:46* | *30* |

### ლიტვა

მე-16 ტური: ნევეჟისი — კაუნასი 0:0; ინკარასი — დაინავა 1:2; გელეჟინისი — ვეტრა 2:2; საკალასი — ჟალგირისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 16 | 12 | 3 | 1 | 34:5 | 39 |
| ატლანტასი | 15 | 11 | 2 | 2 | 31:13 | 35 |
| ჟალგირისი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:15 | 31 |
| ეკრანასი | 16 | 7 | 4 | 5 | 26:16 | 25 |
| ნევეჟისი | 16 | 5 | 6 | 5 | 11:15 | 21 |
| ინკარასი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:18 | 20 |
| საკალასი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:27 | 17 |
| გელეჟინისი | 16 | 4 | 3 | 9 | 17:20 | 15 |
| ვეტრა | 16 | 3 | 2 | 11 | 15:35 | 11 |
| დაინავა | 16 | 2 | 2 | 12 | 15:40 | 8 |

### უკრაინა

გადადებული მატჩები: ნივა — შახტარი 0:7; ცსკა — მეტალისტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 19 | 4 | 2 | 56:16 | 61 |
| შახტარი | 25 | 18 | 6 | 1 | 68:20 | 60 |
| დნიპრო | 25 | 17 | 4 | 4 | 36:16 | 55 |
| მ. დონეცკი | 25 | 11 | 9 | 5 | 29:21 | 42 |
| მ. მარიუპოლი | 25 | 12 | 4 | 9 | 35:26 | 40 |
| ცსკა | 25 | 10 | 9 | 6 | 29:22 | 39 |
| მ. ზაპოროჟიე | 25 | 8 | 8 | 9 | 26:30 | 32 |
| ტავრია | 25 | 7 | 9 | 9 | 22:31 | 30 |
| მეტალისტი | 25 | 7 | 7 | 11 | 26:37 | 28 |
| კარპატი | 25 | 8 | 3 | 14 | 31:41 | 27 |
| კრივბასი | 25 | 6 | 7 | 12 | 22:35 | 25 |
| ვორსკლა | 25 | 5 | 6 | 14 | 17:29 | 21 |
| სტალი | 25 | 3 | 5 | 17 | 18:48 | 14 |
| ნივა | 25 | 2 | 3 | 20 | 20:63 | 9 |

### ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი. V ტური

ტელსტარი (II) — სიტარდი 1:3; ზვოლე (II) — ვოლენდამი (II) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტარდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ზვოლე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| ვოლენდამი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ტელსტარი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |

„სიტარდი" 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს I დივიზიონში

B ჯგუფი. VI ტური

კამბური (II) — ექსელსიორი (II) 1:4; გოუ ეჰედ იგლზი (II) — სპარტა 1:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| კამბური | 6 | 3 | 0 | 3 | 11:13 | 9 |
| ექსელსიორი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:14 | 7 |
| გოუ ეჰედ იგლზი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:13 | 5 |

„სპარტა" 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს I დივიზიონში

### აფრიკის ეროვნულების თასი

I ჯგუფი

მადაგასკარი — ზამბია 0:1; ნამიბია — ნიგერია 0:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 14 |
| ზამბია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| მადაგასკარი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| ნამიბია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |

ნიგერია და ზამბია ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

II ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა — კონგო 0:0; მავრიკეთი — ლიბერია 0:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 6 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 |
| სამხ. აფრიკა | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| კონგო | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| მავრიკეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:12 | 2 |

ლიბერია და სამხრეთ აფრიკა ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

III ჯგუფი

ტუნისი — კენია 4:1; მაროკო — გაბონი 0:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| ტუნისი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| გაბონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| კენია | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |

მაროკო და ტუნისი ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

IV ჯგუფი

ანგოლა — ბურუნდი 2:1; ბურკინა ფასო — ალჟირი 1:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალჟირი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| ბურკინა ფასო | 6 | 3 | 2 | 1 | 4:3 | 11 |
| ანგოლა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ბურუნდი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:6 | 2 |

ალჟირი და ბურკინა ფასო ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

V ჯგუფი

ტოგო — სენეგალი 1:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოგო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| სენეგალი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:2 | 5 |
| უგანდა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | 1 |

ტოგო და სენეგალი ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

VI ჯგუფი

კონგოს დრ — ზიმბაბვე 2:1; განა — ლესოტო 3:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 6 | 4 | 1 | 1 | 16:8 | 13 |
| კონგოს დრ | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| ლესოტო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ზიმბაბვე | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | 6 |

განა და კონგოს დრ ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

VII ჯგუფი

კოტ დივუარი — ეგვიპტე 2:2; სუდანი — ლიბია 1:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| კოტ დივუარი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ლიბია | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| სუდანი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:7 | 4 |

ეგვიპტე და კოტ დივუარი ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

**გაისად აფრიკის თასზე ითამაშებენ:**

*მალი (მასპინძელი ქვეყანა), კამერუნი (აფრიკის ჩემპიონი), ნიგერია, ზამბია, ლიბერია, სამხრეთ აფრიკა, მაროკო, ტუნისი, ალჟირი, ბურკინა ფასო, ტოგო, სენეგალი, განა, კონგოს დრ, ეგვიპტე კოტ დივუარი*

### საბერძნეთი

გადასარჩენი პლეი ოფი

მე-3 ტური: პანაჰაიკი — პანილიაკოსი 2:0 (2:0, 2:3); ოფი — იანინა 2:0 (1:0, 0:2)

„პანილიაკოსი" და „იანინა" დაქვეითდნენ მეორე დივიზიონში


**იყიდება როტვეილერის ლეკვები**



☎ 39 42 65

(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## კონკაკაფი

IV ტური

**ტრინიდადი 2:4 ჰონდურასი**

0:1 პავონი (13პ), 0:2 ტურსიოსი (20), 0:3 მორალესი (54), 1:3 ლატაპი (56), 1:4 გუევარა (86პ), 2:4 ჯონი (90)

**მექსიკა 1:2 კოსტა რიკა**

1:0 აბუნდისი (7), 1:1 რ. ფონსეკა (73), 1:2 მედფორდი (87)

**იამაიკა 0:0 აშშ**



დუაიტ იორკი

**„მანჩესტერ** იუნაიტედის" თავდამსხმელი დუაიტ იორკი და რედინგელი ენტონი რუჟე ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებში დააბრუნეს. ორივე ფეხბურთელი ნაკრებიდან მას შემდეგ გააგდეს, რაც გასულ კვირას თვითნებურად გააცდინეს პანამასთან ამხანაგური მატჩი. ამ გადაწყვეტილებამ ნაკრებში სიტუაცია დაბაძა, კაპიტანმა რასელ ლეტეპიმ განაცხადა, თუ ორივე ფეხბურთელი ისევ არ შემოგვიერთდება, თავადაც დავტოვებ გუნდსო.

იორკისა და რუჟეს დაბრუნება გადაწყვიტეს სხდომაზე, რომელსაც ტრინიდადისა და ტობაგოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფიფას ვიცე-პრეზიდენტი, ნაკრების მწვრთნელი, ტექნიკური დირექტორი და ორივე ფეხბურთელის აგენტი ესწრებოდნენ. სხდომის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც შერისხულებსაც უხმეს. ითქვა, რომ ფეხბურთელებმა თავიანთ ნამოქმედარზე ბოდიში მოიხადეს და ნაკრებში დაბრუნება ითხოვეს. ბოლოს იორკმა თქვა, პატიებამ ძალა შემმატა და ყველაფერს ვილონებ გამარჯვებისთვისო. მაგრამ ვერც იორკისა და რუჟეს ყოფნამ უშველა გუნდს, რომელიც ჰონდურასთან 2:4 დამარცხდა.

ამავე ჯგუფის ბინადარ იამაკა შინ ამერიკელებს დაუზავდა — 0:0. მასპინძლებისთვის ეს 51-ე მატჩი იყო, რაც საკუთარ ქვეყანაში არ წააგოთ. კიდევ ერთი ფრე ან მოგება და იამაიკა მექსიკის რეკორდს გაიმეორებს. ამ უკანასკნელმა არწაგებათა სერია იმავე დღეს კოსტარიკასთან დაასრულა.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| კოსტა რიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ჰონდურასი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| იამაიკა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:5 | 5 |
| მექსიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ტრინიდადი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |


იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ²
ბირველ სართულზე.

☎ (231) 7 17 58



ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №8,
კინოთეატრ "სულიკოსთან"


# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# ვინ იცეკვებს ტანგოს არგენტინულად?

*ვან ბასტენი, ბებეტო, ტაფარელი, დუნგა, პროსინეჩკი, შუკერი, მიატოვიჩი, ზამერი, ფიგუ, რუი კოშტა, ფრანჩესკოლი, რაი, ბურუჩაგა, რამონ დიასი — ეს იმ ვარსკვლავთა არასრული სიაა, რომელთაც საფეხბურთო კარიერაში პირველი ნაბიჯები ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე გადადგეს. პირველი ჩემპიონატი 1977 წელს ტუნისში ჩატარდა, სწორედ აქ ჩაეყარა საძირკველი, იმ საინტერესო ტურნირს, რომელსაც გულშემატკივართათვის არაერთხელ დაუმახსოვრებია თავი.*

*1979 წელს იაპონიაში გამართულ მეორე ჩემპიონატში პირველად გაიბრწყინა ფეხბურთის გენიალურმა ვარსკვლავმა მარადონამ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ის არგენტინის ნაკრების კაპიტანი გახლდათ, იყო ტურნირის საუკეთესო გამთამაშებელი, საუკეთესო მეგოლე — გაიტანა 6 გოლი... მიუხედავად მარადონას ექსცენტრიული ბუნებისა, დღემდე ცოცხლობს ის უდიდესი სიხარული, რომელიც ფეხბურთის ლეგენდამ მაშინ განიცადა. „მე არასოდეს დავმტკბარვარ ფეხბურთის თამაშით იმგვარად, როგორც ეს მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე იაპონიაში. იყო უდიდესი ტურნირთაგანი და მე ვთამაშობდი იმ გუნდში, რომელსაც ყველა გუნდზე საუკეთესოდ მივიჩნევ, სადაც კი ოდესმე მითამაშია."*

*18 წლის მარადონასა და მის ტრიუმფატორ თანაგუნდელებს ბუენოს აირესის აეროპორტში ზღვა ხალხი დახვდა, ხალხი, რომელიც სიხარულისაგან ტანგოს ცეკვავდა...*

*მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმაც ისწავლა ტანგოს ცეკვა...*

*8 ივლისს ფინალური მატჩის შემდგომ გავიგებთ, ვის მოუწევს ამ რიტუალური ცეკვის შესრულება...*



ჩილე — უკრაინა. მარიო სალგადო (მარცხნივ) და ვიტალი კომარნიტსკი

REUTERS

### A ჯგუფი

**არგენტინა 2:0 ფინეთი**

1:0 როდრიგესი (39), 2:0 დალესანდრო (64)

**ეგვიპტე 0:0 იამაიკა**

**არგენტინის** ნაკრებს მძიმე ბრძოლა გადახდა ფინელების წინააღმდეგ. ჩემპიონატის მასპინძლებს ზურგს 20 ათასი გულშემატკივარი უმაგრებდა, რომელთაც საკმაოდ კარგი თამაში იხილეს. ფინელები დიდხანს იცავდნენ თავს წარმატებით, თუმცაღა, პირველი ტაიმის მიწურულს მათ საჯარიმოდან მაინც გაუშვეს გოლი. დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა მაქსიმილიანო როდრიგესმა.

არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ხავიერ სავიოლა იმედოვნებს, რომ ეს ჩემპიონატი მას სახელსა და დიდებას მოუტანს. სწორედ მისი ოსტატობის შედეგი გახლდათ მეორე გოლი, რომელიც მეკარესთან პირისპირ გასულმა ანდრეს დალესანდრომ დააგვირგვინა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩით, რომელიც ეგვიპტესა და იამაიკის ნაკრებებს შორის გაიმართა, გულშემატკივარი ნაკლებად დაინტერესდა. ეგვიპტელები საკმაო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცაღა, იამაიკელებმა რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს. ამ მატჩში გოლი არ გასულა, რაშიც უდიდესი დამსახურება მეკარე ალინ ვიტაკევს მიუძღვის, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა და საკუთარ გუნდს ერთი ქულა მოაპოვებინა. საყურადღებოა ისიც რომ, იამაიკელებმა ვერ გამოიყენეს გამარჯვების აშკარა შანსი. ჯამალ ჰამზამ თერთმეტმეტრიანი კარს ააცილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იამაიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ეგვიპტე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*II ტური, 20 ივნისი: იამაიკა — ფინეთი*
*ეგვიპტე — არგენტინა*
*III ტური, 23 ივნისი: არგენტინა — იამაიკა*
*ფინეთი — ეგვიპტე*

### B ჯგუფი

**ბრაზილია 2:0 გერმანია**

1:0, 2:0 რობერტი (9, 22)

**ერაყი 3:0 კანადა**

1:0 რიაჯი (21), 2:0 ალდეენ ტახირი (33), 3:0 ჰანოში (43)

**ერაყისა** და კანადის გუნდების მატჩი თავდაპირველად განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდა, თუმცაღა, მას შემდეგ, რაც ერაყმა ბევრისთვის მოულოდნელად, ფაქტობრივად გაანადგურა კანადის არცთუ სუსტი გუნდი, აზიელებმა გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრეს.

ერაყისა და კანადის მატჩი აზიელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 3:0. გულშემატკივართა თვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი პირველი ტაიმის ბოლო 25 წუთი იყო, როდესაც ერაყელთა გააზრებული და ხანგრძლივი შეტევები პირველად ემად რიაჯამ გარდასახა გოლად. 33-ე წუთზე სალაჰ ალდეენ ტახირმა ორამდე გაზარდა ანგარიში, ხოლო 10 წუთის შემდეგ ომარ ჰანოშმა მესამედ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბადე.

ამავე ჯგუფში ბრაზილია — გერმანიის მატჩისას ბრაზილიელმა რობერტმა დუბლი გააზერხა. მან პირველად მეცხე წუთზე საკმაოდ რთული კუთხიდან გაიტანა, ხოლო 22-ე წუთზე გერმანელ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და ორამდე გაზარდა ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ გერმანელთა გუნდი საკმაოდ უნიათოდ გამოიყურებოდა, განსაკუთრებით დაცვაში თამაშისას. ევროპელებმა მთელი ძალები შეხვედრის პირველ ნახევარს შეალიეს, ორი ბურთით დაწინაურებულ ბრაზილიელებსაც აღარ მოუკლავთ თავი, რის გამოც მეორე ტაიმი, ისე დუნედ წარიმართა, თითქოს მეტოქენი ზამთრის ცივ, სუსხიან ღამეში თამაშობდნენ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

*II ტური, 20 ივნისი: კანადა — გერმანია*
*ერაყი — ბრაზილია*
*III ტური, 23 ივნისი: ბრაზილია — კანადა*
*გერმანია — ერაყი*

### C ჯგუფი

**აშშ 0:1 ჩინეთი**

0:1 ბო კუ (60)

**ჩილე 2:4 უკრაინა**

0:1 ბიელიკი (14), 0:2 გერასიმენკო (36), 1:2 მილარი (38), 1:3 ბიელიკი (60), 1:4 ვალეევი (78), 2:4 ბარდი (90)

**მენდოსაში** ჩინეთმა კარგად ითამაშა აშშ-ს წინააღმდეგ და მიუხედავად მინიმალური სხვაობით გამარჯვებისა, გულშემატკივართა და სპეციალისტთა შორის საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მშვენივრად ითამაშა უკრაინის ჭაბუკთა გუნდმა, რომელმაც 4:2 დაამარცხა ჩილეს ნაკრები. მატჩი უკრაინელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. უკრაინელმა ფორვარდმა ალექსეი ბიელიკმა ორჯერ აიღო მეტოქის კარი, მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა ყოფილი საბჭოელები 3:1 იგებდნენ. 78-ე წუთზე რუსლან ვალეევის გოლის შემდეგ, ისინი სამი ბურთით დაწინაურდნენ, შემდეგ ერთდგვარად მოეშვნენ, რითაც ისარგებლა მათმა მოწინააღმდეგემ. თამაშის მიწურულს ჩილელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა და დიდი ანგარიშით წაგებას თავი დააღწიეს.

**გაშუკა ნაცვალაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

*II ტური, 20 ივნისი: უკრაინა — ჩინეთი*
*ჩილე — აშშ*
*III ტური, 23 ივნისი: აშშ — უკრაინა*
*ჩინეთი — ჩილე*

### D ჯგუფი

*II ტური, 21 ივნისი: ავსტრალია — ჩეხეთი*
*იაპონია — ანგოლა*
*III ტური, 24 ივნისი: ანგოლა — ავსტრალია*
*ჩეხეთი — იაპონია*

### E ჯგუფი

*II ტური, 21 ივნისი: კოსტა რიკა — ეთიოპია*
*ჰოლანდია — ეკვადორი*
*III ტური, 24 ივნისი: ეკვადორი — კოსტა რიკა ეთიოპია — ჰოლანდია*

### F ჯგუფი

*II ტური, 21 ივნისი: საფრანგეთი — პარაგვაი*
*ირანი — განა*
*III ტური, 24 ივნისი: განა — საფრანგეთი*
*პარაგვაი — ირანი*

მერვედფინალები
გაიმართება
27 და 28 ივნისს
მეოთხედფინალები — 1 ივლისს
ნახევარფინალები — 4 ივლისს
მატჩი მესამე
ადგილისთვის — 8 ივლისს
ფინალი — 8 ივლისს



REUTERS

ერაყი — კანადა. აზიელთა კართან ასეთი მომენტი ერთი-ორი თუ შეიქმნა

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ბებია, მიშველე!

### ვერონს წინაპრების სადღეგრძელო არ შეარჩინეს



ხუან სებასტიან ვერონი

**იტალიაში** სერია A დასრულდა, თუმცა ვნებანი საფეხბურთო თემაზე არ ცხრება. შფოთისა და დაპირისპირების ადგილი კი შეცვლილა, მოედნიდან პროკურორთა კაბინეტებში და სასამართლო დარბაზებში გადაუნაცვლებია. აქ სამართალდამცავები და საფეხბურთო კლუბების მესვეურნი ყალბი ევროკავშირული პასპორტების გარშემო ბჭობენ, თუმცა კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო არაფერი აქვთ. ასე ჰგონია, პროკურორ კარლო პოჩედისაც, რომელიც თაღლითების მოსისხლე მტერია და მართლმსაჯულების მსხვერპლთა რიცხვიც იზრდება.

პოჩედიმ ურუგვაელი ალვარო რეკობა ყალბი პასპორტის უკანონოდ ტარებისთვის ფაქტობრივად უკვე გაწირა ორწლიანი დისკვალიფიკაციისთვის (საბოლოო გადაწყვეტილებას ამ დღეებში მიიღებენ), ახლა კი ხუან სებასტიან ვერონის ჯერიც დადგა. არგენტინელის ევროკავშირის მოქალაქეობის საფუძველი, ევროპული ფესვები, პროკურორმა არასანდოდ მიიჩნია. არადა, ფეხბურთელის ვერსიით, მისი დიდი ბებიისა თუ ბაბუის დიდი ბებია თუ ბაბუა სწორედ აპენინის ნახევარკუნძულიდან უხსოვარ დროს გადაბარგებულა არგენტინაში. პოჩედის კი არ სჯერა ზღაპრის და ცრუ ბებიით იტალიელის თაღლითობისთვის დასჯას, ორი წლით ფეხბურთისგან მოკვეთას ითხოვს.

ხუან სებასტიან ვერონი გაკვირვებულია: „ვერაფერს ვხვდები, ჩემი დანაშაული ვერ გამიგია. მხოლოდ იმას ვხვდები, რომ ბრალად ისეთ რამეს მდებენ, რაც არ გამიკეთებია".

გასაგებია ფეხბურთელის დაბნეულობა, როდესაც მას ორწლიანი იძულებითი დასვენება ემუქრება, მაგრამ ვერონის ამგვარი განცხადება სხვა რაიმეს გვაფიქრებინებს. ვერონი ხომ ფეხბურთელია და მას კარგად თამაშის მეტი არაფერი მოეთხოვება. აზროვნება, საბუთები, კანონები, მისი საქმე სულაც არ არის, ამას კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა მიხედოს. ჰოდა, „ლაციოს" პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის და გუნდის კიდევ ორ მესვეურს — ფილიპე პულიცისა და ნელიო კოვერნატოს ვერონის საქმე იმგვარად გაუჩარხავთ, რომ პროკურორმა სამივენი მას მიუსკუპა გვერდით. „ლაციოს" თავკაცთა ტრიოსაც ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ცხადია, პროკურორმა თუ გაიმარჯვა, ხუან სებასტიან ვერონი „ლაციოს" დიდად დააკლდება. არგენტინელი ვერც კორეა — იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება. ფეხბურთელსა და მის თანამზრახველთა ბედი ამ კვირაში საბოლოოდ გადაწყდება. სპეციალური კომისია ხელახლა მოუსმენს ვერონის და „ლაციოს" ადვოკატებს, შემდეგ კი გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

**გიორგი გამარდაშვილი**

## ბედავნ პრემიერში



კორადო გრაბი

**ფესით,** იტალიურ სერია B-ში მოთამაშე ღირსეულმა ფეხბურთელმა კარიერა სერია A-ში უნდა გააგრძელოს. ამ შემთხვევაშიც ასე იყო მოსალოდნელი, ვინაიდან „ფიორენტინა" და „უდინეზე" კარგა ხანია ცდილობდნენ „ტერნანას" 25 წლის თავდამსხმელის კორადო გრაბის გადაბირებას, მაგრამ სერია B-ს ახლახან დასრულებული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა (20 გოლი) თავი ინგლისურ პრემიერლიგაში ამოჰყო — გუშინწინ იტალიელთან ოთხწლიანი კონტრაქტი „ბლექბერნ როვერსმა" გააფორმა.

„ბლექბერნი", მოგეხსენებათ, პრემიერლიგას წლეულს უბრუნდება და ფულის ისედაც დიდად მხარჯველად ცნობილ გრემ სუნესს კლუბის თავკაცობამ დამატებით 20 მილიონი გირვანქა გამოუყო საზაფხულო ვაჭრობისთვის. შოტლანდიელმა მწვრთნელმაც არ დააყოვნა და პირველი 7 მილიონი სწორედ იტალიელ ბომბარდირში გადაიხადა. როგორც ვარაუდობენ, სუნესის შემდეგი შენაძენი „რეინჯერსის" თურქი თუგაი იქნება, „ტრანმერიდან" ირლანდიელი ნახევარმცველის ალან მაჰონის გადმოყვანა კი თითქმის შემდგარი საქმეა.

რაც შეეხება კორადო გრაბის, ამან კარიერა თვით „იუვენტუსში" დაიწყო, თუმცა ძირითადში მხოლოდ ორჯერ ითამაშა და „რავენაში" გაუშვეს. მერე იყო „მოდენა", საიდანაც „ტერნანაში" გადავიდა და წლეულს საუკეთესო სეზონიც ჩაატარა. „ქალაქი მომეწონა, კლუბსაც ამბიცია გააჩნია, პრემიერლიგა კი ყოველთვის მიზიდავდა. მოკლედ, ყველაფერი ჩინებულადაა. თავი სიზმარში მგონია და ერთი სული მაქვს, საქმეში როდის ჩავერთვები" — თქვა კონტრაქტზე ხელმოწერის მერე გრაბიმ და სამშობლოში გაემგზავრა, ბლექბერნში კი ივლისის დასაწყისში დაბრუნდება.

ამასობაში პრემიერლიგას კიდევ ერთი იტალიელი შეემატა. უფრო სწორად, თითქმის გადაწყდა, რომ 32 წლის ფაბრიციო რავანელი ინგლისში დაბრუნდება. როგორც თავად ჭაღარა იტალიელი ამბობს, „ლაციო" ჩემპიონთა ლიგაში კი გავიდა, მაგრამ მას ძირითადში თამაში ურჩევნია და „დერბი ქაუნთის" წინადადებასაც ამიტომ დათანხმდა. თავის დროზე (1996-97 სეზონში) „მიდლსბროში" 31 გოლის გამტანი რავანელი ახლა თავისუფალი აგენტია და ამიტომაც ხელს ვერავინ შეუშლის ქინქლაძის გუნდის მიერ შეთავაზებულ ორწლიან და კვირაში 35 ათას გირვანქიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. „ვფიქრობ, გოლების შეგდების უნარი კიდევ გამაჩნია და იმედს არავის გავუცრუებ" — თქვა ფაბრიციომ.

**გიგა ძოგახიძე**

## ტურამი იუვენტუსს ხუთი წლით ერთგულებს

**წუხელ** ერთ ტრანსფერსაც ბოლო მოეღო. ბოლო დროს გავრცელებული ხმები, იტალიურ „პარმას" ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლილიან ტურამი ტოვებსო, ოფიციალურად დადასტურდა. „მე, არ მსურს ისეთ გუნდში თამაში, სადაც სკუდეტოს ვერ მოვიგებ" — ტურამმა ეს სიტყვები ადრე თქვა. ტიტულებით განებივრებული ფრანგი ატყობდა, „პარმაში" წადილს ანუ „სკუდეტოს" ვერ ავისრულებო და გაცილებით ამბიციურ კლუბში გადასვლა ამოიჩრა გულში.

„მანჩესტერ იუნაიტედი", „ლაციო", „მილანი" — ვინ აღარ ეპატიჟებოდა... გუშინ კი ლილიან ტურამი ოფიციალურად გახდა ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელი. „იუვენტუსში" ტურამი თავის ორ თანამემამულეს — ზინედინ ზიდანს და დავიდ ტრეზეგეს შეუერთდება.

„სამწუხაროდ, ტურამმა დაგვტოვა, ვგრძნობდი ასეც მოხდებოდა" — თქვა





გუშინვე „პარმას" პრეზიდენტმა კალისტო ტანციმ.

ერთი სიტყვით, ტურამი იუვენტუსელია, თუმცა კონტრაქტის დეტალები არ გაუმხელიათ, ფრანგი „ბებერი ქალბატონის" ერთგული სულ ცოტა ხუთი წლით იქნება.

**გიორგი ვაზაძიძე**

### ბევრ მოთამაშეს ბევრი მსაჯიც სჭირდება

**უეფას** გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა გერმანულ რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ევროპული ფეხბურთის მმართველობა იმ აზრს ემხრობა, რომ მოედანზე ორი არბიტრია საჭიროო. გარდა ამისა, არის მოსაზრება, დაინიშნონ სპეციალური არბიტრები, რომელნიც კართან დადგებიან და ყურადღებით დააკვირდებიან, ბურთი გადაკვეთს თუ არა კარის ხაზს. ეს შეამცირებდა მსაჯების მიმართ საყვედურებსო. ამასთან ერთად აიგნერის თქმით, ამ თემაზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება უახლოეს მომავალში ნაკლებ სავარაუდოა. მან ეჭვი გამოთქვა, რომ ფიფასთან მოლაპარაკება გვარიანად გაჭიანურდება.

**ლუკა ბებეჭკორი**



## ჰენრიკ ლარსონმა ტყავის ბუცები იუკადრისა

**სელტიკელმა** ჰენრიკ ლარსონმა ამ სეზონში 53 გოლი გაიტანა, მათგან ჩემპიონატში — 35 და „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბუცი" მოიგო.

მეორე ადგილზე ლაციოელი ერნან კრესპო გავიდა, რომელსაც სერია A-ში 26 გოლი დაუგროვდა და ლარსონს მხოლოდ... ერთით ჩამორჩა.

საქმეში რომ გავერკვეთ, წარსულში დაბრუნება მოგვიწევს. თავდაპირველად არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ რომელი ქვეყნის ჩემპიონატში გაიტანდა გოლებს. ამიტომაც ბოლოლა ჩემპიონატების ბომბარდირებს თითქმის მუდამ რუმინელი და მისთანა მეგოლეები უსწრებდნენ. იმასაც ამბობდნენ, „ოქროს ბურთის" მომავალ ლაურეატებს მეტად საეჭვოდ გაჰქონდათ ერთ მატჩში ბევრ-ბევრი გოლიო.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, როგორ გაიტანა 1985-86 წლების სეზონში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფორვარდმა ოლეგ პროტასოვმა ქუთაისში სამი გოლი, რასაც „ტორპედომ" ოთხით უპასუხა და რამაც პროტასოვს ლაურეატთა შორის მეორე ადგილი მიუჩინა.

ამის გამო იყო, რომ 1992-96 წლებში „ოქროს ბუცით" დაჯილდოება შეწყდა და მერე ახალი სახით აღდგა. ეროვნულ ჩემპიონატებს კოეფიციენტები დაუდგინეს, რათა, მაგალითად, რუმინეთსა და იტალიაში გატანილ გოლებს ერთი ფასი აღარ ჰქონოდათ.

ახლა კი ამ სეზონისა ვთქვათ. შოტლანდიაში ჩემპიონატის კოეფიციენტი 1,5-ია. ესე იგი, ლარსონის 35 გოლი 52,5 ქულად შეფასდა. ერთი იტალიური გოლი კი ორ ქულად ფასობს და კრესპომ 26 გოლისთვის 52 ქულა მიიღო. ჰოდა, ამ წესის გათვალისწინებით, კრესპოს გასამარჯვებლად მხოლოდ ერთი გოლი დააკლდა.

ქვემოთ „ოქროს ბუცის" ყველა მფლობელს გაგაცნობთ. იქვე ის ფეხბურთელებიც არიან დასახელებულნი, რომლებმაც 1992-96 წლებში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯილდო ვერ მიიღეს.

**გიორგი დარჯანია**

### ოქროს ბუცის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1967-68 | ეუსებიო ........... | ბენფიკა, პორტუგალია | 42 |
| 1968-69 | პეტარ ზეკოვი .......... | ცსკა, ბულგარეთი | 36 |
| 1969-70 | გერდ მიულერი ......... | ბაიერნი, გერმანია | 38 |
| 1970-71 | იოსიპ სკობლარი .... | მარსელი, საფრანგეთი | 44 |
| 1971-72 | გერდ მიულერი ......... | ბაიერნი, გერმანია | 40 |
| 1972-73 | ეუსებიო ........... | ბენფიკა, პორტუგალია | 40 |
| 1973-74 | იაზალდე ....... | სპორტინგი, პორტუგალია | 46 |
| 1974-75 | დუდუ ჯორჯესკუ ...... | დინამო, რუმინეთი | 33 |
| 1975-76 | სოტირის ტაიაფასი ...... | ომონია, კვიპროსი | 39 |
| 1976-77 | დუდუ ჯორჯესკუ ...... | დინამო, რუმინეთი | 47 |
| 1977-78 | ჰანს კრანკლი ........... | რაპიდი, ავსტრია | 41 |
| 1978-79 | კის კისტი .............. | აზ-67, ჰოლანდია | 34 |
| 1979-80 | ვან დენ ბერგი ........... | ლიერსი, ბელგია | 39 |
| 1980-81 | გეორგი სლავკოვი .... | თრაკია, ბულგარეთი | 31 |
| 1981-82 | ვიმ კიფტი .............. | აიაქსი, ჰოლანდია | 32 |
| 1982-83 | ფერნანდო გომეში ... | პორტუ, პორტუგალია | 36 |
| 1983-84 | იან რაში ........... | ლივერპული, ინგლისი | 32 |
| 1984-85 | ფერნანდო გომეში ... | პორტუ, პორტუგალია | 39 |
| 1985-86 | მარკო ვან ბასტენი ...... | აიაქსი, ჰოლანდია | 37 |
| 1986-87 | იონ კემეტარუ ......... | დინამო, რუმინეთი | 44 |
| 1987-88 | ტანჯუ ჩოლაკი ... | გალათასარაი, თურქეთი | 39 |
| 1988-89 | დორინ მატეუტი ....... | დინამო, რუმინეთი | 43 |
| 1989-90 | უგო სანჩესი ............. | რეალი, ესპანეთი | 38 |
| 1990-91 | დარკო პანჩევი | ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია | 34 |
| 1992-93 | ალი მაკკოისტი ... | რეინჯერსი, შოტლანდია | 34 |
| 1993-94 | დევიდ ტეილორი ..... | პორთმადოგი, უელსი | 43 |
| 1994-95 | ზვიად ენდელაძე ... | მარგვეთი, საქართველო | 40 |
| 1996-97 | რონალდო ........... | ბარსელონა, ესპანეთი | 34 (68 ქულა) |
| 1997-98 | ნიკოს მახლასი ......... | ვიტესი, ჰოლანდია | 34 (68 ქულა) |
| 1998-99 | მარიო ჟარდელი .... | პორტუ, პორტუგალია | 36 (78 ქულა) |
| 1999-00 | კევინ ფილიპსი .. | სანდერლენდი, ინგლისი | 30 (60 ქულა) |
| 2000-01 | ჰენრიკ ლარსონი .... | სელტიკი, შოტლანდია | 35 (52,5 ქულა) |

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი. IV ტური

# წვიმს, წვიმს... ბურთები მიჰქრიან ქარდაქარ



უნივერსიტეტი — აია. ოთხი საჯარიმოს გამტან უნივერსიტეტელ ირაკლი მოდებაძეს ზურა ცხვედიანი (მარჯვნივ) და თორნიკე აშვეთია ბოჭავენ

ბათუმი. ანგისა. 17 ივნისი

**დათვები 19:13 სტუ-ყოჩები**

დათვები: კიკნაძე, სვინტრაძე, პინჩუკოვი, კაპანაძე, ხონელიძე, მაჩიტიძე, ხელაძე; ნინიძე, ღლონტი, აშვეთია, ბერიძე, გურეშიძე, სვანიძე, უჩავა, ჩირგაძე
2ლ: ხონელიძე; 3ს: მაჩიტიძე, უჩავა (2)
ყოჩები: კობერიძე (ს. ლიპარტელიანი), ნ. მხეიძე, ტრაპაიძე, ბარძიმიშვილი, კ. მხეიძე, კაჭარავა, გიორხელიძე; მელაძე, კუკუაშვილი, ფირიაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი, ჭელიძე, ცხვედიანი, გ. ხაბეიშვილი
1ლ: ცხვედიანი; 1გ: გიორხელიძე; 2ს: გიორხელიძე
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი
მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა. 17 ივნისი

**უნივერსიტეტი 12:3 აია**

უნივერსიტეტი: კიზირია, მაჩხანელი, ბარამიძე, ი. მაისურაძე, ო. ელოშვილი, დ. მხეიძე, მოდებაძე; ჯანუყაშვილი (ნოკლაური), ალიბეგაშვილი, კვველია (კობიაშვილი), ჯალაღანია (ქარაბაკი), აქსაჯანაშვილი (გუჯარაიძე), კუთარაშვილი, გუნდიშვილი, ჩქარეული
4ს: მოდებაძე
აია: მ. ხელაძე (სორდია), ნამჩევაძე, ზვიადაძე, თ. აშვეთია, ბ. ცხვედიანი, ჩუბინიძე, კ. გიორგაძე; კეპულაძე (ჭოლაძე), დ. ბალანჩივაძე, კოპალიანი, ნემსაძე, თ. ბალანჩივაძე, ყურაშვილი (კიკვიძე, დადუნაშვილი), მინაძე, საყვარელიძე
1ს: ზვიადაძე
მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა
მეთვალყურე: მიხეილ რობიტაშვილი

თბილისი. ავლაბარი. 17 ივნისი

**ასკ 10:53 ლოკომოტივი**

ასკ: სუთიაშვილი, კვაჭაძე, გიორგობიანი (იაკობიძე), მიქელაძე, ზაქარაიძე, ფ. უდესიანი, გეგეშიძე; მზარეულიშვილი, ქაფიანი (აფაქიძე), ლიპარტელიანი, გურგენიძე, ზანგუაშვილი, ვაშაყმაძე, თათოესიანი (ორდენიძე), დადუნაშვილი
1ლ: ფ. უდესიანი; 1გ: ფ. უდესიანი; 1ს: ფ. უდესიანი.
ლოკომოტივი: ძნელაძე, აბუსერიძე, ბუგიანიშვილი, ცხადაია, ანდღულაძე, კვინიხიძე, ბერიძე; ქავთარაძე, ხინჩაგაშვილი, კერესელიძე, გიორგაძე (თოფურიძე), ვალიშვილი, ზ. მაისურაძე, ალანია (კოტრიკაძე), ბ. უდესიანი
9ლ: ანდღულაძე (2), ბუგიანიშვილი (2), ვალიშვილი, ალანია, ზ. მაისურაძე, თოფურიძე, კვინიხიძე; 4გ: კვინიხიძე
მსაჯი: გია კარკაძე
მეთვალყურე: დავით ჩაგლეიშვილი

მეოთხე ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა. ადგილობრივმა „დათვებმა" თბილისის „სტუ-ყოჩებს" უმასპინძლა. შარშანდელი დრამატული ნახევარფინალის შემდეგ ეს ორი გუნდი აქამდე არსად გადაჰყროდა ერთმანეთს. მაშინ თბილისელმა მორაგბეებმა, ბევრისთვის მოულოდნელად, ბათუმში ოქროს მაძიებელი „დათვები" დაიფრინეს საჩემპიონო პლეი ოფიდან.

კვირას გამართულ მატჩში ზღვისპირელებს ერთგვარი რევანშის წყურვილი ჰკლავდათ, თანაც ამ შეხვედრამდე ორივე გუნდი ასპროცენტიანი შედეგით დაუპირისპირდა ერთმანეთს. ბათუმელებს ორიდან ორივე მატჩში ემარჯვათ, „ყოჩები" კი სამი მოგებით ლიდერობდნენ ჩემპიონატს. ასე რომ, პოზიციების დათმობას არც ერთი აპირებდა და დაძაბული პაექრობის მომლოდინე მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი მიაწყდა ანგისას სარაგბო სტადიონს.

მატჩამდე ბათუმში ორი დღე გადაუღებლად წვიმდა. ავდარი იყო შეხვედრის დროსაც. დამძიმებულ გრუნტს უკეთ ბათუმელებმა აუღეს ალღო. ლევან მგელაძის შეგირდები ორი ლელოთი და სამი საჯარიმოთი გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. თავის მხრივ, ვიცე-ჩემპიონებმა ლელო — გარდასახვა — ორი გოლით უპასუხეს მეტოქეს, მაგრამ „დათვების" მონაგარი მეტი აღმოჩნდა და გამარჯვებაც ზღვისპირელებს დარჩათ. მოგება მოგებად და ბათუმელები საჩემპიონო მარათონს სათავეში მოექცნენ.

ბათუმურ მატჩზე არანაკლებ პრინციპული იყო „უნივერსიტეტი" — „აიას" დაპირისპირება. ავად თუ კარგად, პლეი ოფის საგზურის სამი რეალური კანდიდატი უკვე გამოიკვეთა. „დათვებს", „სტუ-ყოჩებსა" და „ლოკომოტივს" პირველ სამ საფეხურს ვერავინ შეეცილება. სხვა საქმეა, როგორ გაინაწილებს დიდი სამეული ცხრილში ადგილებს. აი, მეოთხე საგზური კი სწორედ „უნივერსიტეტი" — „აიას" შორის გათამაშდება.

კვირას გამართულ მატჩამდე თბილისელ სტუდენტებს გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ჯერ არ განელებოდათ. იმერულ კლუბს კი ასკ დაემარცხებინა წინა ტურში. ასე რომ, მასპინძლებს წაგების უფლება არ ჰქონდათ, რადგან მეცხრე ტურში „უნივერსიტეტი" ქუთაისს სტუმრობს. ლიხს იქიდან ხელდამშვენებული დაბრუნება კი ვინძლო ბობოლებსაც გაუჭირდეთ.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ თბილისელებმა. ისინი პირველივე წუთებიდან ეკვეთნენ მეტოქეს, ბევრი უტრიალეს ქუთათურთა ლელოს, მაგრამ შიგნით მაინც ვერ შეაღწიეს. სამაგიეროდ, პირქარში, ირაკლი მოდებაძემ დაატუხა თავისი ქვემეხი. გასროლილმა ჭურვმა ორჯერ გაიარა კარის ჩარჩოებს შუა. არც ამის შემდეგ მოისვენეს სტუდენტებმა, ეგ იყო, სათამაშო უპირატესობა ქულებში ვერა და ვერ ასახეს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მასპინძლები მეტნი იყვნენ მოედანზე, ვიდრე სტუმრები. მაგრამ „უნივერსიტეტი" რატომღაც უგულებელყოფდა ფლანგებს და არც შუამარბები იყვნენ მაინცდამაინც დატვირთულები. თბილისელები ძირითადად ჯან-ღონის ხარჯზე უპირებდნენ მოწინააღმდეგეს მოგუდვას, მაგრამ ქუთათურთა ძლიერი შერკინება სტუდენტთა მოწოლას უკუაგდებდა. დროდადრო „აია" მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა. მათ სასარგებლოდ დანიშნული ჯარიმები კი ვერაფერით შეაგდო გიორგი ჩუბინიძემ. ერთხელ არეკნიც გაუცუდდა „კიჭის". რა უნდა ექნა ქუთაისელთა დამრტყმელს, როდესაც ქარი თავის ნება-სურვილზე ათამაშებდა ბურთს.

მეორე ტაიმი უფრო დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. სტუმრებმა ლალი და ხელდახელ ბურთაობა გააჩაღეს. მეტოქის თამაშის შემხედვარე „უნივერსიტეტის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ ქათინაურიც უძღვნა „აიას", ალალი იქნება, თუ ქუთაისელები მოიგებენო, დაუფარავად განაცხადა.

ასე იყო თუ ისე, ზურაბ ზვიადაძემ საჯარიმოს ნიშნულიდან აზეირა თავისი გუნდი და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ირაკლი მოდებაძემ მყისვე აღადგინა სტატუს-კვო. ერთ ეპიზოდში ქუთათურებმა ლამაზად გაათამაშეს მარაო, ჩუბინიძემ მეტოქის მცველების ზურგსუკან ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც ხან აქეთ ახტა, ხან — იქით, ბოლოს კი სტუდენტთა ლელოში გაჩერდა პატრონის მომლოდინე. აიელებს „უნივერსიტეტის" მცველმა დაასწრო და ბურთთან ხელის ერთი შეხებით სტუმართა სალელოე შეტევა ჩაშალა. ბოლოსკენ ერთხელაც იძალეს ქუთათურებმა. დათო დადუნაშვილმა თავისი კარიდან მარტომ ათრია ბურთიც და მასპინძელთა მცველებიც, მისი შებოჭვა მხოლოდ თავიანთ ნახევარზე შეძლეს მასპინძლებმა.

საჯარიმო დარტყმები კი ქარს გაატანეს აიელებმა. სამაგიეროდ, მატჩის მიწურულს ისევ მოდებაძემ უსწორა ბურთი მიზანს და საქმეც მოათავა.

ტური კი ასკ — „ლოკომოტივის" მატჩით დასრულდა. ამ წყვილის გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი ნამდვილად არ იყო. ჩემპიონებმა იოლად დაჯაბნეს უპატრონოდ მიტოვებული არმიელები. ასკ-მ ჩემპიონატში პირველად უწია ქულათა ორნიშნა ზღვარს. თავი „ლოკომოტივის" მესამეხაზელის, ბესიკ უდესიანის უმცროსმა ძმამ, ფრიდონმა გამოიჩინა, რომელიც უწინ სწორედ რკინიგზელთა კლუბში ირიცხებოდა, სეზონის წინ კი ასკ-ს შეუერთდა.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 3 | 3 | 0 | 0 | 65:48 | 6 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 154:47 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 120:59 | 6 |
| უნივერსიტეტი | 4 | 1 | 0 | 3 | 58:65 | 2 |
| აია | 4 | 1 | 0 | 3 | 69:70 | 2 |
| ასკ | 3 | 0 | 0 | 3 | 13:191 | 0 |



ასკ — ლოკომოტივი. არმიელები შალვა ქავთარაძის შეჩერებას ცდილობენ



ბათუ კევლიშვილი

# ვიცე მეორე

## ბათუ კევლიშვილი საქართველოს მიხედავს

**საქმეები** მოემალა რაგბის კავშირს, აქეთ ეროვნული და შვიდკაცა, იქით ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებები, ამას ახალშექმნილი 17-წლამდელთა ნაკრები დაუმატეთ. არც ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების დავიწყება ეგების და იქნებ მოულოდნელი არც იყოს, მეორე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი რომ დამტკიცდა რაგბის კავშირში. ამიერიდან ამ მოვალეობას ბათუ კევლიშვილი შეასრულებს, კაცი, რომელიც ქართულ სარაგბო ოჯახში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ბავშვთა რაგბის პატრიარქად ითვლება. ამასთანავე კევლიშვილს პატიოსან და საქმიას მკეთებელ პიროვნებად იცნობენ.

„ასე გადავწყვიტე. საგარეო საქმეებს ზაზა ქასაშვილი მიხედავს, შინაურ საქმიანობას კი ბათუ კევლიშვილი წარმართავს. ბათუ გამოცდილი, გავლენიანი პიროვნებაა. ქართული რაგბის ხელმძღვანელობა არ გაუჭირდება" — გვითხრა კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ, როდესაც ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ.

როგორც ჩანს, რაგბის კავშირი მომავლისკენ იყურება, პრიორიტეტად კი ბავშვთა რაგბი დაუსახავს. ბათუ კევლიშვილზე უკეთესად ამ სფეროს ვერავინ წარუძღვება, მაგრამ მარტო ბავშვთა რაგბი არ უნდა ამოძრავებდეთ ქართული რაგბის მამებს. არ არის გამორიცხული, ბათუ კევლიშვილის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნას კავშირში სხვა სტრუქტურული ცვლილებებიც მოჰყვეს.

**ბაჩო სვანიძე**

## კალათბურთი

### იტალია

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| კინდერი | 2 |
| ფორტიტუდო | 0 |

**ფორტიტუდო 71:77 კინდერი**

ფორტიტუდო: ფუჩკა (17), გილი (17), მაიერსი (18), მენეგინი (2), ფუკაუსკასი (4), ბაზილე (4), დე პოლი (5), ბოუი (4), გალანდა, პილუტი
კინდერი: ჯინობილი (8), გრიფიტი (3), რიგოდო (21), იარიჩი (5), ფროზინი (4), აბიო (10), სმოდიში (14), ბონორა (2), ანდერსენი, ამბრასა

### ესპანეთი

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| რეალი | 0 |

**ბარსელონა 81:73 რეალი**

ბარსელონა: როდრიგესი (3), პოკინსი (6), დე ლა ფუენტე (10), ელსონი (3), დიგბო (3), ნავარო, დუენიასი (6), იასიკევიჩუსი (13), რენციასი (10), გასოლი (12), კარნიშოვასი (15)
რეალი: ა. ანგულო (6), სტრიულენსი (4), ჯორჯევიჩი (10), ლ. ანგულო (6), მიკი (8), ერეროსი (15), მილიჩი (9), ზიდეკი (2), ლოპესი (8), იტურბე (5)

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია A. პლეი-აუტი** | | | |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 23.00 | 001 | ვერონა-რეჯინა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 21.00 | 002 | რეჯინა-ვერონა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-6 ტური** | | | |
| | | **19 ივნისი** | | | |
| 23.00 | 003 | ვოლენდამი-ტელსტარი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.00 | 004 | სიტარდი-ზვოლე | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| | | **პოლონეთი. პლეი-ოფი** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 21.00 | 005 | პოლკოვიცე-სტომილი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 19.30 | 006 | სტომილი-პოლკოვიცე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **რუსეთი. მე-14 ტური** | | | |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 16.00 | 007 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 16.00 | 008 | როტორი-ანჟი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 009 | როსტსელმაში-ალანია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 010 | ზილ-ტორპედო 4,0 | 2,9 | 1,75 | |
| 16.00 | 011 | სატურნი-კრილია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 012 | ფაკელი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 013 | ცსკა-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 16.00 | 014 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| | | **შვედეთი** | | | |
| | | **19 ივნისი** | | | |
| 22.00 | 015 | მალმიო-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 22.00 | 016 | სუნდსვალი-აიკ | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 22.00 | 017 | იორგრიტე-ელფსბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 20.00 | 018 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 22.00 | 019 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 020 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 021 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **ნორვეგია. მე-12 ტური** | | | |
| | | **22 ივნისი** | | | |
| 22.00 | 022 | ბრანი-მოლდე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 21.00 | 023 | ლილესტრიომი-მოსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 024 | ლინი-ტრომსიო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 025 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 026 | სოგნდალი-სტრიომგოდსეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 027 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.05 | 028 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| | | **ფინეთი** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 20.30 | 029 | მიუპა-ჰაკა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 030 | ჯაზი-ტამპერე | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 20.30 | 031 | ჰაკა-ჰიკ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 032 | ინტერი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 033 | როვანიემი-ატლანტისი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| | | **ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 00.30 | 034 | ატლეტიკო-სარაგოსა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 00.30 | 035 | სელტა-ბარსელონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 00.30 | 036 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 00.30 | 037 | ბარსელონა-სელტა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **რუსეთი. თასის ფინალი** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 18.30 | 038 | ანჟი-ლოკომოტივი | 4,4 | 3,0 | 1,7 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 03.05 | 501 | კრუს ასული-ბოკა ხუნიორსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები** | | | |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 18.00 | 502 | აიკ-კარმართენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 19.00 | 503 | კლიფტონვილი-ტილიგული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 504 | ტალინი-ჰაპოელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 505 | ლიეპაია-კორკი | 1,7 | | |
| 19.00 | 506 | გლორია-ჯაზი | 1,5 | | |
| 20.00 | 507 | ჰიბერნიანსი-ზაგლებე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 20.00 | 508 | სლავენი-ანორთოსისი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 509 | ბილისი-უნივერსიტატია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.30 | 510 | ცელიე-ორჰუსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 511 | სარტიდი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 512 | ლოზანა-სენტ ჯულია | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ტოფტირი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 17.00 | 514 | შირაქი-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 515 | ვილიაში-გრინდავიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 516 | სპარტაკი (ვარნა)-გროცლინი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 517 | პობედა-ზაგრები | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 518 | პეტრჟალკა-ეკრანასი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 519 | ჰობშაიდი-დინამო (მინსკი) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 20.00 | 520 | რიდი-ვიტ ჯორჯია | ანგარიში | – | 5,0 |
| 21.00 | 521 | დენიზლი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 04.30 | 522 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 06.30 | 523 | ჰონდურასი-მექსიკა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 07.00 | 524 | კოსტა რიკა-იამაიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში)** | | | |
| | | **20 ივნისი** | | | |
| 22.00 | 525 | იამაიკა-ფინეთი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 526 | კანადა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 22.00 | 527 | უკრაინა-ჩინეთი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 00.45 | 528 | ეგვიპტე-არგენტინა | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 00.45 | 529 | ერაყი-ბრაზილია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 00.45 | 530 | ჩილე-აშშ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 22.00 | 531 | ავსტრალია-ჩეხეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 532 | კოსტა რიკა-ეთიოპია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 533 | საფრანგეთი-პარაგვაი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 534 | იაპონია-ანგოლა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 535 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 536 | ირანი-განა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 22.00 | 537 | ფინეთი-ეგვიპტე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 538 | არგენტინა-იამაიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 539 | გერმანია-ერაყი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 540 | ბრაზილია-კანადა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 541 | აშშ-უკრაინა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 542 | ჩინეთი-ჩილე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 22.00 | 543 | ანგოლა-ავსტრალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 544 | ჩეხეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 545 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 546 | ეთიოპია-ჰოლანდია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 547 | განა-საფრანგეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 548 | პარაგვაი-ირანი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი. ქალები (გერმანიაში)** | | | |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 17.15 | 549 | გერმანია-შვედეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 20.30 | 550 | რუსეთი-ინგლისი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 20.30 | 551 | იტალია-დანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.45 | 552 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ძობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისეთი რა მოხდა: ლეიკერსი ჩემპიონია

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 4 |
| ფილადელფია | 1 |

15 ივნისი

**ფილადელფია 96:108 ლეიკერსი**

**ფილადელფია: სნოუ (13 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), აივერსონი (37), მაკკი (7), ჰილი (18 ქულა, 13 მოხსნა), მუტომბო (13 ქულა, 11 მოხსნა); გეიგერი (2), ლინჩი (2), ბელი (2), ოლი (2), მაკალოფი, ბაფორდი, ჯონსი**

**ლეიკერსი: ფიშერი (18), ბრაიანტი (26 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ფოქსი (20), გრანტი (6), ონილი (29 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება); ჰორი (7), შოუ (2), ლუ, მადსენი, ჰარპერი.**



შაკილ ონილი ჩემპიონის და ფინალის უძვირფასესი მოთამაშის თასებით

ლოს ანჯელესში მტკიცედ სწამდათ თავიანთი ჯილა „ლეიკერსის“ გამარჯვებისა, ამიტომაც ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის 18 ათასმა მკვიდრმა ათ-ათი დოლარის გაღება არ დაიშურა, „ლეიკერსის“ შინაურ სარბიელ „სტეიპლზ სენთერში“ მისვლა არ დაიზარა და იქ გიგანტურ ეკრანზე ნახა 2000-01 წლების სეზონის ბოლო თამაში. ნანახით კმაყოფილ ლოსანჯელესელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მყუდრო ბინებს მიაშურა, მხოლოდ ერთი მუჭა შფოთისთავები გაახელა შედეგმა. მათ დარბაზის წინ, მოედანზე კოცონი დაანთეს და პოლიციის საპატრულო მანქანებზე ქვებით და ბოთლებით გაიწიეს, ხოლო ვინაიდან საპასუხოდ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები მიიღეს, გაქცევა იკადრეს. ყველაფერი ამით დამთავრდა. მრავალნაცადი ლოსანჯელესური პოლიციისთვის, რომელსაც კარგად ახსოვს და ალბათ კიდევ დიდხანს არ დაავიწყდება შარშანდელი „ლეიკერსის“ ჩემპიონობის თანმხლები მღელვარება, 15 ივნისის ღამემ (თუ 16 ივნსის დილამ) ლამის ოლიმპიური სიმშვიდით ჩაიარა.

ხოლო „სტეიპლზ სენთერიდან“ რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით, ფილადელფიაში, „ფერსთ იუნიონ არენაში“ 2000-01 წლების სეზონი დასრულდა — ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ გახდა და ვინაიდან ყველა თვლიდა, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებითრებულ სიხარულს თუ მწუხარებას ადგილი არ ჰქონია. თავად ფილადელფიელ ქომაგებს მოემზადებინათ ტრანსპარანტები, რომლებზეც წინასწარ მადლობას უხდიდნენ თავიანთ კერპებს ღირსეულად წაგებისთვის, უფრო ზუსტად კი კარგი სეზონისთვის, თორემ იმას, რაც „ლეიკერსმა“ „ფილადელფია სიქსერზს“ დააწია (და ყველა სხვასაც), ძნელად რომ ღირსეული წაგება დაერქვას.

როცა თამაში დამთავრდა და „ლეიკერსს“ ოფიციალურად დაერქვა ჩემპიონი, არც წაგებულებს ურტყიათ თავი იატაკისთვის და არც მოგებულებს — ერთმანეთისთვის. მასპინძლებმა სტუმრებს ჩემპიონობა, როგორც რიგითი მატჩის მოგება ისე მიულოცეს. მოგებულებმა წაგებულებს ზურგზე ხელი მოუტყაპუნეს, არვითარი ზეიმი, სიხარული და სიცილ-ხარხარი, თვით ღიმილიც კი ძვირად შეინიშნებოდა ჩემპიონთა სახეებზე. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ შარშანდელივით შაკილ ონილი დაასახელეს, მას კი „აზრად არ მოსვლია“, სიხარული გამოემჟღავნებინა. შარშან ამ დროს მას ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, ახლა კი ვეება, ხორცსავსე, უტყვი სახე მხოლოდ ჩემპიონად ოფიციალურად კურთხევისას გაუნათდა. შაკმა „ინამუსა“ და თავის ბრწყინვალე გამარჯვებათა მოწმე სამყაროს ღიმილი აჩუქა.

ოკეანგაღმელი კალათბურთის ქომაგებს არ ახსოვთ სეზონის ასეთი ულიმღამო დასასრული. ცხადია, არც „ლეიკერსისთვის“ და არც „სიქსერზისთვის“ არ გახლდათ სულერთი, როგორ დამთავრდებოდა ფინალური სერია, თუმც არსად იყო გრძნობები, ასეთი რანგის შეჯიბრის ფინალს რომ ახლავს. გრძნობები „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ სიძლიერემ ჩაკლა. ეს გუნდი წინასწარ იყო ჩემპიონი და დღეს, როცა დამტკიცდა, რომ იგი ყველა დანარჩენზე ათი თავით მაღლა დგას, „ფილადელფიას“ შეიძლება პატარა გმირობად ჩაეთვალოს სერიის პირველ მატჩში მომავალ ჩემპიონთა დამარცხება. ეს მარცხი ერთადერთია, რომელიც „ლეიკერსმა“ ბოლო 24 თამაშში, პირველი აპრილის შემდეგ იწვნია. აი, 15 ივნისის უსიცოცხლო საღამოს გასაღებიც.

ლოსანჯელესელებს იქნებ არც მათ მიერ დამყარებული ყველა დროის რეკორდი ანაღვლებთ — პლეი ოფში 15 გამარჯვება და მხოლოდ ერთი მარცხი. პლეი ოფში ერთი მარცხით ჩემპიონი სხვაც გამხდარა — ბედის ირონიით ეს 1983 წლის „ფილადელფია“ გახლდათ, თუმც ამ გუნდმა ჩემპიონობა 12 გამარჯვებით მოიპოვა. დღეს პლეი ოფი სხვა ფორმატით ტარდება. ამასთან „ლეიკერსს“ პლეი ოფში სტუმრად არ წაუგია, ესეც რეკორდია.

ეს „ლეიკერსის“ მე-13 ჩემპიონობა იყო, მასზე წინ მხოლოდ „ბოსტონია“ 16 ტიტულით. ლოსანჯელესელთა ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა მერვედ გახადა შეგირდები ნბაში უძლიერესებად. ჯექსონს მხოლოდ ბოსტონელი თუ გაუსწრებს. ასეცაა, 60-იანი წლების „სელტიქსის“ ლეგენდარულ თავკაც რედ აუერბახს, მოწაფეები ცხრაჯერ უჩემპიონებია. ჯექსონისთვის ეს შედეგი სულაც არ ჩანს მიუწვდომელი, მით უმეტეს ამ გუნდით, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ნბა-ს ისტორიაში. „ლეიკერსის“ შემხედვარე ის „ბოსტონი“ გაგახსენდება კაცს, ყველას ცალი ხელით რომ უგებდა და იქნებ მეტიც იყოს, „ბოსტონს“ დამატებული უილტ ჩემბერლენი (მაშინ ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ).

„ლეიკერსის“ ჩემბერლენი შაკილ ონილია. დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ შაკი თავის ადგილს დაიმკვიდრებს ნბა-ს ყველა დროის უძლიერეს მოთამაშეთა შორის. დღესდღეობით მის გვერდით თამაშობს ჯეელი სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტი, თუმც შაკი მაინც პირველია და ფინალის უძვირფასესიც ის გახლავთ.

თავად ონილი უარყოფს, რომ ჩემპიონობამ არ გაახარა. „პირველად რომ ჩემპიონი გავხდი, ტვირთი ჩამოვიხსენი ზურგიდან, მეორე ტიტულმა გაცილებით მეტი სიამოვნება მომანიჭა. ახლა ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო“.

ონილი ვერავინ გააჩერა, თვით დიკემბე მუტომბომ, რომელიც დაცვითი თამაშის ნიმუში გახლავთ. ბოლო თამაშში შაკმა თავის საშუალო შედეგიანობაზე ოდნავ ნაკლები ოდენობით ქულა-მოხსნა მიითვალა, თუმც, სამაგიეროდ, ექვსი პერსონალურით გააგდო ჯერ მუტომბოს შემცვლელი მეტ გეიგური, შემდეგ კი თავად მუტომბო. სწორედ ესაა „ლეიკერსის“ გამარჯვების ფორმულა. თავის დროზე უილტ ჩემბერლენის თარეშის ალსაკვეთად კალათბურთში შემოღებული იქნა სამი წამის წესი, მომავალი წლიდან კი ნბაში ზონურ დაცვას დაუშვებენ, რათა შაკილმა ძველებურად ერთი ხელის მოსმით არ წალეკოს ყველა.

თავად თამაშზე ბევრს არაფერს ვიტყვით. იგი სერიის დანარჩენ მატჩებს ჰგავდა. მესამე მეოთხედის შუაწელს „ლეიკერსის“ უპირატესობამ 19 ქულას უწია, „ფილადელფიამ“ და მისმა შეუპოვარმა ლიდერმა ალენ აივერსონმა კი ტრადიციულად იწყეს ბრძოლა დეფიციტის ამოსავსებად. მატჩის დამთავრებამდე 1,13 წუთით ადრე სხვაობა შვიდ ქულამდე შემცირდა, მაგრამ რამდენიმე წამში „ლეიკერსის“ გამთამაშებელმა დერიკ ფიშერმა სამქულიანი ჩააგდო და მასპინძლებს ხავსიც გამოაცალა. ჯამში ალენ აივერსონმა პირადი დუელი მოუგო კობი ბრაიანტს, მაგრამ სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ფიშერთან დამარცხდა. ფიშერმა იმ დღეს ექვსი სამქულიანი ჩაუგდო უძვირფასესს. მეექვსეს შემდეგ ყველაფერს აზრი დაეკარგა, ამიტომ აივერსონმა დამთავრებამდე ორმოცი წამით დარე დატოვა თამაში და გასახდელს მიაშურა. მას დერეფანში ფიშერი დაეწია და დაბალი ბიჭები მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მატჩის შემდგომი აუცილებელი ოფიციალური ცერემონია რომ დასრულდა, ლოსანჯელესელები თვითმფრინავში ჩასხდნენ და ქვეყნის საპირისპირო მხარეს გაფრინდნენ. 16 ივნისის ას დილას თვითმფრინავი ლოს ანჯელესის აეროპორტში დაეშვა. ჩემპიონები საკუთარ ავტომობილებში ჩასხდნენ და წყნარად წავიდ-წამოვიდნენ სახლებში.

**ირაკლი ფირცხვილი**



დერიკ ფიშერის შეჩერებას ფილადელფიელები ამ ხერხითაც ცდილობდნენ



ლოს ანჯელესს ჩემპიონის თასი კობი ბრაიანტმა დაანახა





ითანამშრომლებენ ჟელკო ობრადოვიჩი და ზაზა ფაჩულია?

# ფაჩულიას გამწვანებას შპირებენ

## ათენის პანათინაიკოსის მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ქართველი კალათბურთელი მიზანში ამოიღო

ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა და ამაში საკვირველი და უცნაური არაფერია.

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების 17 წლის ცენტრის, ზაზა ფაჩულიას მსურველი კლუბი გამოჩნდა, მის ახლანდელ გუნდზე, სტამბოლის „ულქერზე" გაცილებით ძლიერი, მდიდარი და გავლენიანი.

არა, „ულქერი" სულაც არ გახლავთ მაჩანჩალა და ბოგანო. სხვა თუ არაფერი, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო, თურქეთის ლიგის ჩემპიონია, შეძლებულიცაა და კარგა ხანია, ევროპულ ელიტაშიც გაერია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ მივა იმ გუნდთან, რომელიც ფაჩულიათი დაინტერესდა.

ევროპის ერთ-ერთმა უძველესმა და უძლიერესმა გუნდმა, შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონმა ათენის „პანათინაიკოსმა" ქართველი კალათბურთელი მიზანში ამოიღო. „მწვანეთა" ხელმძღვანელობა ოფიციალურად ჯერ არაფერს ამბობს, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობას უკვე შეუდგა.

გუშინ იმ ხალხს დავუკავშირდით, ვინც ამ ამბავთან მეტ-ნაკლებად შეიძლება იყოს დაკავშირებული. მათი კომენტარი ამგვარია.

**ზაზა ფაჩულია:** ათენელებს უშუალოდ ჩემთვის არ მოუმართავთ. ის კი ნაღდად ვიცი, რომ „პანათინაიკოსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ჩემს პირად მენეჯერს, ამერიკელ მარკ ფლეიშერს დაურეკა და უთხრა, მომავალი სეზონისთვის ფაჩულიას გადაყვანა გვინდაო".

***მანოს პაპადოპულოსი**, ათენის „პანათინაიკოსის" გენერალური მენეჯერი:* „ფაჩულიას ვიცნობთ, ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია, ოღონდ არც მის და არც სხვა ტრანსფერებზე ახლა არაფერს გეტყვით. ჩვენთან ასეთი წესია: ჩემპიონატის დასრულებამდე და სატრანსფერო სეზონის გახსნამდე კლუბის წარმომადგენლებს კალათბურთელთა აყვანა-გაშვებაზე ლაპარაკის უფლება არ გვაქვს. ამჟამად „პანათინაიკოსი" სხვა რამეზე ფიქრობს: საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში ვართ და ტიტულის შესანარჩუნებლად „ოლიმპიაკოსს" ვებრძვით. დამთავრდება ჩემპიონატი და ტრანსფერებზე მერე ვიფიქრებთ".

***ჟელკო ობრადოვიჩი**, ათენის „პანათინაიკოსის" მთავარი მწვრთნელი:* „ტრანსფერებზე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ვილაპარაკოთ".

***ბირქან ჩეთინბორა**, სტამბოლის „ულქერის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:* „პანათინაიკოსი" ჩვენ არ დაგვკავშირებია. რამე წინადადება რომ ყოფილიყო, გნებავთ ოფიციალური და გნებავთ პირად საუბარში ნათქვამი, პირველს მე მეცოდინებოდა. ფაჩულიას „ულქერთან" კონტრაქტი აქვს, რომელიც ძალაშია. თუ „პანათინაიკოსს" რამე სურს, ჯერ ჩვენ მოგვმართავს".

***მარკ ფლეიშერი**, ზაზა ფაჩულიას პირადი მენეჯერი:* „პანათინაიკოსს" ნამდვილად სურს ფაჩულიას გადაყვანა. კლუბის ხელმძღვანელებმა დამირეკეს და ეს ამბავი მითხრეს, თან რალაც-რალაცეები ზაზას შესახებაც გამოჰკითხეს. „პანათინაიკოსს" უნდა, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ფაჩულია ათენში ჩაიყვანოს და ვარჯიშებზე დააკვირდეს. ჯერჯერობით სულ ეს არის".

ერთსლა დავამატებთ. მარკ ფლეიშერი საკალათბურთო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი მენეჯერია. ფლეიშერის მრავალრიცხოვან კლიენტთაგან სამის ხსენებაც საკმარისია, მის ავტორიტეტზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას: ნბა-ს ვარსკვლავი კევინ გარნეტი, ევროპის საუკეთესო კალათბურთელი დეიან ბოდიროგა და კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი.

იუგოსლავიელი ჟელკო ობრადოვიჩი ევროპის მოქმედ მწვრთნელთა შორის ყველაზე ტიტულიანი და სახელიანია. მასზე იმდენი გვიწერია, რომ დეტალების დაკონკრეტება უადგილოდაც მიგვაჩნია.

საკითხავი ესლაა, ორ ასეთ საქმიან, დაკავებულ და პატივცემულ კაცს აქვს იმის დრო ან სურვილი, რომ ერთმანეთს ტყუილუბრალოდ ელაპარაკონ?

**მერაბ რატიშვილი**

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 1 |

**პანათინაიკოსი 73:67 ოლიმპიაკოსი**

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (13), კალაძისი (9), კოჩი (2), როჯერსი, ფოცისი (10), ჯენტილე (5), ბოდიროგა (12), მედვედენკო (4), რებრაჩა (10), ბერკი (2), ბალოიანისი (6)

**ოლიმპიაკოსი:** ბულუპისი, ვუჯჩიჩი (7), პაპანიკოლაუ (9), ეკონომუ (1), რიზაში (9), ტომიჩი (6), დე მიგელი, ფუმბერლენი (6), რაჯა (12), რივერსი (6)



**ევროპის ჩემპიონატი**

# აზმაიფარაშვილმა ბრინჯაო ქალბატონს წაართვა

**ადრე** ჭადრაკის ჩემპიონი უმძიმესი 24-მატჩიანი სერიით ვლინდებოდა, შაბათს კი ორი ბრძოლა შედგა და ევროპის ჩემპიონი უკვე ცნობილი იყო, თან განა სტანდარტული დროის კონტროლით? 15 წუთი ჰქონდათ მოჭადრაკეებს 40 სვლისთვის, სვლაზე 10 წამის დამატებით. ფინალის ორივე პარტიამ სხვადასხვაგვარად ჩაიარა. მათგან პირველში თეთრებით უკრაინელი რუსლან პონომარიოვი იყო, შავებით — ებრაელი ემილ სუტოვსკი და ამ უკანასკნელმა ბოლომდე მედგრად გაძლო. ენდშპილში მისი ეტლი ორ მსუბუქ ფიგურას ებრძოდა, რომლებმაც (უფრო მხედარმა) ურტყეს და ურტყეს წყვეტილ შავების მკვრივ ბანაკს და ვერსად გაარღვიეს. ყაიმი 59 სვლაში, მერე კი სასურველი ფერი ებრაელისა იყო. მეორე პარტია ისე დაბალანსებულად დაიწყო, 20 სვლაში ცხადი გახდა — რომელიმე მხარე გაწბილდებოდა. პონომარიოვის ფიგურები უფრო გამლიდად იდგნენ და გარეგნულად უფრო კარგადაც დაწყობილიყვნენ, მაგრამ ერთი მძლავრი დარტყმა და შავი ბანაკი დაიფშნა. სუტოვსკიმ ხარისხი და პაიკი მოიგო და აჩვენა უპირატესობის გაფლანგვას დიდოსტატი კი არა, პირველთანრიგოსანი არ დაუშვებს. მატერიალური ნამატი ქულად და ევროპის ჩემპიონის ტიტულად 44-ე სვლაზე გარდაიქმნა. რუსი პავლე ტრეგუბოვის შემდეგ ებრაელი ემილ სუტოვსკი ევროპის მეორე ჩემპიონი გახდა, ხოლო თვით ტრეგუბოვი პლეი ოფში დამარცხდა და ველარც ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატზე წავა. იქ გამსვლელი 46 ადგილიდან 42 უკვე დაკავებული იყო და დარჩენილი ოთხისთვის 21 მოჭადრაკე იბრძოდა. აქაც, უფრო იღბლის წყალობით, ბულგარელებმა — კირილ გეორგიევმა და ალექსანდრ დელჩევმა, უნგრელმა ზოლტან გიმეშმ და ფრანგმა ჟოელ ლოტიემ იმარჯვეს.

„ბრინჯაოს პლეი ოფი" ითამაშეს იუდით პოლგარმა და ზურაბ აზმაიფარაშვილმა. პირველ პარტიაში უნგრელმა [illegible] ესპანური დაცვა აირჩია, მალე წარმოიქმნა ენდშპილი მეტი თეთრი პაიკით, მაგრამ [illegible] აზმაიფარაშვილი და ერთიმეორის მიყოლებით თითქმის ყველა ფიგურა გაუცვალა მეტოქეს, ხოლო სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში ერთი კი არა, ზოგჯერ ორი პაიკიც არ ჰყოფნის გამარჯვებას.

სხვანაირად წარიმართა მეორე პარტია. აზმაიფარაშვილმა თეთრებით კიდევ ერთხელ დაიწყო დებიუტი ინგლისურად, რამაც მას რეგულარული ჩემპიონატის დროს გაუმართლა. ეტყობა, ქართველ დიდოსტატს ინგლისური დასაწყისის სქემებზე უმუშავია, თორემ დიდი რისკია, ითამაშო თითქმის ბლიც-პარტია და 18 სვლის მანძილზე პაიკიც არ გაცვალო, როგორც ეს ამ პარტიაში მოხდა (დიაგრამა იხილეთ).

შავი პაიკი ზედ თეთრი მეფის ყურისძირას მოსულიყო, მაგრამ იმას მარტო რა შეეძლო და სხვა ფიგურები ჯერ ქმედითად ვერ ეხმარებოდნენ, ამიტომ აზმაიფარაშვილმა თავის იერიშს მიხედა. გვარიანი გაცვლების შემდეგ თეთრმა პაიკებმა შავი კუ სრულებით ამოკეტეს და პოლგარმა იგი 3 პაიკში გაცვალა. თეორიულად დაფაზე მატერიალური წონასწორობა არ დარღვეულა, მაგრამ ქართველის პოზიციური უპირატესობა აშკარა გახდა და შეეგად მან ხარისხი მოიგო (იგი რომ არ დაეთმო, პოლგარს შამათი ჰქონდა), შემდეგ კი ადრეულივით ზუსტად და ტექნიკურად დააგვირგვინა საქმე. აზმაიფარაშვილი ევროპის მეორე ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

**დავით გულუა**

**ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატზე გასულ მოჭადრაკეთა სია**

ემილ სუტოვსკი (ისრაელი), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), იუდით პოლგარი (უნგრეთი), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა), რაფაელ ვაგანიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), ალექსანდრ გრაფ-ნენაშევი (გერმანია), სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), აშოტ ანასტასიანი (სომხეთი), თომას ლუთერი (გერმანია), სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი), ფრანსისკო ვალეხო პონსო (ესპანეთი), შარუნას შულსკისი (ლიტვა), ბორის ავრუხი (ისრაელი), სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი), ვლადისლავ ტკაჩოვი (საფრანგეთი), ბარტოლომეი მაჩეიხა (პოლონეთი), ლივიუ დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა), ალექსანდრ ვოლოკიტინი (უკრაინა), ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი), ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია), კარენ არსიანი (სომხეთი), ლევ ფსახისი (ისრაელი), იაცეკ გდანსკი (პოლონეთი), ალექსანდრ ლასტინი (რუსეთი), პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია), იური ხენკინი (გერმანია), იან ელვესტი (ესტონეთი), ვლადიმირ მალახატკო (უკრაინა), ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა), სერგეი ვოლკოვი (რუსეთი), სტიუარტ კონკუესტი (ინგლისი), სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი), რუსტემ დაუტოვი (გერმანია), ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი), ალექსანდრ ფიოდოროვი (რუსეთი), მიხეილ ქობალია (რუსეთი), ევგენი პიგუსოვი (რუსეთი), ოგნიენ ცვიტანი (ხორვატია), კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), ზოლტან გიმეში (უნგრეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), ალექსანდრ დელჩევი (ბულგარეთი).

**შენიშვნა:** ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), და მიხაილ გურევიჩი (ბელგია) ფიდეს ჩემპიონატზე პერსონალურად არიან მიწვეულნი.





ემილ სუტოვსკი



ზურაბ აზმაიფარაშვილი

# დიდი, შავი მარათონი

## ყოფნა, ხელელე! — უთქვამს ჰამლეტს

**არა** იმიტომ, რომ შავ კონტინენტზე ჩატარდა, არამედ ტრაგიზმის სიჭარბის გამო დურბანის მარათონს „შავი" ვუწოდეთ, ხოლო ზედსართავი „დიდი" შემდეგი შინაარსისაა: ნახსენებ მარათონზე მორბენლები 89 კილომეტრს ფარავენ, რაც კლასიკურ 42,195-ზე ორჯერ მეტია. მარათონი ტრადიციულია, პიტერმარიცბურგში იწყება და ინდოეთის ოკეანეს სწორედ დურბანში უწევს. რაც აპარტეიდი გადავარდა, უკვე ათი გარბენი შედგა და საოცრება ის არის, რომ მასპინძლები და საერთოდ, აფრიკელები დურბანში თითქმის ვერაფრით დაიკვეხნიან: იქ ძირითადად რუსები, ამერიკელები და აღმოსავლეთევროპელები იმარჯვებენ. რუსები წლეულსაც ბლომად იყვნენ, 15 ათასამდე ზულუსის გვერდით მორბენალ 534 უცხოელში მათი წილი ყველაზე მოზრდილი გახლდათ და შედეგებიც კარგი უჩვენეს. როგორც ხშირად მარტო კენიელებს ვწერთ ხოლმე გრძელი დისტანციების პირველ პოზიციებზე, ისე, რუსებმაც შაბათს დურბანში დაიკავეს ვაჟთა მე-2, მე-4, მე-6, მე-7 და მე-12 ადგილები, რუსის ქალმა სულაც გაიმარჯვა და დიაცთა მესამეც მისი თვისტომი გამოდგა.

ზემარათონეთა განკარგულებაში საკმაოდ უხერხული ტრასა იყო, რომელიც ყველაზე აუტანელი სადღაც შუაგზის მერე, ბოთას ბორცვზე ხდება. ციცაბო აღმართზე ბევრი ჩერდება, რადგან ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძნელი ასატანია მაღლა მიმავალი გზის ნახვა, როცა უკვე 50 კილომეტრი დაგიფარავს. ასე მოუვიდა ადგილობრივ ჩარლზ ვილაკაზის, რომელიც ვაჟებში თავიდანვე დაწინაურდა და მხოლოდ ფერდობზე ჩამოყარა ხელები. ამ დროს მიმყოლი ჯგუფის წევრები ერთმანეთის ჯინაზე ცოტა მეტი ალმაფრენით გარბოდნენ და მალე ვილაკაზი ჯგუფში ჩაიკარგა, რათა ბოლომდე არ გამოჩენილიყო. მომდევნო 10 კილომეტრი დინამიურად გაილია, ათი კაცი დაწინაურდა და 10-ჯერ შეიცვალა ლიდერი, სანამ ოთხნი არ დაწინაურდნენ: ზულუსები მაიკლ მპოტოანე, ვუზი ნჰლაპო, ენდრიუ ხელელე და ახალგაზრდა რუსი ლეონიდ შვეცოვი. 71 კილომეტრის შემდეგ ხელელე გაიქცა და რუსის მეტს მიყოლა არავის უცდია, მაგრამ ხელელემ ისიც დაიბრიყვა და ფინიშზე სრულიად მარტო მივიდა, რითაც უაღრესი ემოციები აღუძრა დურბანის „კინგსმიდ სტედიუმზე" მოგროვილ საზოგადოებას. წესიერად არც გაჩერებულიყო ხელელე, ცოლს რომ ჩაეხუტა და ორივემ ცრემლები ყარა თებერვალში დაკარგული ნორჩი შვილის გამო, რომელსაც თურმე ხელელემ გამარჯვება უძღვნა. სანამ მდევრები კანტიკუნტად გადადიოდნენ ფინიშზე, გამარჯვებულმა მასმედიას აუხსნა, რომ შვილის დაკარგვის შემდეგ სირბილზე საერთოდ არ ფიქრობდა, მაგრამ მეუღლემ და მწვრთნელმა ჯონ ჰამლეტმა თურმე ამქვეყნისკენ შემოაბრუნეს. ჰამლეტი ხელობით პოლიციის ოფიცერია.

ცხადია, 15 ათასი კაციდან 89 კილომეტრს ბევრი ვერ გაირბენდა, ოთხი ათასზე მეტი გზაში დავარდა და მათგან ზიმბაბველი დიპაკ ნაიკი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელ ობით. ნაიკი სადღაც ბოლოში გარბოდა და 80 კილომეტრი მხნე ჟუნჟულით ამოწურა, მერე კი წაიქცა და საავადმყოფოში უკვე მკვდარი მიასვენეს. ექიმთა დასკვნით, ნაიკს რამდენიმე ორგანომ ერთად უღალატა, რაც ბუნებრივი ჩანს, როცა 45 წლის კაცი 89 კილომეტრის გარბენას დააპირებს.

შემდეგ „კინგსმიდ სტედიუმზე" ქალები გამოჩნდნენ. უფრო ზუსტად, ქალი, რადგან რუსმა ელვირა კოლპაკოვამ რომ ხალხის ხმაურში ფინიში გადაკვეთა, მას მერე ბარე ათი წუთი გავიდა, სანამ მდევრები მოაღწევდნენ. კოლპაკოვას გამარჯვებაც მემორიალური ყოფილა. „წარმატებას ჩემს დას ვუძღვნი, რომელიც 9 თებერვალს ნარკოტიკმა დამიღუპა" — ეს უთხრა რუსმა ჟურნალისტებს და დოპინგ-კონტროლზე გავიდა, რადგან დურბანის მარათონის ორგანიზატორთა აზრით, ამსიგრძე გზაზე რბენისას არაერთს წასძლევდა სული აკრძალული ხილის საჭმელად და ამიტომ მკაცრი კონტროლი იყო საჭირო. დურბანში ის აპარატურა ჩაუტანიათ, რომელსაც ყველაზე მოუხელთებელი დოპინგის, ეპოს დასაჭერად იყენებენ, მაგრამ ვინმეს გამოჭერაზე ჯერ არაფერი გაგვიგია.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
| --- |
| 1. ენდრიუ ხელელე (სამხრეთ აფრიკა) 5:25,51; 2. ლეონიდ შვეცოვი (რუსეთი) 5:26,28; 3. ვლადიმირ კოტოვი (ბელარუსი) 5:27,21 |
| **ქალები** |
| 1. ელვირა კოლპაკოვა (რუსეთი) 6:13,53; 2. დებორა მეტიუზი (აშშ) 6:23,04; 3. მარინა ბუჩკოვა (რუსეთი) 6:24,20 |



REUTERS ბუდაპეშტიდან



ხორვატია — რუსეთი. რევაზ ჩომახიძე (წინა პლანზე) ხორვატი სამირ ბარაცის წინააღმდეგ

### ევროპის ჩემპიონატი

**ვაჟები**

| „ა" ჯგუფი | „ბ" ჯგუფი |
| --- | --- |
| **15 ივნისი** | |
| იუგოსლავია 9:7 ესპანეთი | სლოვაკეთი 10:9 ხორვატია |
| უნგრეთი 12:5 რუმინეთი | საბერძნეთი 7:4 გერმანია |
| იტალია 10:4 ჰოლანდია | რუსეთი 13:4 საფრანგეთი |
| **16 ივნისი** | |
| უნგრეთი 7:5 ესპანეთი | სლოვაკეთი 9:9 გერმანია |
| იტალია 9:4 რუმინეთი | ხორვატია 12:3 საფრანგეთი |
| იუგოსლავია 10:7 ჰოლანდია | საბერძნეთი 10:7 რუსეთი |
| **17 ივნისი** | |
| ესპანეთი 4:0 ჰოლანდია | საბერძნეთი 14:8 სლოვაკეთი |
| იუგოსლავია 11:5 რუმინეთი | ხორვატია 8:6 რუსეთი |
| უნგრეთი 10:5 იტალია | გერმანია 11:3 საფრანგეთი |



REUTERS ლონდონიდან



ლეიტონ ჰიუიტი „ქუინსის" მეფეა

# ზოგჯერ წვიმაც შაქარია

**ლონდონი (ინგლისი)**
**„სტელა არტუას ჩემპიონატი"**
**ბალახი. საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (2, აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (6, აშშ) 7:6 (7:1), 7:5; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — გრეგ რუზედსკი (12, ინგლისი) 6:4, 6:4; ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 (7:4), 6:3; უეინ ფერეირა (7, სამხრეთ აფრიკა) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:3, 7:5**

**ნახევარფინალი: ჰიუიტი — სამპრასი 3:6, 6:3, 6:2; ჰენმანი — ფერეირა 5:7, 6:4, 6:2**

**ფინალი: ჰიუიტი — ჰენმანი 7:6 (7:3), 7:6 (7:3)**

საყოველთაო შეხედულებით, ბალახზე წარმატების მიღწევის შანსი მხოლოდ იმ ჩოგბურთელებს აქვთ, რომლებიც თითო გეიმში ორ-სამ ეისს ითვლიან და ბადესთან ხელის ჩამორთმევის გარდა, ასე თუ ისე, თამაშიც ეხერხებათ. თუ ამ თეორიას ჭეშმარიტად მივიჩნევთ, მაშინ ლეიტონ ჰიუიტი სწორედ ის გამონაკლისია, რომელიც წესს ადასტურებს — 20 წლის ჩია ავსტრალიელის არც მოწოდება აქვს ზებგერითი და კორტზეც უკანა ხაზთან დგომა ურჩევნია ყველაფერს, მაგრამ ზედიზედ მეორე წელია, უიმბლდონის მთავარ სარეპეტიციო ტურნირზე ვერავის დაუმარცხებია.

არადა, მეტოქეები წლეულს ჰიუიტს მართლაც რომ დარჩეული და ბალახზე ჭიპმოჭრილი ჰყავდა: მეოთხედფინალიდან მოყოლებული მან გზიდან გრეგ რუზეცკი (ინგლისელმა იმ შეხვედრაში 232 კმ/სთ-იანი ეისი მოაწოდა), უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი და მასპინძელთა ჯილა ტიმ ჰენმანი ჩამოიშორა.

ავსტრალიელს საქმეს ჭირვეული ინგლისური ამინდიც ურთულებდა. შაბათს ლონდონში მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა, „ქუინსის" საჩოგბურთო კლუბში კორტებს გადაფარებული ბრეზენტი წამითაც არ მოუხსნიათ, ამიტომ ნახევარფინალებიცა და ფინალიც კვირას გაიმართა. დილით მონეტა რომ ააგდეს, ცენტრალური კორტი ფერერა-ჰენმანს დარჩა, ჰიუიტი და სამპრასი კი შედარებით პატარა, პირველ კორტზე გაამწესეს.

„პისტოლ პიტს" შარშან ამავე ტურნირის ფინალში წაგებისთვის ავსტრალიელისთვის ანგარიში უნდა გაესწორებინა, თუმცა საქმე მხოლოდ ნახევრამდე მიიყვანა — პირველი ხელი მოიგო. ამის შემდეგ ჰიუიტის ფანტასტიკური მიღება-შემოვლებულების წინააღმდეგ თვით დიდი ამერიკელიც კი უძლური აღმოჩნდა. პატარა ოზი ისე სწრაფად აღმოჩნდებოდა-ხოლმე სამპრასის მძლავრი დარტყმების სიახლოვეს, თითქოს ბალახზე კი არა, ნელ თიხნარზე თამაშობდა, მერე კი ბურთს სწორედ იმ ღრიჭოში მიუჩენდა ადგილს, სადაც ბადესთან გაჭრილი მეტოქე თავგანწირული ნახტომითაც კი ვერ წვდებოდა.

როდესაც მესამე სეტის დასაწყისში სამპრასმა მოწოდება დაკარგა, ჩვეულებრივ აუღელვებელი ისე განერვიულდა, ბურთი ტრიბუნებზე მოისროლა და მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო: „კარგი იქნებოდა, უიმბლდონამდე ტიტული მომეგო, თუმცა ძალიან უკმაყოფილოც არ ვარ. ლეიტონმა დღეს არაჩვეულებრივად ითამაშა. ეს ბიჭი ბალახზე ქარივით დაქრის, ეს კი წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ის ფსიქოლოგიურადაც ძალიან ძლიერია და არ გამიკვირდება, თუ ერთ დღეს უიმბლდონსაც მოიგებს."

სამპრასთან შეხვედრა სულ ორი საათის დასრულებული იყო, ჰიუიტი ახლა უკვე ჰენმანთან შესაჭიდებლად რომ გავიდა კორტზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჩოგბურთელი დაღლილი იყო, ეს შეხვედრაც არანაკლებ თვალსასეირო გამოდგა. ერთადერთი უსიამოვნო მომენტი პირველი სეტის ბოლოს დადგა, როდესაც ლონდონს ისევ საწვიმარმა ღრუბელმა გადაუარა და მატჩი 15 წუთით შეწყდა.

ტრიბუნაზე შეყრილი ათასობით ინგლისელის გულის გასახეთქად, ჰიუიტი მთელი მატჩის მანძილზე უშეცდომოდ და აგრესიულად ირჯებოდა, გადამწყვეტ მომენტებში კი, მეტოქისგან განსხვავებით, ხელი არ აჰკანკალებია. განსაკუთრებით შთამბეჭდავად ითამაშა ავსტრალიელმა მეორე ხელის ბოლოს, როდესაც 4:4-ზე საკუთარი მოწოდების დაკარგვა არ დაიტყო, მომდევნო გეიმში მეტოქე 4 უზუსტეს მიღებას არ გააკარა და ანგარიში გაათანაბრა.

„ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რაც უფრო მძიმე სიტუაციაშია, მით უფრო უკეთ თამაშობს. თავად მე ვერაფერზე დავიწუწუნებ, ურიგოდ არ გამოვიყურებოდი, მაგრამ ჰიუიტი ცოტათი ყველაფერში მჯობდა" — აღნიშნა ჰენმანმა, რომელიც „ქუინსის" ფინალში უკვე მეორედ დამარცხდა.

თავად ჰიუიტს ქება, რა თქმა უნდა, ახარებს, თუმცა სიფრთხილეც არ ავიწყდება: „შარშან აქ გავიმარჯვე, მერე უიმბლდონზე ფავორიტად მთვლიდნენ და პირველივე წრეში წავაგე. ახლა უკვე ჭკუა ვისწავლე და საკუთარი თავისგან ზედმეტს არ მოვითხოვ. „ოლ ინგლენდ კლაბში" დამშვიდებული ვიასპარეზებ, დასაკარგი არაფერი მექნება და ისიც ვიცი, ბალახზე თამაში რომ შემიძლია."

გასული კვირის გარჯა ჰიუიტს 91 500 დოლარად დაუჯდა.

**ჰალე (გერმანია)**
**ჯერი ვებერის ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:7 (2:7), 7:6 (7:3), 7:6 (7:4); პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4); ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:4**

**ნახევარფინალი: იოჰანსონი — კაფელნიკოვი 6:3, 5:7, 6:2; სანტორო — რაფტერი 7:5, 6:4**

**ფინალი: იოჰანსონი — სანტორო 6:3, 6:7 (5:7), 6:2**

ჰალეს ტურნირის ფინალი კვირას თავსხმა წვიმაში დაიწყო, თუმცა მატჩის შეჩერებაზე ან გადადებაზე არავის უფიქრია და ამის წინააღმდეგნი არც თავად მოთამაშეები ჩანდნენ და არც ტრიბუნებზე მოკალათებული 10 ათასი ქომაგი. ან კი რატომ იქნებოდნენ, როდესაც პრაქტიკულმა გერმანელებმა, ინგლისელებისგან განსხვავებით, ცენტრალურ კორტს კარგა ხანია, მოძრავი სახურავი გადააფარეს და ბიბლიური წარღვნის გარდა ამიერიდან ვერანაირი ამინდი ვერ შეაშინებთ.

ისე, ფინალურ შეხვედრას მცირე შესვენებების გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ჯერ იყო და ტომას იოჰანსონმა მეორე ხელის დასაწყისში მტკივანი ბარძაყის შეხვევა მოითხოვა. რამდენიმე წუთში სახვევი მოემვა და კორტზე ესკულაპის ხელმეორედ სტუმრობა გახდა საჭირო. მეტოქეს სანტოროც არ ჩამორჩა, მოიმიზეზა, თავი ამტკივდა, „ასპირინი" მომართვითო და სანამ აბი წყალში კარგად არ გაიხსნა, სკამიდან ფეხი არ მოიცვალა.

საერთოდ, ფრანგის მოჭრილ-ჩახუჭუჭებული დარტყმები და დამაბნეველი თამაში სწორედ რომ მეტოქეებს უჩენს შაკიკს, თუმცა ამჯერად ყურებპარტყუნა იოჰანსონის 18 ეისისა და ზუსტი შემოვლებულების წინააღმდეგ ფრანგი უმწეო აღმოჩნდა.

„ბარძაყი მატჩის დაწყებამდე ძალიან მაწუხებდა და ბლომად ტკივილგამაყუჩებლები მივიღე — განაცხადა იოჰანსონმა, რომელსაც მოგებისთვის 137 ათასი დოლარი ერგო — სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ბალახზე ასე კარგად ვიასპარეზებდი. თავადაც გაკვირვებული ვარ და უიმბლდონის დაწყებას მოუთმენლად ველი".

**ავთანდილ სვანიძე**

**ბირმინგემი (ინგლისი)**
**DFS CLASSIC**
**ბალახი. საპრიზო 170 ათასი $**

**ნახევარფინალი: ნატალი ტოზია (1, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (4, აშშ) 6:0, 7:6 (7:5); მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 7:5.**

**ფინალი: ტოზია — ორემანსი 6:3, 7:5**

**ტაშკენტის (უზბეკეთი)**
**ღია პირველობა**
**ჰარდი. საპრიზო 140 ათასი $**

**ფინალი: ბიანკა ლამადე (6, გერმანია) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 6:3, 2:6, 6:2**

AP ჰალედან



ტომას იოჰანსონს ბარძაყის ტრავმამაც ვერაფერი დააკლო

# განბანილი და განუბანელი



REUTERS ფილადელფიიდან



ესეც თასი: „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ კვლავ მსოფლიოს ჩემპიონია კალათბურთში. სწორედ ასე ჰქვია ტიტულს, ენბიეის ორი კონფერენციის გამარჯვებულთა შორის გამარჯვებული რომ იღებს ყოველწლიურად. ფინალური სერიის მეხუთე შეხვედრაში „ლეიკერსმა“ 108:96 მოუგო ფილადელფიაში იქაურ „სიქსერზს“ და ჩემპიონიც იქავ გახდა. სიხარულის წამები კი ასეთია: შამპანურით განბანილი შაკილ ონილი ღრიალებს, ჯერაც განუბანელ კობი ბრაიანტს კი თასი ჩაუბღუჯავს და საშხაპეში ჩამომჯდარა. უთუოდ ლოცვას ამბობს.



REUTERS პეკინიდან

# საგინესო ნახტომი

„2008 წლის ოლიმპიური თამაშები პეკინში უნდა გაიმართოს!“ ამ მოწოდებას მიუძღვნა თავისი საგინესო მოტონახტომი ჩინელმა ვუ შუნმა. ვუ 23,4 მეტრის სიმაღლის კედელს გადაევლო და 15 მეტრი იფრინა ჰაერში.



REUTERS ბუდაპეშტიდან

# არტურმა სძლია

ერთი რამ პროფესიული კრივი იყო ბუდაპეშტში, ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონობისთვის. კავკასიურ სოლიდარობით და სიამაყით განვაცხადებთ, რომ სომეხმა არტურ გრიგორიანმა (მარჯვნივ) მეთორმეტე რაუნდში დასცა მავანი არგენტინელი ალდო რიოსი და ქამარი შემოირტყა.

# მეორეადგილოსანი

ასე სალდათურ ნაბიჯით გახურებას ტყუილად არ ჩაუვლია ფრანგ თარჯმორბენალ სტეფან დიაგანასთვის. ჩრდილოეთ საფრანგეთში, ვილნევ დასკში მიმდინარე მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, ის სულ ცოტათი ჩამორჩა პოლონელ მარეკ პლავგოს და 400 მეტრზე მეორე ადგილი დაიჭირა.



REUTERS ვილნევ დასკიდან

# ადრენალინ შოუ

კიევში დიდი ხმაურია. ოღონდ, ამ ჯერზე პრეზიდენტ კუჩმას გადადგომა-არვადადგომის კი არა, სპორტის ვარსკვლავთა განთქმული „ადრენალინ შოუს“ სტუმრობის გამო. „ადრენალინ შოუ“ სპორტულ-გასართობ ღონისძიებათა მთელი წყებაა, სხვადასხვა ქვეყანაში რომ გამართავს „ვესტ მაკლარენ მერსედესის“ მეფორმულეთა გუნდი. განთქმული ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენიც (მარჯვნივ) ამიტომ ჩასულა კიევში, თუმცა დამხვდურნიც სულ სახელოვანნი არიან: დიადი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა, ვბო-ს მძიმე წონის ჩემპიონი მოკრივე ვლადიმერ კლიჩკო და უკრაინის საუკეთესო ჩოგბურთელი ანდრეი მედვედევი.



REUTERS კიევიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge